


საქართველოს საეკლესიო



2

საქართველოს საეკლესიო

თბილისი - 1987



ქვარი ვახისა — შემკული მოციქულთა სწორის წმიდა ნინოს თმით. 17 ს.

ძლიერებაო ჯვარო ვახისაო,
დაგვიცევ და დაგვიფარე ჩვენ



ქრისტი



დაიბეჭდა უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქ ილია II ლიცენზიით



ፀገፀፀፀፀ

ቦቦቦቦፀፀፀፀ

ገፀ ተፀፀፀፀፀፀፀፀፀ

ፀፀፀፀ ፀፀፀፀፀፀፀፀፀፀ

სიტყვაო, ღვთისაო, ღებ ჩუენ თანა და პარადის ღღე და
ღაგი გუგევედ და გუგარევი ქოველსა ჟამსა, უმევე გუეევე,
და გუხსენ ჩუენ ხილულთა და უხილავთა მტერთაგან!

ჩუენიუს კაცქენილო, ღვთიო სიტყუაო გამისაო ქრის-
ტი, გუხსენ ქოველთა ჰირთა და განსაცდელთაგან მოსავენი
ესე უენნი და თაქუანისევექელი ნათისა უენისანი, მოქუა-
ლიო უეგუეველენ და უქალოგანი უენნი მოგუანოქენ.

„ღვთისეუოგელო დედუგალო, სასო ქოველთა განწი-
რულთაო, მოგუეველენ უქალოგით ქონათა უენთა და რისევა
ღვთისა თანაწარგვეხაღენ, ცოდვითა ჩვენთა მიერ აღმრუ-
ლი ჩვენედეა“



აღსაქდრების ათი წელი

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო ჩვენო!

სულ ათი წელია, იხარებსერი ჩვენი გაგამთავრობითა თქვენითა, გხედავთ თქვენ განსხეულბულს ღვთისაჲმერ სიკეთედ და სათნოებად, რწმენად და სასტეებად ყოველისა საქართველოდსა, რადგან მედგრად შეგბით სატკივართა ქვეყნისათა. იღვწით ერთობისა და ძლიერებისათვის ერისა და სარწმუნოებისა და ყველა ქართველისათვის ტკბილ არიან სიტყვანი თქვენნი უფროის თავლისა, რამეთუ ნაყოფისაგან საცნაურ არს სიკეთე ხისა.

გაადლობთ ქრისტესა, რომელგან ღირს-გვყო თაყვანისცემად კვალსა წმიდასა ვერხთა თქვენისა, უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო. „ინებინ უფალგან მოცემად ჩვენდა მადლი ესე, რათა ღირსად ვკმსახუროთ ერსა და სიწმიდესა თქვენსა ვიდრე აღსასრულამდე“.

კურთხეულ იყოს განგება ღვთისა, რომელგან მოგანიჭათ თქვენ კატივი ესე! კურთხეულ იყოს ეს დღე, გედნიერი და სიკეთის მომტა-

ვკედრით უფალსა, მოხედოს ქართველთა ყოველთა და ჩვენ გლახაკთა ღოცვას, მოგანიჭოთ თქვენ მრავალქამიერი სიცოცხლე, ძლიერება და სიმტკიცე სულიერი და სორციელი, რათა დიდხანს ირწყვებოდეს სიბრძნეთა თქვენთა მდინარეთაგან ყოველნი უდაგონი ურწმუნოებათა კაცთანი.

„ქრისტეგან უმეტესად დიდებით დაიცვიინ მეუფებად თქუენი დიდებასა შინა და სიხარულსა და საუკუნო დიდება ზეცისა მთავრობათა თანა დაგიგვდრენ“ (ცხოვრება პრიგოლისი, XI აჲჲ).



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ლ ე ს ი ი ს

წ მ ი დ ა ს ი ნ ო დ ი ს მ ი მ ა რ თ ვ ა

კ ა თ ო ლ ი კ ო ს - კ ა ტ რ ი ა რ შ ი ლ ი ა II-ს

უწმიდესო და უნეტარესო მეუფეო ჩვენო!

კურთხეული დღეა ქართული ეკლესიისათვის 1977 წლის 12(25) დეკემბერი. მათთვის, ვისაც წილად ზედა მცხეთის სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში თითონ ეხილა იმ დღეს საქართველოს უძველეს საპატრიარქო ტახტზე თქვენი აღსაყდრება, ვინც უშუალო მონაწილენი იყვნენ ამ დიდი ზეიმისა, დაუვიწყარია ის დიდი სიხარული, რომელსაც მოეცვა ყველა. ეს იყო იმედი ქართული ეკლესიის კვლავ გაბრწყინებისა. ტაძარი სავსე იყო ხალხით, სანთლებით, კელაპტრებით, იფრქვეოდა საკმევლის სურნელი... და მიუხედავად ზამთრის ყინულიანი დღისა, ანათებდა მზე.

ხოლო, ამ მშვენიერ დღემდე მოსულ საქართველოს ეკლესიას „არამცირენი დაბრკოლება და განსაცდელნი გარდახდენია“.

ჯერ იყო და, 1811 წლიდან 1917 წლამდე დაკარგული ჰქონდა ავტოკეფალია. იმდროინდელმა რუსეთის ეკლესიის უწმიდესმა სინოდმა და იმპერატორმა დახმარების ნაცვლად მუსულმანთაგან ისედაც ტანჯული და დაღლილი, უძველესი ქართული ეკლესია საბოლოოდ განძარცვეს და დაიმონეს. იყო ბევრი შეჭირვება ... იღვენებოდა ქართული ენა და წირვალოცვა ხალხისათვის გაუგებარ ენაზე სრულდებოდა. ამან განაპირობა ხალხის თანდათან განზნევა ეკლესიიდან... თითქმის მთლიანად გაუქმდა ეპარქიები.

საქართველოს თავზე დატეხილმა არაერთმა განსაცდელმა უმძიმესი დადი დააჩნია ჩვენს სალოცავს... დააკნინა, დააღარიბა... შეშინებული ხალხი ძნელად შედიოდა ტაძარში...

აღარ არსებობდა ძველი აკადემიები და სემინარიები; ახლის გახსნაზე ფიქრიც კი წარმოუდგენელი იყო. კვლავ და კვლავ, ზედიზედ იკეტებოდა ეკლესიები. ამან გამოიწვია მრევლის გაუცხოება...

მაგრამ თანდათან... ყინული გალხვა და 60-იან წლებში შესაძლებელი შეიქმნა საეკლესიო გამოცემანი, თუმცა მცირე ტირაჟით, მაგრამ იმ დროისათვის ესეც დიდი წყალობა იყო.

ღვთის დიდი წყალობა იყო სასულიერო სემინარიის გახსნაც... რომლის პირველი რექტორი და ძალისხმევის მიმცემი თქვენ ბრძანდებოდით.

ყველაფრის ჩამოთვლა ამჟამად არც შესაძლებელია და არც საჭიროა, მაგრამ ცხადზე ცხადია, სავალალო მდგომარეობა სუფევდა თქვენი აღსაყდრების დროისათვის. თავადაც კარგად უწყოდით ყოველივე. იმ დღეს თქვენ განაცხადეთ:

„მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი და, ამავე დროს, საპატოო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმიდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა.“

მუხლს ვიყრი მისი ძლიერების წინაშე და თავყანს ვცემ მარადიულ ნათლით მოსილ ხსენებას მისას.



ატენის სიონი.
წმ. იოაკიმე. მხილვების წყლით გამოცდა. (დეტალი) XI ს.



წმიდა გიორგი მოწულებას ურიგებს გლახაკთა. მხატვარი დამიანე. XIV ს.
წმიდა გიორგი დიოკლეტიანეს წინაშე.

თავს ვხრი საქართველოს ეკლესიისა და მისი მრევლის — ქართველი ერის წინაშე, რომელსაც სასოებით უნდა ვემსახურო; ვემსახურო იმ სარწმუნოებით, რომლის დაცვისა და შენარჩუნებისათვის, დაწყებული მცხეთაში მაცხოვრის კვართის მოტანიდან, ზღვა სისხლი გაიღო რიცხვით მცირე ჩვენმა ერმა“.

თქვენი პატრიარქობის პირველივე დღეებიდანვე დაიწყო და თითქმის მთლიანად მოწესრიგდა საქართველოს ეკლესიური ცხოვრება. ის უანგარო ღვაწლი, რომელსაც თქვენი წინამორბედი პატრიარქები ეწეოდნენ მათთვის მძიმე მოღვაწეობის პერიოდში, თქვენ განამრავლეთ. ქართული ეკლესიის ნამდვილი გამოღვიძების მისია, რა თქმა უნდა, საერო ხელისუფლების დახმარებით, თქვენ გხვდათ წილად.

წლების მანძილზე უძღვდელმთავრებოდ დარჩენილ ეკლესიებს თანდათან დაუბრუნდათ, ან უბრუნდებათ თავისი სახე. მოხდა სამღვდლო პირთა ეპისკოპოსებად ხელდასმბა. საგრძნობლად გაიზარდა მრევლი, გაიხსნა საეკლესიო ჟურნალი „ჯვარი ვახისა“, გამოვიდა „საღვთისმეტყველერ კრებული“, კელლია და ჯიბის კალენდრები, „საინფორმაციო ბიულეტენი“. დაიწყო ბიბლიის ახალ ქართულ ენაზე თარგმნა, რომელიც სულ მალე დაისტამბება. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში ამოქმედდა ეკლესია-მონასტრები... გაიზარდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტი. მისი ეკუმენური ეტაპები, რის შედეგიც იყო თვით თქვენი ეკლესიათა მსოფლიო საბჭოს ერთერთ პრეზიდენტად არჩევა. სულ ზხლახან კი, საქართველოს ეკლესიამ მიიღო სასულიერო აკადემიის გახსნის დასტური. გელათის, იყალთოს, ტბეთის უძველესი, ოდესღაც ელადის სიმაღლეზე მდგარი, მაგრამ უამთასგლისა და მტრისაგან იავარქმნილი აკადემიების ნაფუძვარზე კვლავ გაიღვიძებს სიცოცხლე. ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ ყოველივე ამან ახალი საიმედო ძალა შეჰმატა ქართულ ეკლესიას, იმედით და რწმენით აავსო. ეკლესიაში დაბრუნდა მრევლი... გაიზარდა ჩვენი ეკლესიის ავტორიტეტი, მსოფლიოს საპატრიარქოთა ინტერესი მისდამი... მსოფლიო ეკლესიებმა და რელიგიურმა საზოგადოებებმა საქართველოს ეკლესიასთან უკვე დაამყარეს კეთილი, ძმური, საქმიანი ურთიერთობანი.

თქვენ დაუცხრომლად იღვწით ქვეყნად მშვიდობის შენარჩუნებისათვის. ქადაგებებში, სხდომებზე, საერთაშორისო სიმპოზიუმებზე, თათბირებზე, შეხვედრებზე, მუდამ და ყველგან აღამიანებს მოუწოდებთ ურთიერთსიყვარულისა და ძმობისაკენ. სწორედ ამის გამო იყო, რომ დაბადების 50 წლისთავთან დაკავშირებით, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, თქვენ გადმოგეცათ ხალხთა მეგობრობის ორდენი. ეს იყო სახელმწიფოს მიერ აღიარება და ღირსეული დაფასება იმ დიდი პატრიოტული მოღვაწეობისა, რომელსაც ეწევა ქართული ეკლესია და მისი ღირსეული მეთაური.

თქვენ თქვენს ქადაგებებში მშობელ ერს მუდამ ურთიერთსიყვარულისა და შინაგანი მთლიანობისაკენ მოუწოდებთ. იქ, სადაც ირღვევა შინაგანი მთლიანობა, ირღვევა ერთმანეთის სიყვარულიც და სარწმუნოებაც სუსტდება. ჩვენი წმიდათა წმიდა ვალია, არ დაგუშვათ ეს ბოროტებაო, ბრძანებთ თქვენ. იყოს თქვენი შემწე ამ დიდ მისიაში, უფალი ჩვენი, იესო ქრისტე.

სწორედ თქვენის ღვაწლითა და ღვთის ღოცვა-კურთხევით ჩვენმა ეკლესიამ თავის დიდებულ წმიდანთა შორის შერაცხა დიდი ილია ჭავჭავაძე — ილია მართალი, რამაც მაღლიერებით აღავსო მთელი ერი.

არა დიდ არს ათი წელი, არამედ ამ დროში ჩატეული საქმე და ღვაწლი თქვენი. ძნელია ყველაფრის ჩამოთვლა.

მძიმეა თქვენი ჯვარი, მძიმე და ძნელი... ხშირად უმადურიც. მაგრამ ესეც უნდა ითქვას: ქართული ეკლესიის ისტორიაში ბევრს არ რგებია სამწყსოს ისეთი დიდი სიყვარული, როგორც თქვენ გერგოთ. ღვთისაგან განსაკუთრებული ღოცვა-კურთხევით ხელდასხმული ბრძანდებით.

„ვახარე სიძართლე ეკლესიასა შინა დიდსა. აჰა, ესერა, ბაგენი ჩემნი არა დავიპყრნე, უფალო შენ უწყი, სიძართლე შენი არა დავფარე გულსა შინა ჩემსა, ჭეშმარიტებაჲ შენი და მაცხოვრებაჲ შენი ვსთქუ, არა დავფარე წყალობაჲ შენი და ჭეშმარიტებაჲ შენი კრებულსა შორის დიდ ძალსა (ფსალ. 39, 9—11).

დაე, მაღალმა ღმერთმა თავისი უხვი გულმოწყალებით კვლავაც განაშვენოს თქვენი სა-
ვალი გზა ქართული ეკლესიისა და ერის სადიდებლად და საკეთილდღეოდ.

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ე კ ლ ე ს ი ი ს წ მ ი დ ა ს ი ნ ო დ ი ს წ ე ვ ო რ ნ ი :

ალავერდელი მიტროპოლიტი **გ რ ი გ ო ლ ი** (ცერცვაძე)

ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი **და ვ ი თ ი** (ჭკადუა)

ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი **კ ო ნ ს ტ ა ნ ტ ი ნ ე** (მელიქიძე)

აგარაკ-წალკის მთავარეპისკოპოსი **თ ა დ ე ო ზ ი** (იორამაშვილი)

ბოდბელი მთავარეპისკოპოსი **ა თ ა ნ ა ს ე** (ჩახვაშვილი)

ნიკორწმინდელი ეპისკოპოსი **ა მ ბ რ ო ს ი** (ქათამაძე)

მარგველი ეპისკოპოსი **ქ რ ი ს ტ ე ფ ო რ ე** (წამახალიძე)

ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპისკოპოსი **ა ნ ა ნ ი ა** (ჯაფარიძე)

ჭყონდიდელი ეპისკოპოსი **ვ ა ხ ტ ა ნ გ ი** (ახვლედიანი)

წილკნელი ეპისკოპოსი **ზ ო ს ი მ ე** (შიოშვილი)

ქუთათელ-გაენათელი ეპისკოპოსი **კ ა ლ ი ს ტ რ ა ტ ე** (მარგალიტაშვილი)



ბათუმი. წმ. ნიკოლოზის ეკლესია. ნათლობა

მხოლოდ უფლის კურთხევით და მხოლოდ უფლის ნებით

კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ს

თქვენს ამ ქვეყნად მოვლინებას მადლი ახლდა მზედა,
გიკურთხევდათ მომავლის გზებს ღვთისმშობელი დედა.
საქართველოს სიხარული ცაზე ფრთებსა შლიდა—
მოდირით მაგ დიმილით კეთილად და მშვიდად.
მხოლოდ უფლის კურთხევა და მხოლოდ უფლის ნება,
საქართველოს გახარება, ქართველთ განბწყინება.
სადმართო ჭკრეტით, მაღალ ხედვით, წარუვალზე ფიქრით,
რით წარვდგებით მაცხოვართან დღეის ამას იქით?!


შინაგანი წამებით და შინაგანი ტანჯვით,
ღვთაებრივი ენერჯის მხოლოდ შუქად ხარჯვით.
მირონმდინარ სვეტიცხოვლით და სიონის მადლით,
გელათის შხით, იყალთოთი, ალავერდის ნათლით.
წმიდა ნინოს ვახის ჯვარით, მზე თამარის ხატით,
გზით, რომელიც აქ იწყება და სულ მადლა ადის.

გორგასლიან-დავითიან მახვილ-დროშით-ფიცით,
რწმენის ცეცხლით, — განუკვეთელ ანდამანტზე მტკიცით.
ლომ დიმიტრის თავდადებით, ქეთევანის სევდით,
არაგველთა ზვავის ქარით სიკვდილს ელდად ვლევდით.
დედა ცხრა ძმას აწოვებდა საფიცარი მკერდით,
მხოლოდ ღმერთიბა ვიმარჯვებდით, ხშირად, — ასზე — ერთი
უკვდავების წილნაყარი მუხა იყრის ყლორტებს,
წინაპართა კვალზე დგება, რომ მხეს გაუსწორდეს.
მადლიერი, კვლავ ძლიერი, ფეხზე დგება ერი
და ღვთიური ენერჯის საგალობელს მღერის:
მამულს ბევრი ეყოლება ვაჟი ღომისფერი.
ქართველთ გამარჯვების იყოს — მრავალჟამიერი!...

მთავარეპისკოპოსი **თაღეუზი** (იორამაშვილი)



1984 საქართველოს უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავ-
მჯდომარე პ. გილაშვილი ხალხთა მეგობრობის ორდენს გადასცემს
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს.



მსოფლიო კატრიარქი საქართველოში

ახალი, მნიშვნელოვანი ფურცლებით შეივსო საქართველოს ეკლესიისა და ერის მატრიარქი. ა. წ. 13-16 (26-29) აგვისტოს საქართველოს ეკლესიას ძმური, ოფიციალური ვიზიტით ეწვია მისი ყოვლადწმინდესობა, მთავარეპისკოპოსი კონსტანტინოპოლისა, ახლისა რომისა და მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I.

თბილისის აეროპორტზე ძვირფას სტუმრებს დახვდნენ მისი უწმიდესობა და უნეტარესობა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II, წმიდა სინოდის წევრი მღვდელმთავრები, სამღვდელოება და ერის წარმომადგენელი. აქვე იმყოფებოდა რელიგიების საქმეთა საბჭოს რწმუნებული საქართველოს რესპუბლიკაში ა. წიკლაური.

ძმური მისაღმებისა და მოკითხვის შემდეგ, ორივე პატრიარქმა გამოთქვა კმაყოფილება იმის გამო, რომ დიდი ხნის ლოდინის შემდეგ კონსტანტინოპოლისა და საქართველოს უძველეს ეკლესიათა მეთაურნი ერთმანეთს შეხვდნენ.

კონსტანტინოპოლისა და საქართველოს ეკლესიებს ხანგრძლივი და მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებთ. IV საუკუნიდან, მას შემდეგ, რაც ქრისტიანული სარწმუნოება ოფიციალურად იქნა აღიარებული ბიზანტიასა და საქართველოში, ამ ურთიერთობამ მტკიცე და ჩამოყალიბებული სახე მიიღო, ტრადიციად იქცა. არაერთხელ ამოდგომია მხარში ჩვენი ქვეყნები და ეკლესიები ერთმანეთს, არაერთხელ გაუწვიდათ ერთმანეთისათვის დახმარების ხელი. სამწუხაროდ, ორთავე ეკლესიის ავბედლობის გამო უკანასკნელ საუკუნეებში აღარ ხერხდებოდა ინტენსიური ურთიერთობანი. მხოლოდ მიმოწერის დონეზე არსებობდა ეს ურთიერთობა და მხოლოდ ძველი ტრადიციებისადმი პატივისცემა შემორჩენილიყო.

უწმიდესობა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II-ის ვიზიტით მსოფლიო საპატრიარქოში 1979 წ. ურთიერთობის ახალი ეტაპი დაიწყო. ხოლო მსოფლიო პატრიარქ დიმიტრიოს I-ის საქართველოში ვიზიტმა, პატრიარქ დიმიტრიოსისავე

სიტყვებით რომ ვთქვათ, „გვირგვინი დაადგა ამ ურთიერთობას“. დიმიტრიოსი პირველი მსოფლიო პატრიარქია, რომელიც საქართველოს ეკლესიას ეწვია.

კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ, საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის წევრებმა და სამღვდელოებას ყოველივე იღონეს იმისათვის, რომ მსოფლიო პატრიარქის პირველი ვიზიტი საქართველოში შთამბეჭდავი და სამახსოვრო ყოფილიყო, როგორც სტუმართათვის, ისე მასპინძელთათვის.

მსოფლიო პატრიარქს თან ახლდნენ: მირონის მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი, პერგის მიტროპოლიტი ევანგელოსი, ელენოპოლის მიტროპოლიტი ათანასე, ფილადელფიის მიტროპოლიტი ბართლომე, პერგამონის მიტროპოლიტი იოანე, მთავარდიაკონი ბ-ნი დიმიტრიოსი, წმიდა სინოდის მდივნის მოადგილეები ბ-ნი მელიტონი და ბ-ნი ქრიზოსტომოსი, პროფესორი ბ-ნი ემანუელ ფოტადისი, ჟურნალისტები: ბ-ნი სპირიდონ ალექსიუ, ბ-ნი ედუარდ დალარა, ბ-ნი ნიკოლოზ მანგინა და სხვანი. შეხვედრაზე საუბარი ეხებოდა იმ ტრადიციებს და ძმურ ურთიერთობას, რაც ოდითგანვე აკავშირებდა ამ ორ ეკლესიას. დაისახა სამომავლო გეგმები და განისაზღვრა ის ჩარჩოები, როგორც უნდა წარიმართოს ეს ურთიერთობანი. შეთანხმდნენ, რომ ყველა პრობლემა, რომელიც ხანგრძლივი პასიური ურთიერთობის შედეგად წარმოიშვა, ამ ეკლესიებს შორის და ზოგადად ყველა ადგილობრივ ეკლესიებში იჩინა თავი, უნდა გადაჭრილ იქნას უახლოეს მომავალში, რათა ერთსულოვნების, ძმური და ერთიანობის განწყობით შეხვდნენ მომავალ მსოფლიო მართლმადიდებლურ საეკლესიო კრებას, რომლის მოწვევაც გარდაუვალია.

14 /27/ აგვისტოს და 15/28/ აგვისტოს დღით, მარიამობის დღესასწაულზე სიონის საპატრიარქო ტაძარში ორმა პატრიარქმა მღვდელმთავრებისა და სამღვდელოების თანაშვირველობით შეასრულეს ღვთისმსახურება. შეავედრეს ღმერთს თავიანთი ხალხები, ჩვენი ეკლესიებისა და მთელი მართლმადიდებლობის ურთი-



მსოფლიო პატრიარქი დიმიტრიოს I და კათოლიკოს-პატრიარქი ილია II

ერთობა, ილოცეს მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში. წირვის დასასრულს პატრიარქებმა ერთმანეთს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს. მისი ყოვლადუწმიდესობა-დიმიტრიოს I საქართველოს საპატრიარქოში წმიდა გიორგის I ხარისხის ორდენით დააჯილდოვა.

მისმა ყოვლადუწმიდესობა დიმიტრიოს I-მა მოილოცა მცხეთისა და თბილისის წმიდა ადგილები. სასოებით თაყვანი სცა მთელი საქრისტიანოს უდიდეს სიწმიდეს, ქრისტეს სამსჭვალს — ლურსმანს, რომელიც კონსტანტინე დიდმა გამოუგზავნა ახლადგაქრისტიანებულ საქართველოს, IV საუკუნეში. ემთხვია წმიდა ნინოს ვახის ჯვარს, წმიდა თომა მოციქულის თავს და წმიდა გიორგის წმიდა ნაწილს. ყველა ეს სიწმიდე სიონის საპატრიარქო ტაძარში ინახება. ხოლო მცხეთაში, სვეტიცხოვლის დიდ ტაძარში ემთხვია იმ სვეტს, რომლის ქვეშაც უფლის კვართია დაფლული. მამობრივი ღოცვა-კურთხევით მი-

მართა სვეტიცხოვლის ტაძარში მყოფთ. მოუწოდა მათ მშვიდობიანი თანაარსებობისა და სიყვარულისაკენ.

15 (28) აგვისტოს, საღამოს მისმა უწმიდესობამ და უნეტარესობამ, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ საზეიმო დარბაზობა გაართა მისი ყოვლადუწმიდესობის, დიმიტრიოს I-ის პატივსაცემად. დარბაზობაზე პატრიარქებმა მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს.

მიუხედავად ასეთი ხანმოკლე ვიზიტისა, რომელიც პატრიარქ დიმიტრიოსის თქმით, საოცარ და ლამაზ სიზმარს ჰგავდა, სტუმრებს თან გაჰყვათ საქართველოსა და ქართველი ხალხის სიბოლო, სიყვარული და კეთილი დამოკიდებულება. ეჭვგარეშეა, რომ ამ ეკლესიათა ურთიერთობის ღრმა ფესვები ახალ ყლორტებს გამოიღებს, ახალ ნაყოფს მოისხამს ორივე ეკლესიისა და ხალხის საკეთილდღეოდ.

**მისი უწმიდესობის, სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-კატრიარქის, ილია II-ის სიტყვა
წარმოთქმული სიონის საკათრიარქო
ტაძარში**

**თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, ქრისტესმიერ საყვარელო ძმაო,
თქვენო მაღალყოვლადუსამღვდელოესობავ,
ქრისტესმიერნო ძმანო და დანო!**

მინდა გამოვთქვა დიდი სიხარული მისი ყოვლად-
უწმიდესობის, ეკუმენური პატრიარქის, დიმიტრიოს I-
ისა და მისი თანმხლები პირების საქართველოში ჩამო-
სვლის გამო. ეს არის ჭეშმარიტად ისტორიული ფაქტი.

თქვენი ჩამობრძანებით, თქვენო ყოვლადუწმიდესო-
ბავ, ჩვენ ვღებულობთ იმ დიდებულ წმიდა მამების ლო-
ცვა-კურთხევას, რომელიც მოღვაწეობდნენ კონსტანტი-
ნეაპოლის კათედრაზე, ვღებულობთ იმ ბრწყინვალე მოწა-
მეთა ლოცვა-კურთხევას, ქრისტიანობის ისტორია რომ
დააშუქვენს.

ხოლო ამ წმიდა ტაძარში იმ მაღლმოსილი ქვეყნის
სახელით მინდა მოგესალმობთ, სადაც დაცულია კვართი
უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი, მოგესალმობთ იმ კურ-
თხეული ერის სახელით, რომელიც არის წილხვედრი ყო-
ვლადუწმიდა ღვთისმშობლისა, იმ ეკლესიის სახელით,
რომელიც დაარსებულია წმიდა მოციქულთა: ანდრია
პირველწოდებულისა და სვიმონ კანანელის მიერ; მინ-
და მოგესალმობთ საქართველოს ეკლესიის წმიდა სინო-
დის, ჩვენი სამღვდელოებისა და ღვთივეკურთხეული ერის
სახელით.

ჩვენი უბედვრისა საპატრიარქოების კავშირს დიდი
ხნის ისტორია აქვს. საქართველოს და კონსტანტინოპო-
ლის ეკლესიები ხომ ერთი და იმავე მოციქულის, წმიდა
ანდრია პირველწოდებულის მიერაა დაარსებული.

ჩვენს სიახლოვეს პირველი საუკუნიდანვე ჩაყვარა
საფუძველი; აქტიური ურთიერთობა კი იწყება IV საუკუ-
ნიდან, როცა ქრისტიანობა საქართველოში სახელმწი-
ფო რელიგიად გამოცხადდა. სამსჭვავლი ქრისტესი, ერ-
თი იმ ოთხთავანი, რომლითაც იყო ჯვარცმული მაცხო-
ვარი და რომელიც იმპერატორმა წმიდა კონსტანტინე
დიდმა გამოგზავნა საქართველოში, ერთხელ კიდევ შე-
გვახსენებს ამ მეგობრულ დამოკიდებულებას. ჩვენ ბი-
ზანტიიდან მივიღეთ ქრისტიანობა იმ დროს, როცა ჯერ
არ იყო ჩამოყალიბებული მისი გარეგნული ფორმები,
მაგრამ უკვე დიდი იყო სულიერი ძალა. ეს ის ძალაა, რო-
მელმაც დღემდე შეგვინარჩუნა ჭეშმარიტი სარწმუნოება,
მამული, ენა, ეროვნება. ჩვენს შორის ცხოველი ურთიერ-
ობა იწყება V საუკუნიდან, როცა საქართველოს ეკლეს-
იამ მიიღო ავტოკეფალია, როცა განმტკიცდა ჩვენი
ეროვნული და რელიგიური შეგნება. ეს ურთიერთობა არ
შეწყვეტილა საუკუნეთა მანძილზე. ამას მოწმობს ჩვენი
არქიტექტურა, ხატწერა, ხელოვნება... როგორც საქარ-

ველოში, ისე ბიზანტიაში მრავალი პიროვნება იყო, ვინც
დამაკავშირებელ ხილს სდებდა ამ ორ ქვეყანას შორის.
გაიხსენოთ თუნდაც დიდი იოანე ოქროპირი-ქრიზოს-
ტომოსი. იგი საქართველოში იყო გადმოსახლებული. აქ-
ვე აღესრულა და კამანში, ცხუმ-აფხაზეთის ეპარქიაში
პოვა განსასვენებელი. შემდეგ მისი ნეშტი კონსტანტი-
ნოპოლში გადაასვენეს. წმიდა იოანეს სარკოფაგი დღემ-
დე ინახება სოხუმის საკათედრო ტაძარში, როგორც ერთ-
ერთი უდიდესი სიწმიდე ჩვენი ეკლესიისა.

ქრისტიანული რწმენის განმტკიცებისა და ცოდნის
დონის ამაღლებისთვის მრავალი ქართველი ბერი მიდი-
ოდა ახლო აღმოსავლეთსა და მცირე აზიაში. ისინი იქ
სწავლობდნენ, მაგრამ ამავე დროს, ქართულ კულტურა-
საც აცნობდნენ ბერძნულ სამყაროს.

ჩვენს ეკლესიათა ურთიერთობაში, როგორც მოგვხსე-
ნებათ, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ათონის ივერთა მო-
ნასტერს, რომელიც ქართველმა მამებმა: იოანე, ექვთიმე,
გიორგი მთაწმიდელებმა დააარსეს. ეს სავანე დიდი ხნის
მანძილზე იყო, როგორც ლოცვისა და სულიერი მოღვაწე-
ობის, ისე კულტურულ—საგანმანათლებლო ცენტრი. იგი
იყო ხიდი საქართველოსა და ბიზანტიას შორის. სამ-
წუხაროდ, ამ მონასტერთან ჩვენი კავშირი არ არის მტკი-
ცუ-დარწმუნებული ვართ, თქვენი ლოცვა-კურთხევით,
თქვენო ყოვლადუწმიდესობავ, დადგება ის კურთხეული
დღე, როცა ქართველი ბერები ჩავლენ ივირონში და ბერ-
ძნებთან ერთად იმოღვაწებენ.

ჩვენი ქვეყნების ბედი მსგავსია ერთმანეთისა. მუდამ
მტრის გარემოცვაში ვიყავით, მაგრამ ვიცავდით ჩვენს
რწმენას და სამშობლოს. ისტორიიდან ვიცით, როცა
უჭირდა ბიზანტიას, მართლმადიდებელი საქართველო
მუდამ იდგა მის გვერდში; როცა უჭირდა საქართველოს,
ბიზანტია გვეხმარებოდა, რადგან ჩვენს შორის სუფევდა
უფალი. ეს დღესაც ასეა. ვფიქრობთ, ასე იქნება მომავ-
ალშიც.

ამ რვა წლის წინ საქართველოს დედაქალაქის სტუმ-
რობამ კონსტანტინოპოლში აღადგინა ჩვენი ეკლესიების
ურთიერთობის საუკუნეობრივი ტრადიცია. ახლანდელმა
თქვენმა ვიზიტმა კი ახალ სიმაღლეზე აიყვანა ეს
კავშირი.

ვიმედოვნებთ, ის პრობლემები, რომლებიც არსებობს
ჩვენს ურთიერთობაში, საერთოდ მართლმადიდებელ ეკ-
ლესიათა შორის, ღვთის შეწევნით, ახლო მომავალში და-

იძლევა. ერთიანობისათვის განსაკუთრებული ზრუნვა გემართებს ახლა, როცა ყველანი ვეშალებით მართლმადიდებელთა დიდი და წმიდა კრებისათვის. ქრისტიანული მართლმადიდებელი ეკლესია ატარებს და იცავს იმ რწმენას, იმ ტრადიციებს, რომელიც ახასიათებდა განუყოფელ ეკლესიას. მსოფლიომ უნდა იგრძნოს მისი სიწმიდე, მისი ერთიანობა, დიდია ეკუმენური საპატრიარქოს და, პირადად თქვენი დამსახურება, თქვენი ყოვლადუწმიდესობავ, მართლმადიდებელ ეკლესიათა დაახლოების საქმეში; დიდია თქვენი წვლილი მსოფლიო მშვიდობის განმტკიცებაში. მადლმოსილია თქვენი მოღვაწეობა კონსტანტინოპოლის საპატრიარქო ტახტზე. ამიტომაც

საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა მიიღო დადგენილება, მოგანიჭოთ ჩვენი საპატრიარქოს უმაღლესი ჯილდო, ორდენი წმიდისა დიდმოწამისა გიორგისა. დაე, უფალმან განამრავლოს წელნი თქვენი ცხოვრებისანი, ჯანმრთელგყოთ, რათა მოუღლეოდ ემსახუროთ მსოფლიო პატრიარქის მაღალ ტახტს. ...ემსახუროთ, მთელი ქრისტიანული სამყაროს საკეთილდღეოდ. დაე, მშვიდობითა და სიყვარულით აკურთხოს უფალმა ჩვენი ერები და ეკლესიები.

ჩემი სიტყვა მსურს დავამთავრო წმიდა იოანე ოქროპირის ცნობილი გამოთქმით:

გმადლობ, უფალო, ყველაფრისათვის. ამინ!



საპატრიარქო რეზიდენციაში



მისი უწმიდესობის, მსოფლიო კატრიარქის, დიმიტრიოს I-ის სიტყვა, წარმოთქმული სიონის საპატრიარქო ტაძარში

უწმიდესო და უნეტარესო მთავარეპისკოპოსო მცხეთა-თბილისისა და სრულიად იმერიის კათოლიკოსო ილია, ქრისტეს მიერ მათად საყვარელო ძეგო.

მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქთან ვიზიტის შემდეგ სიხარულით ვეწვიეთ თქვენს სამეუფოს, რომელთანაც სიყვარული და კეთილგანწყობა აკავშირებდა ოდითგანვე ჩვენს ქრისტესმიერ დიდსა და წმიდა ეკლესიას. ვხარობთ, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში ტანჯულმა, საქართველოს მართლმადიდებლურმა ეკლესიამ კვლავ მოიპოვა თვითმმართველობა. იგი თანაგრძობას და სიყვარულს იმსახურებს წმიდა ტრადიციებისა და მართლმადიდებლური სარწმუნოების დასაცავად მრავალი განსაცდელის ვაჟკაცურად დათმენისათვის. კეთილგანწყობით შესცქერის მის პრობლემებს მსოფლიო საპატრიარქო და ადგილობრივი მართლმადიდებელი ეკლესიები.

ადგვიდგინეთ სადიდებლებსა და სამადლობლებს ეკლესიის დამფუძნებლის, ქრისტე ღმერთის მიმართ, რამეთუ ღირსგვყო შეგვესრულებინა გაუმჯღავნებელი და წმიდა სურვილი ჩვენი, — ჩამოვსულიყავით თქვენს ღირსეულ უნეტარესობასთან, თქვენსავე კათედრაზე, საქართველოს მშვენიერ და ისტორიულ ქალაქ თბილისში.

და აი, ჩვენს კურთხეულ მიტროპოლიტებთან და სხვა თანმხლებ პირებთან ერთად, ვდგევართ წინაშე თქვენი სიყვარულისა, წინაშე თქვენი ყოვლადუსამღვდელოესი

მღვდელმთავრებისა და წინაშე თქვენს თანამოდგავეთა, მიიღეთ კურთხევა, უღრმესი სიყვარული და პატივისცემა კონსტანტინოპოლის უწმიდესი ეკლესიისა.

უნეტარესო, მოვედით თქვენთან ვითარცა ძმა „სიყვარულითა და სულითა მშვიდობისათა“. (კორინთ. 1, 4, 21). მოვედით, რათა გამოვხატოთ სიხარული ქართველი ერის მორწმუნეობით. გვსურს, განვამტკიცოთ ძველი და წმიდა კავშირი, რომელიც არსებობდა ჩვენს ეკლესიებს შორის. გაძლიერება და გაზრდა მართლმადიდებლური ერთიანობისა და ქრისტეს მსახურება მსოფლიო საპატრიარქოს უმთავრესი საზრუნავთაგანია. ამ კუთხით ჭვრეტს იგი თავის მიზანს. ამიტომაც 1961 წლიდან იწვევს სხვადასხვა პანორთოდოქსალურ კონფერენციებს, ათწლეულის განმავლობაში კი ატარებს წინარესინოდურ კონფერენციებს, იმ განზრახვითა და სურვილით, რომ დანქარდეს მართლმადიდებლური ეკლესიის წმიდა და დიდი სინოდის (კრების) მოწვევა.

ღვთის შეწევნით, ვფიქრობთ მიღწეულ იქნება ეკლესიის მტკიცე ერთიანობა სადიდებლად ღვთისა, გასაძლიერებლად თავისი კეთილშობილური ავტორიტეტისა და მაცხოვრებელი მისიისა მის გარე მყოფთათვის.

მოვედით, რათა თქვენთან ერთად ვილოცოთ საყვარე-



წირვის შემდეგ სიონის ეზოში.

ლო ძმად, მშვიდობისათვის ქვეყანასა ზედა, ღვთის წმიდა ეკლესიების განსამტკიცებლად და მათი გაერთიანებისათვის, რისთვისაც მუდამდღე აღავლენს ლოცვებს ჩვენს წმიდა ეკლესია.

მიმაჩნია, ჩვენი ჩამოსვლით განახლდა ჩვენს ეკლესიებს შორის არსებული ურთიერთობა და დაიწყო ბრწყინვალე ეტაბი.

ჩვენი აქ ყოფნა არ არის უბრალო და ჩვეულებრივი საბასუხო ვიზიტის შედეგი. გაცილებით ადრე არსებობდა ჭეშმარიტი ურთიერთობა ჩვენს ეკლესიებსა და მათ მეთაურებს შორის. დღეს კი, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დიდ დღესასწაულზე, ჩვენი თანამწირველობით, ამ ურთიერთობამ მწვერვალს მიაღწია.

მსგავსი ურთიერთობანი მოძმე ადგილობრივ მართლმადიდებლურ ეკლესიათა შორის, რომელნიც სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში იმყოფებიან, გვაგონებენ წმიდა ირინეოსის სიტყვებს, რომ ეკლესია განთესილია მთელს ქვეყანაზე, მაგრამ ისე მოჩანს, თითქოს ერთ ოჯახში ცხოვრობდესო. ანუ, იგი არის ერთი, რადგან რწმენაც ერთია და ტრადიციათა ძალაც ერთნაირია.

აქ, საქართველოში, სამი დღის განმავლობაში თავს ფიზიკური და სულიერი სილამაზის სამყაროში ვგრძნობდით, უძველეს ტრადიციების სამყაროში, ეკლესიური მაღლისა და დიდების, შინაგან ღვთისმთავრ სამყაროში. და განიხარა სულმა ჩვენმა ეკლესიის დამფუძნებლის, იესო

ქრისტეს მიერ, რომელსაც მრავალჯერ შევწირეთ მადლობა ამ კურთხეული დღეებისა და განსაკუთრებით კი დღევანდელი საღმრთო ლიტურგიის გამო. ჩვენი მკვედრეული ლოცვაა—ცხოვნდეს ქართველი ერი. მართლმადიდებლური რწმენის ძალით, იდიდოს და აყვავდეს მრავალი სიკეთით, უფლის სასიხარულოდ და საამაყოდ, ასევე ცხოვნდეს და აყვავდეს კონსტანტინოპოლის დიდი ეკლესიაც, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მჭიდროდ იყო გადაჯაჭვული თქვენს ქვეყანასთან, ეკლესიასთან, ხალხთან.

უნეტარესო წმიდაო ძმად, გადმოგცემთ გულთბილ მადლობას იმ ზრუნვისა და ყურადღებისათვის, რაც თქვენ გამოიჩინეთ. ჩვენი თქვენს გვერდით ამ დღეებში ყოფნა ბედნიერი და დაუვიწყარია. წარმოდგენაც კი შეუძლებელია უფრო გულითადი, უფრო ძმური და უფრო ამაღლევებული მიღებისა, ზრუნვისა და მასპინძლობისა. გვწამს, ეს იმით აიხსნება, რომ მიგვიღეთ, არა როგორც სტუმრები, არამედ როგორც ჭეშმარიტი ძმები. ჩვენც ასევე მოვედით თქვენთან, ვითარცა ძმები — ძმებთან, გულწრფელი სიყვარულითა და მხიარულითა და განმარტებულითა გულითა“. (საქმ. 2, 46).

მივემზავრებით და ვუტოვებთ ჩვენს მამობრივ კურთხევას საქართველოს და მის მორწმუნეებს. დაე, სამარადისოდ გაგრძელდეს დიდი სიცოცხლე და ტრადიციები ამ მიწისა.





უნეტარესი მაქსიმე V საქართველოში

27 მაისს (10) სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თავის რეზიდენციაში მიიღო არაოფიციალური ვიზიტით საქართველოში სტუმრად მყოფი უნეტარესი მაქსიმე V — პატრიარქი ანტიოქიისა და სრულიად აღმოსავლეთისა, ალექსანდრიისა და იერუსალიმისა, თანმხლები პირებით.

საქართველოს ეკლესიის მხრიდან მიღებას ესწრებოდნენ: ბათუმ-შემოქმედელი მიტროპოლიტი კონსტანტინე, მარგვეთის ეპისკოპოსი ქრისტეფორე, პროტოპრესვიტერი გურამ შალაშვიდი, დეკანოზი ზურაბ სირაძე და კათოლიკოს-პატრიარქის რევერენტი ვლადიმერ საბიაშვილი. ასევე, რელიგიების საქმეთა საბჭოს უფროსი ინსპექტორი ოთარ ჯაში. მისალმების შემდეგ გაიმართა საუბარი.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — მოხარულნი ვართ თქვენი საქართველოში ჩამობრძანებით. ჩვენს შორის ურთიერთობას დიდი ხნის ისტორია აქვს. ქართული ეკლესია ამჟამად ამ ურთიერთკავშირით. საუკუნეთა მანძილზე ჩვენ მჭიდრო კავშირი გვქონდა აღმოსავლეთის ეკლესიებთან და გვინდა, რომ ასევე გაგრძელდეს. კიდევ ერთხელ გამოვთქვამ დიდ კმაყოფილებას თქვენი საქართველოში ჩამობრძანების გამო და ვიმედოვნებ, კვლავაც ბევრჯერ შევხვდებით ერთმანეთს. ვისურვებდი, შემდეგში ოფიციალური ვიზიტით ჩამოსულიყავით ჩვენთან.

უნეტარესი მაქსიმე V — გმადლობთ. როგორც კი საბჭოთა კავშირში ჩამოსვლა გადაწყვეტილ იქნება ვისურვებ საქართველოში თქვენი მონახულებას. მოგწერთ კიდევ წერილი.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — სამწუხაროდ, არ მიგვიღია.

უნეტარესი მაქსიმე V — როგორც ანტიოქიის პატრიარქმა, არ შემიძლია დავივიწყო ის ურთიერთობა, რომელიც ჩვენ გვქონდა. მიუხედავად იმისა, რომ დავშორდით, მინც ანლოს ხართ ჩვენს გულებთან. ჩემთან ერთად საბჭოთა კავშირში 40 კაცი ჩამოვიდა. ეს არის პირველი ვიზიტი და, ვიმედოვნებ, არც უკანასკნელი იქნება. მინდა გითხრათ, რომ ჩვენ ვლოცულობთ თქვენთვის და საქართველოსთვის. თქვენც ილოცეთ ჩვენთვის. იქ ომია. ისრაელმა დაიკავა აღმოსავლეთი. 13 წელია ომია ლიბანში და დასასრული არ უჩანს. ამიტომაც ვმოგზაურობთ ბევრს, ვხვდებით ჩვენს მორწმუნეებს, ვეძებთ მათ. დაახლოებით მილიონი მორწმუნე გაიფანტა მსოფლიოში. აღმოსავლეთში 100 ათასი გვყავს. გვაქვს 3 საპატრიარქო — სირიაში, ანტიოქიაში, ლიბანსა და სუდანში. წელს გამოვეცით წიგნი გაფანტულ მორწმუნეებს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ჩვენ დიდად განვიცდით თქვენი რეგიონის მდგომარეობას. აღვაფლენთ ლოცვებს, რათა უფალმა თქვენს ხალხს მშვიდობა მოანიჭოს. დღეს ისეთი დროა, რომ ეკლესიებს არა აქვთ უფლება დარჩნენ მეთვალყურის როლში. საჭიროა აქტიური ბრძოლა და თქვენი ეკლესია ბევრს აკეთებს ამისათვის. როცა ვფიქრობ მეცნიერულ მიღწევებზე, რომლებმაც ასეთი საშიშროება შეუქმნა კაცობრიობას, მგონია, რომ ეს გამოიწვია ჩვენმა სულიერმა ჩამორჩენამ. პირველი მიზანი ეკლესიისა არის ის, რომ ჩვენს მრევლს ჩაუუნერგოთ მეტი ინტელექტი, სულიერობა. ხშირად ადამიანი ძველი კატეგორიებით ფიქრობს, საჭირო კი ახალი აზროვნებაა. ჩვენი ეკლესიის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა რომის პაპის მიერ მოწყობილ საყოველთაო სამშვიდობო ლოცვაში, რომელიც იტალიაში, ქალაქ ასიზში ჩატარდა. ვფიქრობ, ასეთ ლოცვებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. გთხოვთ, არ დაგვივიწყოთ თქვენს ლოცვებში.

უნეტარესი მაქსიმე V — ჩვენ ყოველთვის ვლოცულობთ თქვენთვის.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ამ რამდენიმე წლის წინ შეხვდი რომის პაპ იოანე-პავლე II-ს, ვატიკანში. ეს იყო ისტორიული ვიზიტი. თქვენ ხშირად ბრძანდებით ვატიკანში?

უნეტარესი მაქსიმე V — მარტის თვეში ორჯერ ვახლდით იქ. ჩვენ ძმური ურთიერთობა გვაქვს რომის კათოლიკურ ეკლესიასთან. ამჟამად ვატიკანი ძირითადად დაკავებულია ლიბანის საქმეებით, ამიტომ ხშირად ჩავდივართ იქ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ალბათ იცით, რომ შემოსი რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავია. თქვენ თუ ფიქრობთ მონაწილეობის მიღებას?

უნეტარესი მაქსიმე V — თუ ცოცხალი ვიქნები, კი. მე ხომ 80 წელზე მეტი ხნისა ვარ.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — როგორც ვიცი, ვატიკანიც მიიღებს მონაწილეობას. თითქოს რომის პაპიც აპირებს რუსეთში ჩამოსვლას. მართალია თუ არა ეს? თქვენთვის ხომ არაა ცნობილი?

უნეტარესი მაქსიმე V — დიახ, ლაპარაკობენ. მეც მსმენია ამის შესახებ. პაპის ჩამოსვლა მოსკოვში პოლიტიკურ ამბებთან არის დაკავშირებული. თქვენ, პატრიარქ პიმენთან ერთად ეშხადებით ამ დღესასწაულისათვის?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — მეც ისეთივე სტუმარი ვიქნები ამ დღესასწაულზე, როგორც თქვენ. ჩვენი ეკლესიები ერთ სახელმწიფოშია, მაგრამ ისინი დამოუკიდებელი ეკლესიებია.

უნეტარესი მაქსიმე V — ე. ი. თქვენი ეკლესია თავის შრიდან არ აღნიშნავს რუსეთის გაქრისტიანების 1000 წლისთავს?


კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ჩვენ მივიღებთ შოლოდ მონაწილეობას. ამ რამდენიმე წლის წინ ქართულმა ეკლესიამ იზეიმა თავისი ავტოკეფალიის 1500 წლისთავი.

უნეტარესი მაქსიმე V — გასაკუბია. საქართველოში შოლოდ მართლმადიდებლები ცხოვრობენ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ძირითადად ქართველი ერი მართლმადიდებელია. თუმცა მცირე რაოდენობით გვხვდებიან კათოლიკები და აგრეთვე, მუსულმანებიც. გარდა ამისა, ჩვენთან ცხოვრობენ მონოფიზიტი სომხები, ებრაელები, ქურთები, აზერბაიჯანელები და სხვანი.



საღმრთო ლიტურგიის შემდეგ



სინის მთა წმიდათაწმიდა ადგილია მთელი საქრის-
ტიანოსათვის. ეს ხომ ის მთაა, რომელზედაც უფალმა და-
აღვა ფეხი, გამოეცხადა მოსე წინასწარმეტყველს და ათი
მცნება გადასცა. აქვე, ამ მთის კალთებზე გამოეცხადა
წინასწარმეტყველს ღვთისმშობელი — „მაყვალე შეუწვე-
ლი“, მაყვლის ბუჩქი, რომელსაც ცეცხლი კეიდა და არ
იწვოდა. ამიტომაც ოდითგანვე მიისწრაფოდნენ ჩვენი
მორწმუნე თანამემამულეები სინის მთისკენ. იერუსალიმ-
თან ერთად იგი უწმიდესი და სანატრელი ადგილი იყო
ქართველი ერისათვის. არა ერთი ეკლესია აუშენებია მას
სინის მთის კალთებზე და მის ახლომდებარე მიდამოებ-
ში. წმიდა ეკატერინეს მონასტერშიც ბერძენ და სხვა
ქრისტიან ბერებთან ერთად ცხოვრობდნენ და იღვწოდ-
ნენ ქართველი ბერები. ფასდაუდებელია ეროვნული კულ-
ტურის შესასწავლად მათი ერთობლივი ნაღვაწი, თარ-
გმანები და ორიგინალური ნაშრომები. ამიტომაც ძალზე
სახიზარულოა, რომ უკვე VII საუკუნეში დაწეული ძმუ-
რი ურთიერთობა კვლავაც გრძელდება. მისმა უწმიდესო-
ბამ და უნეტარესობამ, სრულიად საქართველოს კათო-
ლიკოს — პატრიარქმა ილია II-მ დიდის რწმენითა და სა-
სიუბოთი მოილოცა სინის მთის წმიდათაწმიდა ადგილები.
(1984 წ.) ყოველი ღონე იხმარა ძველი ტრადიციის აღდ-
გენისა და განმტკიცებისათვის. და აი, 1987 წლის 3—6
(16—19) ივნისს საქართველოს ეკლესიას ძმური, ოფიცი-
ალური ვიზიტით ეწვია მისი მაღალყოვლადუსამღვდე-
ლოესობა, სინის მთისა და რაითის მთავარეპისკოპოსი
დამიანე.

მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას თან ახლდ-
ნენ: სინის მთის წარმომადგენლობის, წმიდა ბარბარეს
ეკლესიის წინამძღვარი ქ. აქარნაში (საბერძნეთი), არქი-
მანდრიტი ავთანუგლოსი (მარანგულაკისი), სინის მთის
წმიდა ეკატერინეს მონასტრის ეკონომი და ბიბლიოთეკა-
რი ბერი დიმიტრიოსი (დიგბასანისი) და სინის მთის სა-
არქიებისკოპოსოს მდივანი, ამბედის სასულიერო სკო-
ლის დირექტორის მოადგილე ქაიროში ნიკოლაოს ბაღი-
სი.

3 (16) ივნისს სტუმრებმა საქართველოს ეკლესიის
საჰეტიმპურობელთან, მღვდელმთავრებთან და სამღვდე-
ლოებასთან ერთად ჩაატარეს პარაკლისი. შეავადრეს
უფალს თავიანთი ერები, დალოცეს მათი კავშირები და
ძმური ურთიერთობანი. მოილოცეს მცხეთისა და თბილი-
სის სიწმიდენი. სტუმრებზე განსაკუთრებული ზეგავლენა
მოახდინა საქართველოს ეკლესიისა და ქართველი ერის
სათუთმა დამოკიდებულებამ თავისი წარსულისა და ტრა-
დიციებისადმი. მართლაც და, რით გააკვირვებ უწმიდესი

ადგილების ბინადართ, თუ არა სულის სიფაქიზით, წარ-
სულისა და ტრადიციების პატივისცემით და კაცთმოყვა-
რობით, რაც ღვთის სიყვარულის დასაბამია.

სტუმრებს საშუალება მიეცათ გაცნობოდნენ საქარ-
თველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კაკელიძის სახელო-
ბის ხელნაწერთა ფონდს და ამ ინსტიტუტის მუშაობის
სტრუქტურას. გააცნათ ინსტიტუტის თანამშრომლების
დამოკიდებულებამ ხელნაწერებისადმი, მათმა მაღალმა
კვალიფიკაციამ და საქმისადმი ერთგულებამ. ინსტიტუ-
ტის დირექტორმა, აკადემიკოსმა ელენე მეტრეველმა დრო
არ დაზოგა და მათ ზედმიწევნითი სიზუსტით უამბო ყო-
ველი ხელნაწერის თავგადასავალი. განსაკუთრებულად
გაამაზვია ყურადღება სინური წარმომავლობის ხელნა-
წერებზე, რაც, მართლაც, სტუმართა დიდ ინტერესს იწ-
ვევდა. ისინი გულწრფელად მადლობელნი დარჩნენ ქ-ნ.
ელენე მეტრეველისა. ეს ინფორმაცია, მეტად მნიშვნელო-
ვანი იყო მათთვის, რადგან, როგორც აღნიშნეს, უკვე
შეუღვდნენ წმ. სინის მთისა და მონასტრების დაწვრილე-
ბითი ისტორიის წერას.

5 (18) ივნისს სტუმრებს შეხვედრა მოუწყო თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატმა და მეც-
ნიერთა ჯგუფმა. სინა — საქართველოს ურთიერთობებს
შეეხნენ ქართველი მეცნიერები: უნივერსიტეტის რექტო-
რი პროფ. ნ. ამაღლობელი, საქართველოს მეცნიერებათა
აკადემიის წევრ-კორესპონდენტი მ. ლორთქიფანიძე.
პროფესორები: მ. შანიძე, ლ. მენაბდე, ე. ხინთიბიძე, აკ.
ურუშაძე და სხვანი. პროფესორების რ. გორდუზიანისა და
აღ. ალექსიძის მიბატიყვებით დაათვალიერეს ოსს ხმელ-
თაშუა ზღვის პრობლემათა კვლევის ლაბორატორია.

წმ. სინის მთისა და რაითის მთავარეპისკოპოსმა და-
მიანემ და წმ. ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკარმა
მღვდელ-მონოზონმა დიმიტრიოსმა ისაუბრეს წმიდა ეკა-
ტერინეს მონასტერში არსებულ ქართულ ხელნაწერებზე,
მათ მდგომარეობაზე. შეეხნენ, აგრეთვე, ახლად აღმოჩე-
ნილ ქართულ ხელნაწერებსაც.

სინის მთაზე, წმიდა ეკატერინეს მონასტრის ერთ-
სენაკში როგორც ჩვეთვის ცნობილია, ქართული ხელ-
ნაწერების ფრაგმენტები აღმოჩნდა, რომელთაც ჯერ მეც-
ნიერთა ხელი არ შეხებია. ამ ხელნაწერთა შესწავლა
უსათუოდ ბევრ ახალ და საინტერესო ცნობას გამოავ-
ლენს ქართული კულტურისათვის. დაისახა კიდევ ურ-
თიერთთანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

გადაწყდა, რომ შეიქმნას სინური პრობლემების სა-
პატრიარქოსთან არსებული სამეცნიერო კვლევის ცენ-
ტრი. გამოიყოს ახლად აღმოჩენილი ქართული ხელნაწე-

რების შემსწავლელი ჯგუფი, რომელშიც სპეციალისტებთან ერთად ბერძენი პალეოგრაფისტებიც — წმიდა ეკატერინეს მონასტრის ბერები — იქნებიან გაერთიანებული. გაიგზავნოს სინის მთაზე მეცნიერთა და სამღვდლო პირთა ჯგუფი და აღვიღოთ შესრულდეს პირველადი სამუშაოები. შედგეს პირველი მოკლე აღწერილობა და სხვა.

სინის მთის მთავარეპისკოპოსმა ივალდებულა, რომ სინური პრობლემების კვლევის ცენტრი აღჭურვოს სინის მთაზე არსებული ყველა ქართული ხელნაწერის მიკროფილმით და იმ გამოცემებით, რაც მონასტრის ბიბლიოთეკაში არსებობს. საქართველოს ეკლესია კი აქტიურად

ითანაშრომლებს სინის მთის წმიდა ეკატერინეს მონასტრის ბერთა იმ სამეცნიერო ჯგუფთან, რომლებიც სინის მთის ისტორიას შეისწავლის. მიაშველებს მათ სამეცნიერო ლიტერატურას, ქართულ მკვლევართა გამოკვლევებს, რომლებიც სინის მთას ეხება, ან მასთან არის დაკავშირებული.


საბოლოოდ, სინური პრობლემების კვლევის ცენტრის მიერ მოზადებული ახლად აღმოჩენილ ქართულ ხელნაწერთა კატალოგი გამოიცემა ორ ენაზე — ქართულად და ბერძნულად, მოკლე ინგლისური რეზიუმეით, უხვი ფოტო მასალით.



ჯვარის მონასტერთან.



საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტში.



ს ტ უ მ რ ე ბ ი ე ლ ა რ ი რ ა ნ

7-8 (20-22) ივლისს საქართველოს ეკლესიაში სტუმრად იმყოფებოდნენ ელადის ეკლესიის წარმომადგენლები: მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი ახლისა კრინესა და კალამარიასი, პროკოფი, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი ნეაპოლისა და სტავროპოლისა, დიონისე, მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი იერიოსისი, მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, მიტროპოლიტი წმიდა მთისა და არდამერიისა ნიკოდიმე, ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი თეუბოლეოსისა პანტელეიმონი (მსოფლიო სპატრიარქო), ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი დოდონისა ქრიზოსტომოსი, ყოვლადუსამღვდელოესი ეპისკოპოსი არსენიოსი, სტეფანე (ალექსანდრიის

საპატრიარქო), მაღალდირსნი არქიმანდრიტნი: ქრიზოსტომოს გელპესისი, გაბრიელ მელანიდისი, ალექსანდრე კალპაკიდისი, ნიკოდიმოს კორაკისი, პანტელეიმონ კალპაკიდისი, ტიმოთეოს კალიფისი. სასულიერო პირთა ეს ჯგუფი გამოეყო იმ 140 კაციან დელეგაციას, რომელიც საშწმენდობო მისიით იყო ჩამოსული მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის ხხვა ქალაქებში. მისი მაღალყოვლადუსამღვდელოესობა, დოდონის ეპისკოპოსი ქრიზოსტომოსი ჯერ კიდევ 1981 წელს იმყოფებოდა საქართველოში. იგი ალექსანდრიის პატრიარქს, ნიკოლოზს ჩამოჰყვა მაშინ და საქართველოთი და ქართული სტუმართმოყვარეობით აღფრთოვანებულმა გადაწყვიტა თავისი ძმებისათვისაც გაეზიარებინა ეს სიხარული. „მინდოდა საკუ-



თბილისის ტაძრების მოლოცვა.

თარი თვალთ ენახათ ეს მშვენიერი ქვეყანა ჩემს ძმებს. დაე, მათაც ისეთივე გატაცებით ისაუბრონ, შინ დაბრუნებულემა, საქართველოზე, როგორც მე. საერთოდაც, ურთიერთგაცნობა და მეგობრობა ხომ მშვიდობის საწინდარია. მშვიდობისათვის ზრუნვა და მისი დაცვა კი ქრისტეს ეკლესიის უპირველესი მისიაა“, განაცხადა ეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა სტუმრებისათვის გამართულ ოფიციალურ ვახშამზე.

ვიზიტმა მართლაც გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. სტუმრებმა მოილოცეს მცხეთისა და თბილისის წმიდა ადგილები. დაათვალიერეს ღირსშესანიშნო ბანი, ხელოვნების მუზეუმი.


ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ სტუმრები

ისტორიული ფაქტის მომსწრენი გახდნენ. მათი საქართველოში ყოფნისას, 20 ივლისს (2.8) — საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდმა დიდი ქართველი მწერალი და მამულიშვილი ილია ჭავჭავაძე წმიდანად შერაცხა. სალამოს, პარაკლისზე ეუწყა ამის შესახებ ქართველ ერს და ამ პარაკლისს ჩვენი სტუმრებიც ესწრებოდნენ.

„ილია ჭავჭავაძე მარტო თქვენი ეკლესიის წმიდანი არ არის; ამიერიდან იგი ჩვენს ეკლესიასაც ეკუთვნის და საერთოდ, მთელი მართლმადიდებლობის სათაყვანო წმიდანია“ — განაცხადა მისმა მაღალყოვლადუსამღვდელოესობამ, პატრას მიტროპოლიტმა ნიკოდიმოსმა მას შემდეგ, რაც ილია ჭავჭავაძის ღვაწლს გაეცნო.



სიონის საპატრიარქო ტაძარში



წმიდა ქალაქი მცხეთა... შეხვედრა მონასტრის დედებთან



ღმერთმა იხიბოს

ჩვევო

სულიერი

შერისცვალობა



ზევისაგან დანგრეული,
წყლით დატბორილი სოფლები



ბიბლიაში არის წიგნი, რომელსაც წმიდა იოანის წიგნი
ჰქვია. იოანე ეწოდება მრავალწინაუმი, ანუ მრავალტანჯუ-
ლი იოანი. იოანი ამ წიგნში ამბობს: განსაცდელი ყოფილა
ადამიანის ცხოვრება დედამიწაზე. მართლაც, ყოველი
ადამიანის ცხოვრება, ყოველი ერის ცხოვრება განსაცდე-
ლია.

რატომ უზავნის ღმერთი განსაცდელს ადამიანს? იმი-
ტომ, რომ უფრო მეტად განამტკიცოს რწმენაში, სიკეთეში,
სიყვარულში, რომ იგი არ განუორღმს უმეოქმედს.

ჩვენ კი, კალიან ხშირად ყოველდღიურ საქმიანობაში
ჩავლულნი, ვივიწყებთ, ვინ ვართ, რისთვის ვართ მოწო-
დებულნი, სად მივდივართ, სადაა ჩვენი დანასრული, ანდა
არსებობს კი იგი?

ჩვენ, როცა ამა თუ იმ განსაცდელს ვხედავთ, ვფიქ-
რობთ, რომ ეს არის სასჯელი ღვთისა. ჩვენი ერის ისტო-
რია, ჩვენი წარსული მთლად განსაცდელითაა სავსე. ადა-
მიანის ბრუნვა ვერ სწვდება, როგორ გაუძლო ქართველმა
ერგა ამდენ ავბანობას.

ჩვენზე ძლიერი იყო მუღამ ჩვენი მტერი, მაგრამ ეს იყო
ფიზიკური ძლიერება. ჩვენთან კი იყო ღმერთი, ჩვენთან
იყო სიმაღლე, ჭეშმარიტი სარწმუნოება; აი, ამით ვიყა-
ვით უფრო ძლიერნი, ამით ვძლიეთ მტერს, ამით გადარჩა
ჩვენი ქვეყანა, ამიტომაა, რომ დღეს ვარსებობთ.

დღეს ხსენებაც აღარაა ზოგიერთი ერისა, რატომ? იმი-
ტომ, რომ მათ არ გააჩნდათ შინაგანი ძალა. ეს შინაგანი ძა-
ლა უხილავია, უძლიერებია, გადამწყვეტია. ეს ძალა მუღამ
გვიცავდა და კვლავაც დაგვიცავს ჩვენ.

და აი, დღესაც განსაცდელშია ზოგიერთი კუთხე ჩვენი
ქვეყნისა.

ნუ დაგვიწყდებათ, რომ ღმერთი ურწმუნოებას არ გვა-
კათივს. ვერ მოითმენს ჩვენს განდგომას. უმეტხვეპიტი არ
ყოფილა, რომ საქართველო განდგა სამკვიდრებელი უფლის
კვართისა, არც ისაა უმეტხვეპიტი, რომ იგი არის მამული
ყოვლადწმიდა ღვთისმშობლისა; საქართველოში სომე წმი-
და ნინოე მოიტანა ჯვარი ვახისა. ყოველივე ეს სიმბოლოა
იმ დიდი ძალისა, იმ დიდი ძაღლისა, რომელიც მოგვცა
უფალმა. ჩვენ მეტი ერთგულება და სიმტკიცე გვჭირდება.
დღეს ამ უმეტხვეპამ, ამ განსაცდელმა გააერთიანა მთელი
საქართველო; მოხდა სულიერი გამოღვიძება მთელი ერისა;
განამტკიცა ჩვენი სულიერი ძალა. მაგრამ მიღწეულს
შენარჩუნება და გაძლიერება უნდა.

ღმერთმა იწებოს ჩვენი სულიერი ფერისცვალება და
საძლდება. ამინ!

ოლია II

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

როგორღეან შექმნა სამხარო კალითა მით კლიერითა,
ზამბარდმო არსნი სულითა ყვნა ზაციით მონაბერითა,
ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი შე-
რითა...

შოთა რუსთაველი




მძიმე განსაცდელით დაიწყო საქართველოსათვის ეს წელიწადი. დასავ-
ლეთ საქართველოში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ დიდი მწუხარება
და ცრემლი მოგვიტანა. ფეხზე დადგა მთლად საქართველო... გაჭირვებამ
ყველა გააერთიანა.

საქართველოს ყველა მკვიდრი, მოძმე რესპუბლიკების მოსახლეობა, მთე-
ლი ხალხი დაირაზმა სტიქიით დაზარალებულთათვის დახმარების აღმოსაჩე-
ნად. ქართული ეკლესია, როგორც ყოველთვის, გაჭირვების ჟამს, ახლაც
მხარში უდგას თავის ერს. მან დაზარალებულთა დასახმარებლად სახელმწი-
ფოს მიერ გახსნილ ანგარიშზე 200 ათასი მანეთი გადარიცხა და იკისრა შე-
ფობა გაუწიოს მარნეულში გადმოსახლებულ სევანებს.



ლილისფერ ოზონს გაუნდა ბზარი
და ... გახსნა კირი აქ მიწის ქერქა..
„მან“ კი... უზადოდ შექმნა ყოველი,
„სამყარო ესე როგელმან შექმნა“!
და... აიწვიტეს ბრიგალ-ქარეგა,
დაცურდა ზვავი, მოვარდა დელგა...
„მან“ კი... უხინჯოდ შექმნა ყოველი,
„სამყარო ესე როგელმან შექმნა“!
„გადმოიგაღწენ“... „საიდუმლონი“, –
რაც ... ცა და მიწა ჩიქნა ყოველმა.
„მან“ კი... მძივივით ასხა ყოველი,
„სამყარო ესე შექმნა როგელმან“!







პოი, ყოვლადმოწყალო, დედუფალო, ღვთისმშობელო, აღმოპიყვანენ
ჩვენ სიღრმეთაგან ცოდვათასა, და მიხსენ ჩვენ სიყმილისაგან, სერისა,
ძვრისა ცეცხლისა, მახვილისა და ზედამოსვლისაგან უცხო თესლთასა, და
ტომითისაგან ბრძოლისა და უცნაურისა სიკვდილისა, და ზედაღასხმისა-
გან მტერთასა, და განმხრწნელისაგან ქარისა, და ყოვლისაგან სიკვდილ-
შემოსილისა წყლულებისა და ყოვლისაგან ბოროტისა...



წერილები, ღვაწუები, ცნობები...

ენშიაბინიდან.

ვის უწვილესობას, კათოლიკოს-კატრიარქ ილია II-ს.

ისევ და ისევ, გამოვხატავთ ღრმა მწუხარებას თქვენს ქვეყანაში, ჩვენს მოძმე საქართველოში მომხდარი უბედურების გამო, რასაც ადამიანთა დიდი მსხვერპლი მოჰყვა. გთხოვთ, მოწყალედ მიიღოთ მცირედი ძმური შემოწირულობა 100.000 მანეთის ოდენობით დაზარალებულთათვის გადასაცემად. გთხოვთ, გვაცნობოთ ანგარიშის ნომერი, რომელზედაც შეიძლება ამ თანხის გადარიცხვა. ელოცულობთ საქართველოს ეკლესიის კეთილდღეობისა და მოძმე ქართველი ხალხისათვის. უფალმა სულიწმიდის ძალით დაგიმკვიდროთ შვიდობა.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით **პ ა ზ ბ ე ნ I**,
ყოველთა სომეხთა პატრიარქი.

უკრაინა
ივანო-ფრანკოვსკიდან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-კატრიარქს ილია II-ს

ვიზიარებ ქართველი ერის მწუხარებას, გამოწვეულს სტიქიური უბედურებით.

ვაუწყებთ თქვენს უწმიდესობას: ივანო-ფრანკოვსკის ეპარქიის სამღვდელთა და მორწმუნეებმა დახმარების ფონდში დაზარალებულთათვის გადარიცხეს 80.000 მანეთი.

აღვავლენთ ლოცვებს საქართველოსათვის.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით მთავარეპისკოპოსი
მ ა კ ა რ ი

ზაგორსკიდან

თქვენო უწმიდესობავ!

ღრმა მწუხარებით შევხვდი საქართველოზე მოწვენილ სტიქიურ უბედურებას, რომელსაც სერიოზული მსხვერპლი მოჰყვა. მოსკოვის საპატრიარქოში მრავალრიცხოვანი სამძიმარი შემოდის რუს მართლმადიდებელ მორწმუნეთაგან, რომელნიც დახმარების სურვილს გამოთქვამენ. შემოსულ თანხას გადმოვრიცხავთ. გთხოვთ, თქვენო უწმიდესობავ, ჩემი ღრმა თანაგრძნობა გადასცეთ დაღუპულთა ოჯახებს.

ქრისტესმიერი ძმური სიყვარულით **პიჰენო**
სრულიად რუსეთისა და მოსკოვის პატრიარქი

ვინიციდან

მის უწმიდესობას, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ს.

თქვენო უწმიდესობავ და უნეტარესობავ, თქვენთან ერთად, მთელ ქართველ ხალხთან ერთად განვიცდით იმ დიდ მწუხარებას, რომელიც სტიქიის აბობოქრებას მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით, ვინიცისა და ხმელნიცის ეპარქიებიდან დაზარალებულთა დასახმარებლად გადმოირიცხა 20.000 მანეთი.

გვსურს გაუწყოთ, რომ ამ მძიმე წუთებში სულიერად თქვენთან ვართ, ვართ მოძმე ქართველ ხალხთან... ვლოცულობთ. უფალმა დააშვიდოს ცოცხალნი... განუსვენოს სტიქიის მსხვერპლთა.

ღრმა პატივისცემით
ვინიცისა და ბრაცლავის მთავარეპისკოპოსი
აგათანგელო

ვოლოგდიდან

უწმიდესო და უნეტარსო იეჰუვი!

ვოლოგდის ეპარქიისა და პირადად ჩემი სახელით, ღრმა თანაგრძნობას გამოვხატავ თქვენი უწმიდესობისა და ქართველი მორწმუნეების მიმართ, ჩემთვის გულთ სიყვარულ საქართველოს თავზე დატეხილი სტიქიური უბედურების გამო.

განუსვენოს უფალმა გარდაცვლილთა სულებს... დაამკვიდროს ისინი ადგილსა ნათლისასა. მოიდოს მოწყალება დაზარალებულთა და სულით დაცემულთა მიმართ...

ვოლოგდისა და ველიკოუსტინის მთავარეპისკოპოსი **მიქაქელო**

ლენინგრადიდან

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია II-ს.

შეგვაშფოთა და დაგვაძწუხრა თქვენს ქვეყანაში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ. მიიღეთ ჩვენი გულწრფელი თანაგრძნობა და ლოცვები.

ალექსი. მიტროპოლიტი ლენინგრადისა და ნოვგოროდისა

აშუ.

ქრისტეს ეკლესიების ეროვნული საბჭოდან

თქვენო უწმიდესოებო!

დიდი სიამოვნებითა და მადლიერებით ვიხსენებ თქვენს სტუმრობას ჩვენს ქვეყანაში, ერთობლივ ღოცვებს ეკლესიებში, შეხვედრებს მორწმუნეებთან, ხალხთან... ღვთის ღოცვა-კურთხევა ნუ მოაკლოს უფალმა თქვენს ერს.

უბრალო ჭეშმარიტებაა, როდესაც სხეულის ერთი ნაწილი განცხრომაშია, მთელი სხეული განიცდის ტკობას; ხოლო თუ ერთ ნაწილს გადააქვს ტკივილი, მაშინ ტკივილითვე ეწამება მთელი სხეული.

რამდენიმე ხნის წინ ამერიკის ისტორიისათვის ჩვეული წყალდიდობა მოხდა დასავლეთ ვირჯინიის შტატში. ხალხი, რომელმაც უდიდესი დანაკარგი და ტკივილი განიცადა, ნელ-ნელა იკრეფს ძალას. ქრისტიანები, რომლებიც მოხვედნენ ამ კატასტროფაში, განსაკუთრებით კი გაერთიანებული მეთოდისტური სამრევლოების ქრისტიანები, დამიკავშირდნენ მე, ეკლესიათა ეროვნულ საბჭოში, რათა გამოეხატათ უდიდესი თანაგრძნობა იმ ქართველი თანამოძმეებისადმი, რომლებმაც ახლახან გადაიტანეს მსგავსი წყალდიდობის კატასტროფა. დასავლეთ ვირჯინიის ამ სამრევლოებს, რომლებმაც ეს-ეს არის დაიწყეს ფეხზე წამოდგომა, დიდი სურვილი აქვთ დახმარება გაუწიონ წყალდიდობით დაზიანებულ თქვენს ხალხს და გაიდონ შეწირულება ფინანსური დახმარების სახით. მათ მოხოვეს ამ საქმის ორგანიზება და თქვენთან დაკავშირება.

დიდი ქრისტიანული მაგალითია, რომ თვითონვე მძიმე გაჭირვებაში მყოფ ქრისტიანს სურვილი აქვს გაიზიაროს სხვისი გაჭირვება. მე არ ვიცი რა რაოდენობის თანხის გადმორიცხვა სურთ მათ, მაგრამ ის ნამდვილად ვიცი, თუ რა მორალურ მხარდაჭერას წარმოადგენს მათი განზრახვა.

ვიმედოვნებ, თქვენ უსათუოდ მიესალმებით ამას, რომლის საწყისია „ხალხი ხალხისათვის“, „ქრისტიანი ქრისტიანისათვის“, „ყველას სახელით და ყველასათვის“.

თქვენი ღვთისმიერი მორჩილი მსახური პროტოდიაკონი **მ ი ხ ე ი ლ რ ო ლ ი ა კ ი**.
ვერობა-სსრ კავშირის განყოფილების დირექტორი.



გ ა ნ ა თ ლ დ ი, გ ა ნ ა თ ლ დ ი

ახალ ო ი მ რ უ ს ა ლ ი მ!



მოგზაურობა წმიდა მიწაზე

მისი უნეტარეობის, იერუსალიმისა და სრულიად პალესტინის პატრიარქ დიოდოროს I-ის მიწვევით, 1987 წლის 5 (18) ოქტომბერს წმიდა ქალაქ იერუსალიმს გაემგზავრა საქართველოს ეკლესიის დელეგაცია სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის მეთაურობით. დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: საპატრიარქოს საგარეო განყოფილების თავმჯდომარე, ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი დავითი, მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი, წილკნელ-ურბნელი ეპისკოპოსი ზოსიმე, თბილისის წმ. ბარბარეს ტაძრის წინამძღვარი—დეკანოზი ელგუჯა ლოსაბერიძე და ახალგაზრდა მეცნიერი ავთანდილ მიქაბერიძე.

გზად მცირე ხნით გველოდა შეჩერება კვიპროსის ზღვისპირა ქალაქ ლარნაკაში, სადაც ტელ-ავივისაკენ მიმავალ თვითმფრინავში უნდა გადავმსხდარიყავით. თავიდანვე მოვიხიბლეთ კვიპროსის სანაპიროს სილამაზით. ლარნაკაში იმითომ უფრო გვახარებდა ჩასვლა, რომ აქ გვეგულეებოდა საფლავი წმიდა ლაზარესი, რომელიც მაცხოვარმა მკვდრეთით აღადგინა.

საქართველოს ეკლესიის დელეგაციას აეროპორტში დახვდნენ არქიმანდრიტი გიორგი პაპაქრიზოსტომოსი და კვიპროსის მთავარეპისკოპოსის კანცელარიის პასუხისმგებელი პირი, ბატონი დიმიტრი დიმიტრიადისი. მათ საქართველოს ეკლესიის მეთაურს გადასცეს მისი უნეტარეობის, კვიპროსის მთავარეპისკოპოს ქრიზოსტომოსის მოკითხვა და კეთილი სურვილები, რომელიც იმ დღეს თურმე ღვთისმსახურებას აღასრულებდა საკათედრო ტაძარში და ამის გამო ვერ შესძლო მიეღო საპატრიო სტუმრები.

ისრაელში გაფრენის წინ გაირკვა, რომ თვითმფრინავზე იმ დღეს არცერთი თავისუფალი ადგილი არ იყო. იერუსალიმში კი უკვე დანიშნული იყო ოფიციალური მიღება—შეხვედრები. ბოლოს, როგორც იქნა, გამოიძებნა ორი ადგილი საქართველოს კათოლიკოსისა და მისი თანმხლები მიტროპოლიტისათვის. ასე რომ, საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მცირე ხნით ორ ჯგუფად გაიყო: ერთი გაფრინდა ისრაელში, მეორე კი ორი დღით დარჩა კვიპროსზე (მომდევნო დღეს არ იყო დანიშნული რეისი ტელ-ავივში..)

ტელ-ავივის ბენგურიონის აეროპორტში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს დახვდნენ იერუსალიმის ეკლესიის სამღვდლოებისა და ერის წარმომადგენელნი, მათ შორის, ისრაელის რელიგიათა სამინისტროს პასუხისმგებელი პირნი. მრავლად მოსულიყვნენ საქართველოდან ისრაელში გადასული ქართველი ებრაელებიც, რომელთაც ვერ დაემაღათ ქართველებთან შეხვედრით გამოწვეული დიდი სიხარული. მოკითხვისა და მისალმების შემდგომ სტუმრები მასპინძლებთან ერთად ავტომობილებით გაემგზავრნენ იერუსალიმში, რომელიც ტელ-ავივიდან 70 კილომეტრითაა დაშორებული. სტუმრები დაბინავდნენ ელეონის მთაზე აღმართულ დიდებულ სასტუმრო „ინტერკონტინენტალში“.

მეორე დღეს 6 (19) ოქტომბერს იერუსალიმის უძველეს იაფეს კარიბჭესთან საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შესახვედრად გამოვიდა მთელი იერუსალიმი. ეს იყო დიდი პატივისცემის გამოხატვა უძველესი ქართული ეკლესიისა და მისი მეთაურისადმი. აქ იყვნენ იერუსალიმში არსებული ყველა ქრისტიანული ეკლესიისა და რელიგიური საზოგადოების წარმომადგენელნი, ქალაქის ხელმძღვანელობა, მოსწავლეები და სტუმრები. გადახდილი იქნა სამშვიდობო პარაკლისი. იერუსალიმის პატრიარქმა საქართველოს ეკლესიის მეთაურს მიმართა მისასალმებელი სიტყვით. მან დიდი მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ვიზიტს ისრაელში. საპასუხო სიტყვაში კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ მადლობა გადაიხადა წმიდა ქალაქში მიწვევისათვის და გამოთქვა იმედი, რომ აღნიშნული ვიზიტით კიდევ უფრო განმტკიცდება ისრაელსა და საქართველოს შორის ოდიოზან არსებული ურთიერთობანი.

იმავ დღეს საქართველოს ეკლესიის მეთაურს შეხვედრა მოუწევს იერუსალიმის საპატრიარქოში. შეხვედრას ესწრებოდნენ იერუსალიმის ეკლესიის მმართველი მღვდელმთავრები და სამღვდლოების წარმომადგენლები. ორივე მხარემ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ განახლდა ორი უძველესი ეკლესიის ურთიერთკავშირი. კათოლიკოს-პატრიარქი ილია II საგანგებოდ შეეხო იერუსალიმის ქართველთა ჯვრის მონასტრის საკითხს, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ასრულებდა დამა-

კავშირები ხიდის როლს ისრაელსა და საქართველოს შორის. გამოითქვა საერთო სურვილი ურთიერთობათა კიდევ უფრო განმტკიცებისა და გაღრმავებისა. შეხვედრამ ჩაიარა გულითადობის ვითარებაში.

7 (20) ოქტომბერს ქართველებმა მოილოცეს გეთსიმანია, ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის საფლავი, ბეთანია, იერიქონი და სხვა სიწმიდენი.

კვიროსზე დარჩენილი კი ლარნაკადან გავემზავრეთ დედაქალაქ ნიქოზიაში და ღვთისმშობლის სასტუმრო „ლეღრაში“, უქმად რომ არ დაგვეკარგა დრო, გადავწყვიტეთ მოგველოცა წმიდა ადგილები. ამ მიზნით გავვემზავრეთ ქვეყნის ყველაზე დიდ მონასტერში—კიკოში. იგი ორი საათის სავალ მანძილზეა ნიქოზიის სამხრეთ-დასავლეთით, ტროადის მთებში. აღნიშნულ მონასტერზე არჩევანის შეჩერება არ იყო შემთხვევითი. კიკოს მონასტერში დაცულ ქართულ ნაქარგობაზე საქართველოში აღრვევ გამოქვეყნდა ცნობები. გზა მოშიშვლებულ, ნახევრადუდაბნოში მიდიოდა. იგრძნობა, რომ აქ ნალექების ნაკლებობაა. გზად მოვილოცეთ წმ. ბარნაბისა და ილარიონის სახელობის ტაძარი სოფელ პერისტერონაში, ასევე წმ. იოანე მელამპრის მონასტერი სოფელ კალოპანიატში.

კიკოს მონასტერში დაგვხვდა კიტონის მიტროპოლიტი ქრიზოსტომოსი. მთავარი ტაძრის კანკელზე ჩრდილოეთის მხრით არის ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის, ვერცხლის პერანგით შემკული უძველესი ხატი, იგი გარედან დაფარულია ძვირფასი ქსოვილით, რომელზედაც ამოქარგულია ძველი აღთქმის დიდი და მცირე წინასწარმეტყველნი, ქართული წარწერებით. სიხარულს გვეგრძობდა უცხო ქვეყანაში ქართული ნახელავის ხილვა.

ბერებმა დაგვათვალაძიებინეს მონასტერთან არსებული საეკლესიო მუზეუმი, სადაც სხვა საეკლესიო ნივთებს შორის გამოფენილია XVII საუკუნის ქართული ენქერი და მუფე ერეკლეს დროინდელი ქართულ წარწერიანი სამღვდელმთავრო ბისონი. ბევრია წმიდათა ნაწილები და სანაწილები. მონასტრისა და მისი მდიდარი მუზეუმის დათვალაძიების შემდგომ ბერები გავვამასპინძლდნენ ყავით. მადლობა მოვახსენეთ მათ გულთბილი მიღებისათვის და კმაყოფილნი დავბრუნდით ნიქოზიაში.

სალამოს შევხვდით ნიქოზიის სასულიერო სემინარიის რექტორს, არქიმანდრიტ დიონისეს; გაიმართა გულთბილი საუბარი. მას დიდი სურვილი აქვს ჩამოვიდეს საქართველოში და გაეცნოს სწავლა-განათლების საქმეს მცხეთის სასულიერო სემინარიაში.

6 (19) ოქტომბერს დილით კვიპროსის ეკლესიის მეთაურმა, მთავარეპისკოპოსმა ქრიზოსტომოსმა თავის რეზიდენციაში მიგვიღო. მის უნეტარესობას გადავეცით საქართველოს ეკლესიის მეთაურის მოკითხვა და კეთილი სურვილები. გავიხსენეთ წარსულში კვიპროსსა და საქართველოს შორის არსებული ურთიერთობანი. გვიამბეს კვიპროსის ბერძნულ და თურქულ მოსახლეობას შორის არსებულ უთანხმოებათა შესახებ, რამაც ორ ნაწილად გათიშა კვიპროსი. ამას აქ ყველა დიდად განიცდის. სამთავარეპისკოპოსო რეზიდენციიდან სულ, რაღაც, ორმოცდაათიოდე მეტრის სიშორეზე გადის თურქთა საზ-

ღვარი. ქვეყნის საუკეთესო მიწები ჩრდილო-აღმოსავლეთით, თურქთა ხელშია, ხოლო იქ არსებული ქრისტიანული ტაძრები მეჩეთებადაა გადაკეთებული. მთავარეპისკოპოსის თქმით, დიდი განსაცდელი ადგას კვიპროსის ქრისტიან მოსახლეობას. ჩვენ მის უნეტარესობას მოვახსენეთ, რომ უფალი, რომელმაც დღემდე დაიფარა კვიპროსი, დაიფარავს მას მომავალშიც. დასასრულს კვიპროსის ეკლესიის მეთაურს სამახსოვროდ გადავეცით მაცხოვრის ქართული ხატი. გამოშვებობებისას მეუფე ქრიზოსტომოსმა გვთხოვა ისრაელიდან უკან მობრუნებისას საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირნი მცირე ხნით მიინც შეჩერებულიყვნენ კვიპროსზე, რათა მათთვის დირსეული პატივი და სიყვარული მიეგოთ.

სამთავარეპისკოპოსოს გვერდით არის მდიდარი საეკლესიო გამოფენა-მუზეუმი. იგი ერთ-ერთი საუკეთესო უნდა იყოს მართლმადიდებლურ სამყაროში. ბევრია აქ სასწაულმოქმედი ხატიც. ვაკვირდებოდით ბიზანტიური პერიოდის ხატებს. თვალნათლივ ჩანს განსხვავება მათსა და იმავე პერიოდის ქართულ ხატწერას შორის.

მუზეუმიდან უბრუნდა კმაყოფილები გამოვედით. იმავე დღეს დავათვალიერეთ ქალაქის ძველი უბნები და კვიპროსის დედაქალაქს გამოვეთხოვეთ.


დღის მეორე ნახევარში უკვე ლარნაკაში ვიყავით. ენქარობდით, ისრაელში გაფრენამდე უნდა მოგველოცა წმიდა ლაზარეს სახელობის მონასტერი. იგი ქალაქის ცენტრალურ ნაწილშია და გალავნითაა შემოზღუდული. ეხლანდელი ტაძარი IX საუკუნისაა. წმ. ლაზარეს სახელობის საკურთხეველის ქვევით-სარდაფში მღებარობს. დიდი კიბეებით ჩავვიყვანეს. აქ უკვე თავს პირველ საუკუნეში გრძნობ. საფლავი ლაზარესი დღესაც გამოსცემს საკვირველ სურნელს. განსაკუთრებული მადლი იგრძნობა ირგვლივ. სარდაფი ისე დაბალია, რომ კაცი ვერ გაიმართება წელში. საჭიროა მოიხარო, ან დაიჩოქო. ჩვენც მოწიწებით მოვიყარეთ მუხლი და სიწმიდეს ვეცით თავიანი. „ნეტარ ხარ შენ ლაზარე, რომელი ღმერთმა ადგადგინა მკვდრეთით“. უცხო სიხარული დამეუფლა მაშინ, სიხარული ჯერგანუცდელი. ერთხელ კიდევ შევიგრძენი, რა დიდი ძალაა სიყვარული. ამ სიყვარულმა შესძლო შეუძლებელი. საჭიროა მოპოვება მისი, საჭიროა უფლის შეყვარება მთელი არსებით. თვით სიკვდილსაც სძლევენ ჭეშმარიტი სიყვარული.

არ ვიცი, რამდენ ხანს დავვაჯი საფლავთან, გამოსვლას ჯერაც არ ვაპირებდი, რომ მიხოვეს, თქვენთვის ლაზარეს წმიდა ნაწილები გამოასვენეს ტაძარშიო. დიდად გამეხარდა; ეხლად გამახსენდა, რომ საფლავი ცარიელი იყო. ჯვაროსნული ომების დროს გაუძარცვავთ იგი. გადარჩენილა თავის ქალა და კიდურების მცირე ნაწილი. აი ესენი გამოასვენეს საკურთხევილიდან და ჩვენც კრძალვით ვეცით თავიანი.

ვნახეთ კიტის VII საუკუნის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძარიც. რომელიც, ქალაქიდან რამდენიმე კილომეტრითაა დაშორებული და ეკლესიური სიმყუდროვე კარგად აქვს შენარჩუნებული. ყველაზე საყურადღებო ამ ტაძრიდან არის საკურთხეველის თავზე შემორჩე-



იერუსალიმის პატრიარქი—დიოდოროს I და სრულიად საქართვე-
ლოს კათოლიკოს—პატრიარქი ილია II



იერუსალიმი. უფლის ამადლების მთა. სასტუმრო ინტერკონტინენტალში



Եւզեա սմե իմարեա ռհոա Թաւրուհոն (գրգիլքմեան)
 Ժպնծաղիտ թաւրուհոյ որդեկեան իմարա իրոն
 Ինտուր թոն զգն ::



† ռհոա թղտղ
 Եւրուհոա եւ ինտուր
 Ինտուրե-ձա գոտուր ::

Եւրուհոա թղտղ

1987 իրոն ::

ნილი მშვენიერი მოზაიკური გამოსახულება ყოველდღე წმიდა ღვთისმშობლის ანგელოზებით. ეს ერთერთი საუკეთესო უნდა იყოს ამ პერიოდის მოზაიკურ ხატებს შორის. საოცარი სიზარტყვე და სულიერობაა ერთმანეთში შერწყმული, რასაც ნაკლებად ვხვდებით შემდგომი პერიოდის საეკლესიო მხატვრობაში.

ღედა ღვთისას შევსწირეთ უდრემსი მადლობა კვიპროსის სიწმიდეთა მოლოცვისათვის და შევთხოვეთ მშვიდობით ჩასვლა წმიდა ქალაქ იერუსალიმში. გვიან საღამოს გადავფრინდით ისრაელში.

საკმაოდ გვიანი იყო, ტელ-ავივში რომ ჩავედით. უცნაური მღელვარება დაგვეუფლა. აღსრულდა ჩვენი ღიდი ხნის ოცნება. ღმერთმა ღირსგვეყო, ჩავსულიყავით აღთქმულ ქვეყანაში. სიხარულსა და შიშს მგვრიდა იმის წარმოდგენა, რომ ვიმყოფებოდით იმ მიწაზე, სადაც ოდესღაც დადიოდა იესო ქრისტე. ვმადლობდით უფალს ჩვენზე გაღებული ღიდი წყალობისათვის.

ტელ-ავივიდან მსუბუქი ავტომანქანით გავემგზავრეთ იერუსალიმში. გული მწყდებოდა, რომ მგზავრობა გვიხდებოდა ღამით და გარემოს ვერ ვათვალიერებდი. წმიდა ქალაქის გამოჩენამ მომგვარა განსაკუთრებული სიხარული. გამახსენდა წინასწარმეტყველ ღვთისთის ფსალმუნები: „დადგრომილ იყვნეს ვერხნი ჩვენი ეზოთა შენთა იერუსალიმ“ (ფს. 121, 2). ბორცვებზე შეფენილი ვაჩირადღნებული ქალაქი საოცრად ღამაზი იყო ღამით: „იერუსალიმი შენებულ არს ვითარცა ქალაქი, რომელსა საყოფელნი მისნი მის თანა“ (ფს. 121,3). ღმერთო, ვინ მოთვლის რამდენჯერ იქნა „ქალაქი მეუფისა ღიდისა“ (ფს. 47,3) პირისაგან მიწისა აღგვილი და შემდგომ ხელახლა აღორძინებული. მართალია, დღეს ძველი ღიდება ქალაქს ნაკლებად აქვს შემორჩენილი, მაგრამ იგი მაინც განსაკუთრებულია ქალაქთა შორის.

სასტუმროში მისულთ ღიდი სიყვარულით შეგვხვდა კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ერთმანეთს გავუზიარეთ შთაბეჭდილებანი და ვიწყეთ მზადება მომავალი დღისათვის.

8 (21) ოქტომბერს, ღილით მოვინახულეთ მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ ებრაელთა მემორიალი. საინტერესო და შთაბეჭდავი იყო იგი ყოველი ჩვენგანისათვის. დღის 11 საათზე, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მისი თანმხლები პირნი მიგვიღო ისრაელის რელიგიების მინისტრმა, ბატონმა ზაბულონ ჰაქერმა. შეხვედრას ესწრებოდა პატრიარქი დიოდოროსი და მისი თანმხლები პირნი. მინისტრმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცა ორი უძველესი ეკლესიის პატრიარქებთან შეხვედრისა. მოკლე მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა იერუსალიმის პატრიარქმა დიოდოროსმა. შემდგომ სიტყვა ბრძანა კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ. მან მადლობა მოახსენა ისრაელის რელიგიათა მინისტრს და მისი სახით ისრაელის მთავრობას, საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმიდა ქალაქ იერუსალიმში მიღებისათვის. თავის სიტყვაში უწმიდესმა პატრიარქმა ილიამ გაიხსენა ებრაელ-ქართველთა საუკუნოვანი ურთიერთობანი და აღნიშნა, რომ საქართველო ის ქვეყანაა მსოფლიოში, სადაც არასდროს ჰქონ-



და ადგილი ანტისემიტიზმს და რომ ებრაელნი საქართველოში თავს ისე გრძნობდნენ, როგორც სამშობლოში. კათოლიკოს-პატრიარქი ასევე შეეხო იერუსალიმის ჯვრის მონასტრის როლსაც ჩვენი ორი ხალხის ურთიერთობაში. ჯვრის მონასტერი არ იყო მარტო სამონასტრო ცენტრი, იგი კულტურულ-საგანმანათლებლო კერასაც წარმოადგენდა და თავისებური საყრდენი და თავშესაფარი იყო საქართველოდან უცხოეთში მოხვედრილთათვის. პატრიარქმა გულის ტკივილით აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ბოლო დროს ვეღარ ხერხდება ქართველთა მოღვაწეობა, რამაც მონასტერს დაუკარგა წარსულში მასზე დაკისრებული საპატიო მისია და როლი. დღეს, როცა ისრაელს დაუბრუნდა მრავალი ქართველი ებრაელი, როცა ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელებს სწყურიათ ქართული სიტყვა და მადლი, საჭიროა აღდგეს ქართველი ბერების მოღვაწეობა ჯვრის მონასტერში, საჭიროა იქ კვლავ პოულობდეს თავისიანს საქართველოდან ისრაელში ჩასული ადამიანი.

მინისტრმა ყურადღებით მოისმინა სიტყვა და კათოლიკოს-პატრიარქს მიმართა კითხვით: ჩვენ ვიცით, რომ ძმური ურთიერთობა არსებობდა ქართველებსა და ებრაელებს შორის წარსულში. როგორია ეს ურთიერთობანი დღეს და როგორი იქნება ისინი მომავალში?

კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ განმარტა, რომ ქართველებსა და ებრაელებს შორის ისეთივე კეთილგანწყობილება სუფევს, როგორც იყო უწინ, და ასევე დარჩება მომავალში. ის ფაქტი, რომ ისრაელში ჩამოსული ქართველი ებრაელნი გამოირჩევიან თავიანთი რელიგიურობით, მანვეთხებია იმისა, რომ ებრაელნი კარგად გრძნობენ თავს საქართველოში. სარწმუნოებრივი განსხვავებულობის მიუხედავად, ქართველები და ებრაელები მუდამ იყვნენ ძმები.

მინისტრი პასუხით ღიდად კმაყოფილი დარჩა. მან საქართველოს ეკლესიის მეთაურსა და მის თანმხლებ პირთ უსურვა მშვიდობიანი და ნაყოფიერი მოგზაურობა ისრაელში. შეხვედრამ ჩაიარა გულითადობის ვითარებაში.

იმავე დღეს საქართველოს ეკლესიის დელეგაცია მი-

ქართველი კაცისათვის, რადგან ისინი მჭიდროდ არიან საქართველოსთან დაკავშირებული. კატაონში ქართული თითქმის აღარაფერია შემორჩენილი, ჯვრის მონასტერი კი დღესაც ქართულად გამოიყურება, ამიტომ მასზედ საგანგებოდ შევჩერდებით.

ჯვრის მონასტერი იმ ადგილას არის აღმართული, სადაც მდგარა ხე, რომლიდანაც იქნა შეჭედული უფლის ცხოველმყოფელი ჯვარი. მონასტერი იერუსალიმში არსებულ საეკლესიო ნაკვობათაგან დღესაც გამოირჩევა თავისი სიდიადითა და მიზიდველობით. იგი მტკიცე გალავნითაა შემოზღუდული და გამაგრებული. ერთი შეხედვით ციტადელს უფრო მიაგავს. აღნიშნული მონასტერი წარმართავდა მრავალრიცხოვანი ქართული ეკლესია-მონასტრების საქმიანობას ბალესტინაში. იგი, ამავე დროს, იყო ქართველთა მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო კერა უცხოეთში. ამიტომ არის იერუსალიმის ჯვრის მონასტერი ძვირფასი ყოველი შეგნებული ქართველისათვის.

მონასტრის წინამძღვარი არქიმანდრიტი თეოფილაქტე და რამდენიმე ბერი საქართველოს ეკლესიის დღევანდელს შეხედნენ მონასტრის კარიბჭესთან და ზარის რეკით შეუძღვნენ მთავარ ტაძარში. ქართულად იქნა გადახდილი პარაკლისი. შეიმოსა უწმიდესი პატრიარქი ილია. ყველამ დაიჭირეთ ანთებული კელაპტრები. ტაძარში დატრიალდა ქართული ლოცვის საკვირველი მადლი. ბერძენები უკან დადგნენ, მორიდებით. წავიკითხეთ საქართველოდან წადებული ვრცელი მოსახსენებლები, შევთხოვეთ უფალს მფარველობა ჩვენი ერისა და წმიდა ეკლესიის. შემდეგ მივაშურეთ იმ სვეტს, რომელზედაც გამოხატულია დიდი შოთა რუსთაველი. „რა შორს წამოსულხარ შენი ქვეყნიდან, რა შორს დაგიდგია საუკუნო განსასვენებელი? გიხაროდენ, დილო მგოსანო, შენი ქვეყნის შეილნი კვლავაც შენს საფლავთან შევიკრიბებით“ — ვჩუჩნებდით ჩუმად ფრესკის წინ. ისევ ქართულად ვივალდებო, ქართულად წავიკითხეთ ლოცვები. კათოლიკოს-პატრიარქმა სვეტთან დააბრძანა ჩვენი ერის მამის—წმიდა ილია მართლის ხატი. რუსთაველის ფრესკისა და ილია მართლის ხატის სიახლოვეში განგების ხელს ვებღავდი. ეს არ შეიძლება. მომხდარიყო შემთხვევით. ორივეს მოწიწებით ვეცით თავფანი და შევთხოვეთ, ილოცონ ჩვენი ერის კეთილდღეობისათვის. ბედნიერი და გახარებული ვიყავით იმ დამით.

9 (22) ოქტომბერს, მეტად საინტერესო მოგზაურობა გველოდა სამარიასა და გალილეაში. უწმიდესი პატრიარქი ილია იერუსალიმის პატრიარქთან შეხვედრის მიზნით დარჩა იერუსალიმში, ჩვენ კი გავემგზავრეთ სამარიის მხარეში. გრილოდა იმ დღისით, მცირედ წვიმდა კიდევ. გავიარეთ პატარ-პატარა არაბული სოფლები, შევედით ქალაქ სიქემში. აქ არის მამამთავარ იაკობის ჭა, სადაც გაიმართა სამარტელ ქალთან ქრისტეს საუბარი. ჭის სიღრმე ორმოცი მეტრია. გადავიხადეთ პარაკლისი და შევესვით წყალი. ჭასთან ახლოს IV საუკუნის ტაძრის ნანგრევია. მონასტრის წინამძღვარს, არქიმანდრიტ იუსტინეს სურს ადადგინოს ეს ტაძარი. დაწყებულია კიდევ სამუშაოები. გამომშვიდობებისას მან პატარა ჭურჭლით

გადმოგვცა იაკობის ჭის წყალი, რომელიც ჩამოვიტანეთ საქართველოში, და გავურეთ იმ წყალში, რითაც მოწმუნებებს ვლოცავთ ტაძარში. გავახსენებთ სახარებიდან უფლის სიტყვებს: „ხოლო რომელმან მსუას წყლისა მისგან, რომელი მე მივსცე მას, არაღა სწყუროდეს უკუნისამდე, არამედ... ვილოდეს ცხოვრებად საუკუნოდ“ (ინ. 4, 14). ღმერთმა ქნას და, უფლის ამაღლებულმა მოძღვრებაში, როგორც მაცოცხლებელმა წყარომ, ერს ჩვენსას საუკუნოდ ცხოვრება დაუშკვიდროს.

გავემგზავრეთ გალილეთის მხარეში. კარგა დიდი ხნის სიარულის შემდეგ, თაბორის მთას მივადექით. ამ მთაზე გაბრწყინდა უფალი მხესავით და თოვლივით იცვალა ფერი. ბევრჯერ მიფიქრია ფერისცვალების სასწაულზე და იმაზეც, თუ რატომ იყო საჭირო მთაზე ასვლა ფერისცვალებისათვის. თაბორის მთა დაახლოებით ისეთი სიმაღლისაა, როგორც საქართველოში ზედახენი. მსუბუქი ავტომანქანითაც კარგა ხანს მოვუდით გზას. ადვილი წარმოსადგენია, როგორი იქნებოდა იქ ასვლა ქრისტესი და მისი სამი მოციქულის. უფალს, რა თქმა უნდა, შეეძლო მოეხდინა ფერისცვალების სასწაული ბარშიც. მაგრამ მაშინ მას ვერ ჩასწვდებოდნენ მოციქულები. ფერისცვალების სასწაული მოციქულთათვის განცხადდებოდა მხოლოდ მაშინ, როცა ისინი განშორდებოდნენ ქვეყნიურ საზრუნავს. მთაზე ასულნი საკმაოდ მოქანცულნიც იქნებოდნენ. ესეც საჭირო იყო სასწაულისათვის — ეს იყო თავისებური განწმედა-მოშხადება. აღნიშნული სასწაულით მაცხოვარმა მოგვცა გზა განწმედისა და ამაღლების, ფერისცვალების. მთის წვერზე აღმართულ ტაძარში გადავიხადეთ პარაკლისი, შევთხოვეთ უფალს ჩვენი ერის სულიერი ფერისცვალება. ტრაპეზის ზემო მხარეს გვაჩვენეს ის ადგილი, სადაც ფერისცვალებისას იღვა მაცხოვარი. მოწიწებით ვეცით მას თავფანი. მონასტრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ილარიონმა, როგორც თაბორის წმიდა მთის კურთხევა, გადმოგვცა მიწა ფერისცვალების ადგილიდან. ამასობაში ამინდამც გამოიხედა და ტაძრიდან გამოსულნი დიდხანს გადავცქეროდით გალილეთს. ვმადლობდი ღმერთს, რომ ამ მთაზე ამოსვლის ღირსი გამხადდა.

განვარძეთ გზა. ვინახულეთ ქალაქი ნაზარეთი, სადაც იოსების ოჯახი ცხოვრობდა. საფლავი იოსებისა დღეს კათოლიკეთა ხელშია. საკათედრო ტაძარში მოგვიწვეს საზეიმო შეხვედრა. ნაზარეთელმა მიტროპოლიტმა ისიდორემ გვაჩვენა ის წყარო, სადაც გადმოცემის თანახმად, მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა ქალწულ მარიამს და ახარა მისგან მაცხოვრის შობა. წყაროსთან საოცარი მადლი იგრძნობა, ირგვლივ ჩუმი სიხარული დასაღვრებულა. ამ ადგილას მთელი კაცობრიობის ხარება მოხდა.

მოვინახულეთ ქალაქი კანა, სადაც უფალმა პირველი სასწაული მოახდინა. ნაზარეთთან შედარებით იგი უფრო პატარაა. ტაძრის წინამძღვარმა არქიმანდრიტმა ავათანგელოზმა კანაში დამზადებული ღვინო მოგვართვა. ჩვენ იგი, როგორც მაცხოვრის ლოცვა-კურთხევა, საქართველოში წამოვიდეთ.

გზა განვავრძეთ ტიბერიის მხარეში. მივუახლოვდით

სახარებაში ხშირად მოხსენიებულ გალილეის ტბას. ძალიან ღამაზია ეს მხარე, მრავალადა ტბის ნაპირას ხეხილის ბაღები. ამ მიდამოებში განადლო მაცხოვარმა ხუთი პური და ორი თევზით ხუთიათასი კაცი; ამავე ტბაზე ვიღოდა უფალი, როგორც ხმელეთზე. ტბის ნაპირას არის პატარა ტაძარი წმიდა მოციქულთა სახელობისა. აქვეა ძველი კაპერნაუმის ნანგრევები. კაპერნაუმში განკურნა უფალმა განრღვეული. გზად გავიარეთ სოფელი მაგდალა, საიდანაც იყო წარმოშობით მარიამ მაგდალინელი.

გავიარეთ ღამაზი საკურორტო ქალაქი ტიბერიადა. იგი იმპერატორ ტიბერიუსის მიერაა დაარსებული. ამ ქალაქში, ტბის ნაპირას, თორმეტი მოციქულის სახელობის მონასტერია. გვაჩვენეს ის ადგილი, სადაც თევზის ჭერისას პეტრეს გამოცხადდა მაცხოვარი. ტბის მეორე ნაპირზე დაგვანახეს გერგესეველთა მხარე. გზა განვავრძეთ მდინარე იორდანესაკენ. იგი ტიბერიუსის ტბიდან იღებს სათავეს. მდინარის ის ადგილი, სადაც შესრულდა ნათლისღება ქრისტესი; არაბთა ხელშია. იქ დღეს ძნელია მოხვედრის კაცი. ჩვენ მხოლოდ მდინარე იორდანეს სათავესთან მოვედით. ბევრი უცხოელი იყო ჩამოსული, ზოგი მათგანი ინათლებოდა კიდევ წმიდა მდინარეში. უმეტესად იყვნენ ბაბტიტები. უნდა აღინიშნოს მდინარეში ნათვლის უპირატესობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვინდა იმის თქმა, რომ ადამიანის ტაძარში ან სახლში მონათვლა თითქოს არაა სწორი. მას ქრისტიანობის პირველ საუკუნეებშიც ჰქონდა ადგილი, მაგრამ მოსანათლის მდინარეში ღვთა და მისი წყალში შთაფლვა საჭიროა ისევე მისთვის, მისი რწმენაში განმტკიცებისათვის. ძალზედ მნიშვნელოვანია წყალში შთაფლვისა და იქიდან აღმოყვანების წუთები. ტაძარში კი ეს ვერ ხერხდება, რადგან სანათლავი ემბაზები პატარებია და მხოლოდ მცირეწლოვანი ბავშვებისათვის თუ გამოდგება. სასულიერო პირთა ალბათ, მეტი ფიქრი მართებთ ამ საკითხის უკეთ მოგვარების მიზნით. ჩვენ შევიხსურეთ მდინარის წყალი და მეტად ემაყოფილნი დაებრუნდით იერუსალიმში.

10 (23) ოქტომბერს დანიშნული იყო ოფიციალური შეხვედრები არამართლმადიდებელ ეკლესიებში. საქართველოს ეკლესიის დელეგაცია პირველად მიღებულ იქნა კათოლიკურ საპატრიარქოში. ლათინთა პატრიარქი არ ბრძანდებოდა იერუსალიმში, მიგვიღო მისმა მოადგილე მღვდელმთავარმა. მისალმება-მოკითხვების შემდეგ საუბარი შეეხო საქართველო-რომის საუკუნოვან ურთიერთობებს. გამოითქვა საერთო სურვილი ამ ურთიერთობათა გაუმჯობესებისა. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იერუსალიმის კათოლიკურ საპატრიარქოს სამახსოვროდ გადასცა ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ხატი.

შემდეგ საქართველოს ეკლესიის დელეგაციას შეხვედრა მოუწვეს ფრანცისკანელების ორდენში. კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ ილაპარაკა მონოზნის როლზე თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, აგრეთვე იმ ღირსებებზე, რომლითაც უნდა იყოს იგი აღჭურვილი, კერძოდ, თავმდაბლობასა და სიყვარულზე, დალოცა მონასტრის ბერები და გადასცა დიდი მადლობა კეთილი სურვილებისათვის და საქართველოს ეკლესიის მეთაურს

საპატრიო სტუმართათვის განკუთვნილი მედალი გადასცა.

შემდეგ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქსა და მის თანმხლებ პირთ შეხვედრა მოუწვეს სომეხთა საპატრიარქოში. პატრიარქი ელი შე უცხოეთში ბრძანდებოდა. შეგვხვდა მთავარეპისკოპოსი კარაკინი. მონასტრის მთავარ ტაძარში, რომელიც იაკობ მოციქულის სახელობისაა და რომელიც ქართველების მიერ ყოფილა აშენებული, გადახდილ იქნა პარაკლისი. საერთოდ უნდა შევნიშნოთ, რომ სომეხთა საპატრიარქო დღეს ერთერთი საუკეთესოა იერუსალიმის საპატრიარქოთა შორის. ლოცვის შემდეგ საუბარი გაიმართა ორი მოძმე ხალხის, ქართველებისა და სომეხების საუკუნოვან ურთიერთობებზე. „ჩვენი ბედი იყო ერთნაირი“, — ბრძანა უწმიდესმა ილიამ, — „ჩვენ საზიარო გვექონდა ჭირიცა და ლხინიც. მე მოვედი თქვენთან, როგორც მამა მისი ოჯახში“. საპასუხო სიტყვაში სომეხთა საპატრიარქოს წარმომადგენელმა საქართველოს პატრიარქს მოუხადა დიდი მადლობა მათთან მიბრძანებისა და სომეხი ხალხის მისამართით თქმული თბილი სიტყვებისათვის. მან თქვა: „ჩვენ თქვენო უწმიდესობავ, გხვდებით, არა როგორც სტუმარს, არამედ როგორც ჩვენი ეკლესიის უახლოეს მეგობარს, როგორც მამას“. შეხვედრამ გულთაღობის ვითარებაში ჩაიარა.

დღის მეორე ნახევარში გავემგზავრეთ ბეთლემში. იგი იერუსალიმიდან შვიდ კილომეტრზეა, სამხრეთით. მისი ებრაული სახელწოდება „ბეთ-ლემეხ“, ნიშნავს პურის სახლს. ქალაქი გარშემორტყმულია ხეხილის ბაღებითა და პურის ყანებით, ალბათ სახელწოდებაც აქედან მოდის. სახეიმი შეხვედრა მოგვიწვეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ტაძრის წინ. სადღესასწაულოდ იყო შემოსილი სამღვდელოება, დაახლოებით ისე, საადღვამო ლიტანიონის დროს რომ იციან ჩვენში. საქართველოს ეკლესიის მეთაურის შესახვედრად მოსულიყო ქალაქის ხელმძღვანელობა. ზარების რეკითვთ და გალობით გავვიძღვინე ტაძრისაკენ. ჩავედით გამოქვაბულში, სადაც ოცი საუკუნის წინ ქალწულისაგან იშვა მხსნელი. თაყვანი ვეცით იმ ადგილს. გადახდილი იქნა პარაკლისი, ჩამოლოცვის შემდეგ ქართულად ვიგალობეთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის საგალობელი. საოცარ მღვდლმთავარს ვგრძნობდით. აქ დღესაც ტრიალებს საკვირველი მადლი. აქ ყველაფერი მაცხოვართან და მის კურთხეულ დედასთანაა დაკავშირებული. საკვირველ სიღარიბეში დაიბადა უფალი ჩვენი. ბეთლემში მისთვის ვერ გამოიძებნა ერთი პატარა თავშესაფარიც კი. საკვირველია უფალო, სულგრძელება შენი, თავდაბლობა და უბრალოება.

უადრესად ბედნიერი გამოვედით გამოქვაბულიდან. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს მიესალმნენ ქალაქის მესვეურნი. კათოლიკოსმა საპასუხო სიტყვაში გულთბილი მიღებისათვის მადლობა მოახსენა მათ. შემდეგ საუბარი შეეხო მშვიდობის საკითხს, რაც ასე აქტუალურია ახლო აღმოსავლეთისათვის. პატრიარქმა ილიამ დალოცა ისინი და უსურვა ქრისტესმიერი მშვიდობა და სიხარული. ღვთისმშობლის ტაძარს მან სამახსოვროდ ქართული ხატი გადასცა.

ბეთლემიდან გავემგზავრეთ წმიდა საბა განწმედილის

ლაგრაში. იგი 25 კილომეტრზეა იერუსალიმიდან. გზად გავიარეთ ის ადგილი, სადაც მწყემსებმა იხილეს ანგელოზნი, რომელნიც ადიდებდნენ კაცობრიობის მხსნელის-იესო ქრისტეს ქვეყნად შობას: „დიდება მალაღობა შინა ღმერთსა, ქუეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნობა“ (ლკ. 2, 14). აქ წმიდა ელენე დედოფალს ტაძარი აუგია. უდაბნოში კარგახნის მგზავრობის შემდეგ მივაღქვით საბა განწმედილის ლავრას. იგი დავით გარეჯს წააგავს. ხეობაში, ჩავარდნილ ადგილზე დაურსებია თავისი მონასტერი საბას. V საუკუნიდან ქართველებსაც დაუწყიათ აქ მოღვაწეობა. იმდენად მომრავლებულან, რომ საკუთარი მონასტერიც გაუჩნიათ. ამ მხრივ, საბას ლავრა ჩვენთვის ახლობელი და ძვირფასია. ზარების გუგუნით შეხვდნენ ბერები საქართველოს ეკლესიის მამამთავარს. სიხარულით მიიღეს მისგან ლოცვა-კურთხევა. თავიანთ ვეცით წმიდა საბას საფლავს, რომელიც მცირე ტაძარში მოუქცევიათ. თვით წმიდა ნაწილები საბასი მთავარ ტაძარში, ლუსკუმაში ჩაუსვენებიათ. საბას ნაწილებთან პარაკლისი ქართულად გადავიხადეთ და დიდ წმიდანს საქართველოში სამონასტრო საქმის გაძლიერება შევთხოვეთ. თავიანთ ვეცით მონასტრის სხვა სიწმიდეთაც, მათ შორის, ღირსი იოანე დამასკელის (VIII-ს) საფლავს. ამ მონასტერში დაუწერია მას საგალობლების დიდი ნაწილი.

დღეს საბას მონასტერში ათამდე ბერი ეწევა სამონასტრო ცხოვრებას. მათ შორის ახალგაზრდებიც არიან. მონასტრის რამდენიმე ტაძრისა და სენაკების მოვლა-პატრონობა დიდ შრომასა და გარჯას ითხოვს მათგან. ამიტომ, რომ იერუსალიმის საპატრიარქო და ელადის ეკლესია დიდ დახმარებას უწევენ მას. ჩვენ შევთხოვეთ ბერებს ლოცვაში მოხსენიება და გამოვეთხოვეთ. უკან დაბრუნებისას მოვილოცეთ წმიდა საბას თანამოღვაწის წმიდა თეოდოსი დიდის მონასტერიც. გვაჩვენეს წმიდა თეოდოსის საფლავი. აქვე საფლავები წმიდა საბას და წმიდა თეოდოსის დედებისა, აგრეთვე, წმიდა თეოდოტი-სა და წმიდა იოანე მოხსიხსია. გზად მოვასწარით წმიდა ილია წინასწარმეტყველის ტაძრის მოლოცვაც. იერუსალიმში გვიან დაგბრუნდით.

11 (24) ოქტომბერს დავათვალიერეთ იერუსალიმის ძველი ნაწილი. გვაჩვენეს ის ადგილი, სადაც უწინ დიდებული სოლომონის ტაძარი მდგარა. ახლა იქ ორი მენეთია. ებრაელები დიდად განიცდიან მათთვის ყველაზე წმიდა ადგილის მაჰმადიანთა ხელში ყოფნას. ამ ადგილას ისინი არ დადიან. აქვე ახლოსაა გოდების კედელი. 9 აგვისტოს საგანგებოდ ტირიან ისინი გარდასულ უბედურებათ. სხვათა შორის, როგორც გვითხრეს, დასტირიან 14 ათასი ჩვილის ამოწვევასაც. ჩვენ ბევრი შევნიშნეთ, კედლის წინ რომ ხმაბლდა ავედრებდა თავს უფალს.

მეჩეთები დავათვალიერეთ გარედან, ისინი მნახველთა თვალს ატყვევებენ თავიანთი მრავალფეროვნებითა და სიმდიდრით.

ქალაქში მოვილოცეთ წმიდა ანნას ეკლესია. აქ უცხოვრიათ წმიდა იოაკიმესა და ანნას, აქ შეეძინათ მათ ღე-

და ღვთისა. ტაძრის წინამძღვარი არქიმანდრიტი ევსევი ქართული გალობის დიდი მოყვარულია. მან ჩვენი ტაძარში მისვლისას „ღირს არსი“ ქართულად იგალობა.

შემდეგ მოვინახულეთ პილატეს სასახლე, სადაც მოხდა იესოს განსჯა. ეს დიდებული ძეგლი ნაგებობა კათოლიკეთა ხელშია, გვაჩვენეს ის ადგილი, სადაც იესოს შოლტით სცემეს, ის საკანიც, მაცხოვარი რომ ჩაამწყვდიეს. ეს არის კლდეში გამოკვეთილი ერთი კაცის სამყოფელი. პატიმარს ცივ ქვაზე სვამდნენ ისე, როგორც კაცს ცხენზე ჯდომისას, ქვემოთ ფეხებს უბორკავდნენ, ამას თუ დაუმატებთ უმოძრაობას, სივიწროვესა და სინესტეს გასაგები იქნება ყოველივე. გული ამომიჯდა ყველაფერი ეს რომ წარმოვიდგინე.

უფალო, შეგვიწყალებ... უფალო შეგვიძლევ...

აქედან გამოსულნი დავადექით გოლგოთისაკენ მიმავალ გზას. იგი დღეს ძველი იერუსალიმის ერთერთი ვიწრო ქუჩაა. ამ გზას შეაყენეს იესო, ჯვარით. იერუსალიმში ყოფნისას ეს გზა რამდენიმეჯერ ავიარეთ და ყოველთვის ვიგრძენით დადლილობა. წარმოვიდგინე, რა მძიმე იქნებოდა ნატანჯი იესოსათვის ჯვრის ზიდვა. მივედით იმ ადგილას, სადაც ებრაელებმა ჯვარი აპკიდეს სვიმონ კვირიელს, რადგან ქრისტეს უკვე აღარ შეეძლო მისი წაღება. არ შეიძლება ეს გზა დამშვიდებულმა აიარო... ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს თვითთული ჩვენგანი ჩვენს ჯვარს მივათრევთ — ზოგი დიდს, ზოგი პატარას.

გოლგოთა და მაცხოვრის საფლავი ერთ დიდ ტაძარში მოქცეული. იგი იმპერატორ იუსტინეს დროს აუგიათ. ხალხი აქ მუდამ ბევრია, ყველას სურს ნახოს ის ადგილი, სადაც მოხდა უდიდესი საკვირველება: — ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომა. ქრისტეს საფლავი მცირე ტაძარშია მოქცეული. ეს უკანასკნელი კი მთავარი ტაძრის უკანა ნაწილში, გუმბათის ქვემოთაა. იგი მოვარდისფრო მარმარილოსაგან ნაკვეთი ნაგებობაა. აი ამ პატარა ტაძრისკენაა მიპყრობილი ყოველი ქრისტიანის ყურადღება. მისი შესასვლელი დაბალია, საჭიროა წელში მოხრა. საოცარი მღელვარება ეუფლება კაცს აქ მოხვედრისას. ისეთი გრძნობა გაქვს, თითქოს პირდაპირ უნდა შეხვდეს მაცხოვარს. როგორც იქნა, მივადწიეთ სანთლებით განიორდენებულ პატარა სენაკს, — მაცხოვრის საფლავს. რიგრიგობით ხდება ჩვენი შესვლა და სიწმიდის თავანისცემა. დრო ცოტა გვქონდა, სათხოვარი კი ბევრი, აღარ ვიცოდი საიდან დამეწყო, რა მეთქვა. სიტყვა თითქოს უძღური აღმოჩნდა ღმერთთან გულის გადასაშლელად. „შეგვიწყალებ“, — შევთხოვე ბოლოს... პატიებასა ვთხოვდი უფალს არა მარტო ჩვენთვის, არამედ მთელი ქვეყნიერებისათვის. „ღმერთო, შენ დაიფარე ჩვენი ეკლესია და

ქვეყანა. ღმერთო, არ მოაკლო შენი მეოხება ჩვენს ერს.“ მინდოდა საფლავთან კიდევ გაჩერება, მაგრამ იქ შესვლის მსურველთა სიმრავლის მომერიდა და კრძალვით გამოვეთხოვე მას. წამოსვლისას ქართულად ვიგალობეთ „ქრისტე აღსდგა“, მადლობა შევსწირეთ უფალს იმ დიდი სიხარულისათვის, წმიდა საფლავთან რომ განვაცდეთ ვინა.

საღამოს აღდგომის ტაძარში ჩატარდა მწუხრი პურის

კურთხევა: ლოცვას დაესწრნენ იერუსალიმისა და საქართველოს ეკლესიათა პატრიარქები. ლოცვის შემდეგ სომეხთა საპატრიარქომ საქართველოს ეკლესიის მეთაურისა და მისი თანმხლები პირების პატივსაცემად გამართა ვახშამი, რომელზეც მოწვეულნი იყვნენ იერუსალიმის მაღალი საზოგადოების წარმომადგენელნი. ვახშამმა ჩაიარა მეგობრულ ვითარებაში.

12 (25) ოქტომბერს, კვირას აღდგომის ტაძარში შესრულდა სადღესასწაულო წირვა, რომლის დასასრულს პატრიარქებმა ერთმანეთს მიმართეს მისასალმებელი სიტყვებით. კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ იერუსალიმის პატრიარქი დიოდოროსი მისი ანგელოზის დღესთან დაკავშირებით დააჯილდოვა წმიდა ნინოს ორდენით. იერუსალიმის პატრიარქმა თავის მხრივ საქართველოს ეკლესიის მეთაური და მისი თანმხლები პირები დააჯილდოვა ორდენებითა და ჯვრებით.

დღის მეორე ნახევარში საქართველოს ეკლესიის დელეგაცია იერუსალიმის მერის მოადგილემ მუნიციპალიტეტში მიიღო. შეხვედრას ესწრებოდნენ ქართველი ებრაელებიც.

საღამოს იერუსალიმის საპატრიარქომ ქართველ სტუმართა პატივსაცემად მოაწყო საზეიმო ვახშამი, რომელსაც ექვსასი კაცი დაესწრო.

13(26) ოქტომბერს კათოლიკოს-პატრიარქი ილია შეხვდა იერუსალიმის პატრიარქს. საუბარი შეეხო ჯვრის მონასტერში ქართველთა მოღვაწეობას. იერუსალიმის პატრიარქმა გამოთქვა იმედი, რომ ეს საკითხი დადებითად გადაწყდება.

შემდეგ საქართველოს ეკლესიის დელეგაცია ეწვია რუსეთის ეკლესიის მისიას იერუსალიმში, სადაც სტუმართა პატივსაცემად გაიმართა სადილი.


იმავ დღეს შევხვდით სირიის ეკლესიის მთავარეპისკოპოს დიონისეს, კობთა ეკლესიის მთავარეპისკოპოს ბასილის და ეთიოპიის ეკლესიის მთავარეპისკოპოს ათანასეს. დღის მეორე ნახევარში მოვილოცეთ ღვთისმშობლის საფლავი გეთსიმანიის ბაღში. რამდენ ხანს ველოდი აქ მოხვედრას, რამდენს ვნატრობდი ყოვლადწმიდას საფლავის თაყვანისცემას. მეგონა ვიხილავდი ღვთის დედას, პირისპირ შევხვდებოდი მას. იქ მისული კი მივხვდი, რომ ღვთისმშობელი საფლავში კი არა, ჩვენს გულეებშია დამკვიდრებული. კიდევ ერთხელ ვიწამე, როგორი ძვირფასი და ახლობელია. მაღლობელი ვარ შენი, დედაო წმიდაო, რომ გამხადე ღირსი შენს წმიდა საფლავთან მოსვლისა.


საღამოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილიამ სასტუმროში ქართველი ებრაელებისათვის გამოსამშვიდობებელი ვახშამი გამართა.

14 (27) ოქტომბერს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II და მისი თანმხლები პირნი კიდევ ერთხელ შევხვდით იერუსალიმის პატრიარქ დიოდოროსს, რათა მისი უნეტარესობის და მთელი იერუსალიმის საპატრიარქოსათვის მოგვეხსენებინა უღრმესი მადლობა იმ სიყვარულისა და პატივისცემის გამო, ჩვენი დელეგაციის მიმართ რომ გამოხატეს. კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ იერუსალიმის უნეტარესი პატრიარქი დიოდოროსი მისთვის სასურველ დროს საქართველოში მოიწვია.

ამით დამთავრდა საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმიდა მიწაზე მოგზაურობა, რითაც ჩვენი ეკლესიების ისტორიაში კიდევ ერთი ნათელი ფურცელი ჩაიწერა. და ჩვენც, იმავე დღეს, კვიპროსის გავლით, სამშობლოში დავბრუნდით.

ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი).
მცხეთის სასულიერო სემინარიის რექტორი





მთას შეფარებული

ქართული სული

125 წელი ვაჟა-ფშაველას დაბადებიდან

„მთას ვიჟავ, მწვერვალზე ვიდექ ვლაპარაკობდი ღმერთთან“... — წერს ვაჟა ერთ თავის ლექსში... და, სულაც არაა მხელი მის პოეზიაში ღვთაებრივის შეგრძნება, ან ხილვაც მისი... მიუწვდომელია ვაჟას გენია. მასში აღდგა, გაცოცხლდა ყველაფერი დიდი და მაღალი, რაც კაცობრიობას თავისი არსებობის მანძილზე კარგი შეუქმნია... მის სახელშიც — ვაჟა-ფშაველა — თითქოს მთელი დედამიწის ძალაა და ეს ძალა იღუმლად გადმოდის ჩვენში...

ცალკეა ვაჟა და „მასთანაა მთას შეფარებული ქართული სული“ ყველაზე კარგად სწორედ ვაჟამ გვაგრძნობინა ამ სულის სიმაღლე და სიღამაზე, მისი შემოქმედთან ერთიანობა.

ფშავის ერთ პატარა სოფელში დაიბადა ვაჟა... ამ სოფელს ჩარგალი ჰქვია. დღესაც არის იქ მიწური ქოხი, ვაჟა რომ ფიჩხით ათობდა და ანათებდა... მთელი საქართველო მიახვდა მან ამ ქოხისაკენ, ააფორიაქა, აამღვდვარა და მოწიწებით ქუდი მოახდევინა...

ვაჟას უახლოესი წინაპარი წარმოშობით გოგოჭურების თემს ეკუთვნოდნენ... ზღაპრად ჰყვებიან ზალხში რაზიკაანთ იმედას ამბებს... იგი კლდესავით ვაჟაკი ყოფილა და ვიდრე ცოცხალი იყო, ლეკები, თურმე, ვერ ბედავდნენ ფშავში თარეშს. იმედას სახელი, გადმოცემით, მთელ რაზიკაანთ გვარს იფარავდაო. დიდი ვაჟაკი ყოფილა მისი შვილიც — გივი... ისიც მტკიცედ იცავდა თურმე, მთის შეუვალობას. ერთხელ გაუგია, რომ მისი ბიჭი პავლე, გუთანზე მუშაობის დროს „რადაც ქაღალდებს“ კითხულობდა და სწყენია. ეს თემის დალატად მიუჩნევია. მოსაკლავადაც კი გაიმეტა „სჯულის გამტეხი“ და თოფითა სდევნიდა თურმე, „გზა-ამცდარს“ ეძახდა. პავლე გაქცეულა, მონასტერში მისულა და მალე ფშაური ტალავარი მღვდლის ანაფორაზე შეუცვლია. ეს პავლე მღვდელი ვაჟა-ფშაველას მამა იყო... (ვ. კოტეტი-შვილი, ქართ. ლიტ. ისტორია გვ. 581)

საოცარია ვაჟას სამყარო... ისევე საოცარი, როგორც თვით ბუნება. „ბუნება ბრძანებელია, იგივე მონაა თავისაო“, თქვა მან და ამით უზარმაზარი საიდუმლო გვამცნო. ბუნება ღვთის საჩუქარია. იგი სიცოცხლის წყაროა და

აღამიანი, რომელიც ებრძვის მას, დამნაშავეა. ასეთია ვაჟას ფილოსოფია.

**მინდა შავეთში მომღერალს,
სტუმრად მწვევიყენ მთანია,
თან კლდენი, შავგვრემანნი,
მთების მაშვენი ძმანია.**

— წერს იგი და ეს მხოლოდ პოეზია კი არ არის, არამედ, იმ „უხილავის ხილვაა“, რომელსაც თითონ ვაჟამ „რადაც“ უწოდა.

**უსულო საგნებს სული ჩაბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა,
და, როგორც მეფე, ვაჯათამე
მწირი ბალახი, ის ქუნი მთისა,
მაღლი მყენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღლის ღვთისა“**

განა, საოცარი არ არის ეს სტრიქონები? ვაჟას სწამს აღამიანის ამქვეყნად მოსვლის მაღალი აზრი და ეთაყვანება ვაჟაკობის იმ ტრადიციებს, რომელიც იცავს სამშობლოს, სარწმუნოებას, ოჯახს, პატიოსნებას, სიყვარულს... მის მშობელ მთაში გაბატონებული გმირობის კულტი მისი სალოცავიცაა, იმდენად დიდი სალოცავი, რომ ზოგჯერ ტრადიციების რღვევასაც იწყებს... გავიხსენოთ, თუნდაც, ალუდა ქეთელაური...

**მარჯვენას არ სჭრის მუცალსა,
იტყოდა, ცოდვა არიო,
ვაჟაკო, ჩემგან მოკლულო,
ღმერთმა გაცხოვნოს მკვდარიო,
მკლავზედაც გებას მარჯვენა,
შენზედ ალალი არიო.**

საოცარია ყოველივე ეს... საოცარი და ამაღლევებელი. ესაა „მთას შეფარებული ქართული სული“.

ხოლო „ბახტრიონი“ ... სანათა, ლელა, კვირია... განა, მარად სანატრელნი არ არიან ისინი? გვზრდის, გვწმენდს, გვახუფთავებს ყოველივე ეს... გვაახლოებს შემოქმედთან.

მაგრამ ვაჟა დიდია არა მხოლოდ როგორც პოეტი, არამედ, როგორც მწიგნობარი, აღამიანი, ამ მიწაზე მღვდომი, მიწიერი ზრუნვით, მისი ტკივილებით სავსე, თავისი ქვე-

ნის ბელზე დაფიქრებული, ადამიანების მწვედ და მფარვე-
ლად ქვეყნად მოსული... იგი ქართული მითოსის ამოუწუ-
რავი სავანაშია, ვაჟა ერის ამაღლებული წარსული და
მისი მუდმივი თანამგზავია.

**ხარ ვევერ, ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვნხვერ, ვბუბუნებ,
ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე,
მძინარიც ამას ვდუღუნებ...**

საშუალო საუკუნეების ჯვაროსანი რაინდით იღვა
ვაჟა ჩარგლის მთებში და მხოლოდ ზოგჯერ ჩამოდიოდა
თბილისში... ჩამოდიოდა და მოჰქონდა მარგალიტები,
რომელსაც ყოველთვის ერთნაირი სიხარულით არ ხვდე-
ბოდნენ აქ... მხოლოდ დიდმა ილიამ იგრძნო პირველად
ვაჟას გენია. მხოლოდ მან თქვა, უკვე დროა, ჩვენ, ძველებ-
მა კალაში დავდეთ და გზა ვაჟას დავეუფოთო. წვალობდა
ვაჟა, უჭირდა... მაგრამ მაინც ამაყად იღვა. გული სტკიო-
და... რატომ? ბევრი რამის გამო, უპირველესად კი იმი-
ტომ, რომ უჭირდა მის სამშობლოს. მტერი მძლავრობდა
და „კაი ყმის“ კულტი, რომელიც ასე დიდი იყო საქარ-
თველოს მთიანეთში და ბარშიაც, უკვე სუსტდებოდა.

**კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,
ნათქვამი არა გვრცხვენოდეს...**

— კითხულობდა და ჩამოთვლიდა იმ ღირსებებს, რომე-
ლიც კაი ყმას უნდა ჰქონდეს, რომ მას ერი ეთაყვანოს.

**სწორ ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,
ცდუნება არა სძირავდეს**

**მხედ იდგეს ხევსურეთისა,
უხვად შუქს ჩამოჰლაღავდეს...**

**სულეთს შავიდეს ხმლიანი,
ლადი ლადისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი
ხმლით მოყაშაშე, ფრენითა,
ქება უვივლონ გმირებმა,
გადასრულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაზხვიოს,
დაისვას თავის გვერდითა,
გამაგებოს თამარი,
მცინარი, თავის ფეხითა.
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.
ანგელოზები ხარობდნენ,
აღ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.**

მაგრამ ველარ ხედავდა ყოველივე ამას და მრისხანებ-
და

**აი, ვინაა კაი ყმა,
მოსაგონარი ქებითა.
არა თქვენ, საღიაცენო,
რო ძროხებივით სძლებითა;**

**არ იცით, დასწნდით რისადა,
ან რისათვისა ჰკვდებითა.**

ვაჟას სწამდა ადამიანის აღდგენა, პიროვნების ამაღ-

ლება. წუხდა, რომ ადამიანი დაიმორჩილა ნივთმა. იგი
ასცდა ჭეშმარიტების გზას, რომ სული იკარგება; ხოლო
მთაში ბართან შედარებით სინდისი და სიკეთე თუმცე ჯერ
კიდევ უფრო წელგამართული დაღის და მომავალშიც უფ-
რო სიამელოა, მაგრამ ბზარი მაინც განწადა და ამიტომაც
შუოთავდა.

ვაჟა ნამდვილი ბუნების შვილი იყო და ისევე გრძნობ-
და ბუნების სულს, მის ტკივილებსა თუ სიხარულებს,
როგორც მისივე მინდია. — განა მან პირველმა არ გაიგო-
ნა მსოფლიო მწერლობაში ტყის ტირილი, როდესაც მო-
ნადირებმა ირემი მოჰკლეს?

„პაწაწა ვარ ობოლი... ჯერ რქები და ჩლიქები არ გამ-
მაგრებია...“ — ასე იწყება „შვილის ნუკრის ნამბობი“. არ
არსებობს უფრო მაღალი, უფრო სუფთა, უფრო ლამაზი,
უფრო პოეტური და ამაღლებული რამ, ვიდრე ეს მოთხრო-
ბაა. გინდა მუდამ თან ატარო და არ მოცილო, რომ შენ-
შიც არ შესუსტდეს ის მთავარი და უკეთესი, რასაც
ღვთაებრივი და ადამიანური ჰქვია. გინდა არასოდეს მო-
ცილო მისი „მთანი მაღლნი“, „მთის წყარო“, „ხმელი
წიფელი“, „ამოდის ნათლება“... „იას უთხარით ტურფა-
სა“, „ჩემი ვედრება“, „კლდე მართხელ სთქვა...“ სიცოცხ-
ლის ძალით გვაკვსებს მათი წრთხელ სთქვა... სწორედ ვაჟამ
გვითხრა, თუ გვაძცნო, რომ:

**რაც კი რამ დაუბადია
უფალს სულიერ—უსულს,
ვევლასაც თურმე ენა აქვს,
არა ყოფილა ურჯულო...**

ყველაფერს ერთი დიდი სული უდგას... და ამიტომაც
ღვთაებრივი და გარეშემოუწერელია მთელი ის სამყარო,
რომელშიც მისი გმირები ცხოვრობენ.

შთაგონების უნივერსალური წყარო ამოდიოდა მის
პატარა ფშავში. ბოლომდე შესვა ვაჟამ ეს წყარო და მის
მაცოცხლებელ სულს ეზიარა; ჩასწვდა ბუნების უხილავ
ცხოვრებას, მის იღუმალ სასიცოცხლო ძალას.

**რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოვედ წვიმად.**

მაგრამ ბუნებასთან ვაჟამ პიროვნული და ეროვნული
მეობაც დააკავშირა. ყველაფერი, რაც მას ბუნებაში უყ-
ვარს და სტკივა, შვილის ნუკრიც, ქუჩიც, მთის წყაროც,
— მისი სამშობლოა, ადგილის დედაა, რომელსაც ყველა-
ზე ძვირფასი რამე — თავისუფლება დაჰკარგვია.

„ოჰ ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ
დაიმედებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვთ... არა ჰგრძ-
ნობთ, რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ
თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს
სიცოცხლე, ბუნება“... კვენისის შვილის ნუკრი.

— რა შეუბრალებელია კაცი? რასაც კი დაინახავს,
უნდა, რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს. ალბათ, ვერ
აფასებს ჩვენს სიღამაზეს... — ჩურჩულებს ია...

ხმელი წიფელი კი... ამოიკვნესებს ღრმა კვენით, და
არც ავად, არც კარგად, ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენა-
რეთ, მაგრამ „ადგილის დედის“ ხელპარს კი ყურს უგ-
დებს. თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით გულზე ესო-
ბა და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის. საბრალო წიფელი! ერ-
თი დრო იყო, რომ ესეც ამაყად გაბარჯდული იდგა... ვი-

ქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე, აწმყოსა და მომავალზე; გულში თითქოს დრმად ჩაშტეკვია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთ ფესვის ბოლოზე ამოსულს, პატარა დასახულ ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის, რომ გაიზარდოს. ესღაა მისი ნუგეში.

და ყოველივე ამას გვირგვინად ადგას უდიდესი ჰუმანოზმით აღსავსე სიტყვები შავის პიტალო კლდისა, რომელმაც მხოლოდ ერთხელ ამოიღვა ენა და სთქვა: კაც-ნო, გიყვარდეთ ერთმანეთით.

ვაჟას პატრიოტიზმი ვერ თავსდება მხოლოდ ეროვნულ ჩარჩოებში. იგი საერთოდ, ადამიანისა და ადამიანურის სიყვარულითაა აღსავსე... სამშობლოში კი შმის მთავარი სალოცავი ორი სახელია — თამარ მეფისა და ერეკლესი. მისთვის ყველაზე დიდი სიღამაზის სიმბოლო თამარის სახეა. „ჩემო ლამაზო დედაო“, „მამშვენი თვალთა, სმენისა, თამარ დედოფლის სახეო“... მას თამარის საფლავიც კი ფშავში ეგულების. ამაში მე ეჭვიც არ მეპარებაო, წერს. პატარა კახსაც, „თამარ დედოფლის ნაკონი, ბეუდად უსვია ხმალზედაო“, გვამცნობს და ყოველივე — თუ ყველა ეს ერთად, მისი ქვეყანაა, ღვთივ დაცული და გამშვენიებული.

XXX

ვაჟას წერილებში, რომელიც ძირითადად ფშავ-ხევსურეთის ცხოვრების მისი წესჩვეულებების, წარსულისა თუ მანძილოვითა ავ-კარგს გვამცნობს, უზომოდ ბევრი ტკივილი და ფიქრია. ვაჟა ერთერთი პირველი იყო, ვინც ჩაიხედა მთის ხალხის სულში და მათ ცხოვრებასა და წესებზე დაკვირვებით სცადა ამოეცნო და ამოიცნო კიდევ ეს სული. ვაჟას დრმად სწამდა მისი სიკეთე და არსებობის დიდი აზრი.

„ფშაველები, როგორც ნამდვილი ქართველები, თქმა არ უნდა, მართლმადიდებლები არიან“ — წერს იგი ერთ წერილში, მაგრამ აქვე იმ წარმართულ ფესვებზეც მიუთითებს, ქრისტიანობის შემოსვლამდე რომ იყო მთაში. მთამ ქრისტეს რჯული მიიღო, მაგრამ მთლიანად არც ძველი სარწმუნოება დაიწმინდა, ერთმანეთს შეუსადაგა და ამიტომ აქ წარმართული ხატებიც და ქრისტიანული ტაძრებიც, ან უფრო სწორად, ტაძართა ნანგრევებიც უხვად არის... ხოლო ამის მიზეზი ისააო, ბრძანებს იგი, რომ ძველები, საქართველოს თავზე გარდავილი ათასნაირი „ლეწვა-მტვრევის“ გამო, შეცოტავდნენ და უმოდლოდ დარჩენილი ხალხი ძალაუბრებურად ისევ ძველ რჯულს უბრუნდებოდა. ქრისტიანობის ნიშნები კი ფშავში ბევრია, სადაც გინდათ, მთაზე, უღრანს, გაუჯალ ტყეში შეხვდებით ნასაყდრებსო (ვაჟა-ფშაველა ტ. IX. გვ. 26. 1964 წ.).

საერთოდ, ერთი სარწმუნოების მეორეთი შეცვლა ძალზე რთული პროცესია და იგი უაღრესად ნელა მიმდინარეობს, მითუმეტეს, მთაში და ყოველივე ამის გათვალისწინებით, ვაჟა აკვირდებოდა მთის ხალხის ტრადიციებს, ჩვევებს, ცხოვრებას. აღწერდა, იკვლევდა... დღობებსა და ხატობებში ხალხთან ერთად იღვინდა, ჭირსაც მათთან ერთად იზიარებდა. უყვარდა მათი ნიჭიერება, მათი ავი და კარგი. ხალხიც კრძალვითა და სიყვარულით

იყო მასთან... ფშაველი ხევისბერის დიდებაში ღვთისადრში, რომელიც ვაჟას ჩაუწერია, განსაკუთრებული პატივითა და სასოებით იხსენიება წმიდა გიორგი და თამარ დედოფალი... დიდება შენთვის, ღმერთო, დიდება შენთვის, კვირას კარავიანს, დიდება შენთვის გიორგი მუხის ანგელოზს (ე.ი. ლაშარის ჯვარს). დიდება შენთვის, თამარს დედოფალს, ხმელეთის დამრიგებელს! თქვენ გადიდოსთ, ღმერთმა გაგიმარჯოსთ...“ ვაჟა წერს: (ფშაველს) ქრისტიანული წესებიდამ ყველაზედ მომეტებულად სწამს ზიარება, მონათვლა და მარხვა, განსაკუთრებით დიდმარხვა. ზიარებას ისე უცქერის ფშაველი, როგორც სამკურნალო წამალს (დასახ. ტომი. გვ. 13).

ლაშარის ჯვარის შესახებ ვაჟა წერს: ან უფრო ზუსტად, აღწერს ლაშარობას: (ლაშარობაზე მას რამდენიმე წერილი ქვს).

„ლაშარობა წელს 17—18 მკათათვეს მოხდა. ორი დღე გრძელდება. სალოცავად მოსულნი იყვნენ: თუშები, ფშაველები, ქისტები, ხევსურები და ბარელი ქართველები სოფელ ყვარელიდამა და ქართლიდამ. ბარელნი, ვისაც კი შეთქმული ჰქონდა, იყვნენ ჩაცმულნი თეთრ ტანისამოსში, ფეხშიშველნი. ... თუშცა ხევისბერები ემდურებოდნენ მლოცავის სიცოტავეს, მაგრამ ხალხი მინც ბევრი იყო. ლაშარის გორაზე დაუტევლობის გამო, ბევრნი გორის ძირას, ჭალაში დაბინავებულიყვნენ.

ლაშარის ჯვარი ბევრით არ განსხვავდება ფშაველების სხვა სალოცავისაგან. გალაგნის წინ სდგას ყორის ოთხკუთხედი, რომელზედაც წმინდის გიორგის ხატი და ჯვარი ასვენია და ზედვე სდგას საიახზე. ხოლო ხევისბერი ასრულებს თავის თანამდებობას ერთგულად, შეუშფოთებლად. გალაგნის შიგნით იმყოფება საჯარო, სადაც ხევისბერის მეტი ვერავინ შევა. საჯარე ყორისაა და ზედ სიბი ქვეები ახურია. საჯარეს სამხრეთით აშენებულია ყორისავე სახარე, რომელსაც თავზედ კაცის სიმაღლედ მოკალული სპილენძის გუმბათი ადგას. ამ გუმბათზე ჰქილია ზარი. თავზედ ჯვარი ადგას. ჯვარს ტოტებზე პატარ-პატარა ზარები ჰქილია. ეს პატარა ზარები გადაბმული არის ჯაჭვისფრად ერთმანეთზე და იმითაა შემოსარტყლული სახარე. სახარეზე არის მიყუდებული ლაშარის ჯვარის დროშა. ამ ადგილს წინად ყოფილა აშენებული ლაშა გიორგისაგან ეკლესია წმინდის გიორგის სახელზედ, რომლისთვისაც მშვენიერი ხატი წმინდის გიორგის შეუწირავს. ეს გარემოება ხალხს დავიწყებია. შეწირული და შემწირველი გაუერთებია და კიდევ გაუღმერთებია.

... ლაშარის ჯვარი განთქმულია სიმდიდრით — „ზინათით“, განძეულობით. ვერცხლეულს, თასებს, ვერცხლის სინებს სწირავენ მლოცავნი. ქართველთა მეფეებისაგანაც ბევრია თურმე, შემოწირული თასები, რომელთა შორის აქებენ თამარ დედოფლისაგან შემოწირულს. იმისსავე სახელისა და ღმრსების ზედ წარწერით, მაგრამ საუბედუროდ ხევის ბერები არავის არ აჩვენებენ და არც ასწავლიან ალაგს, სადაც ეს თასები ინახება. არც კი გასამტყუნარნი არიან ამ შემთხვევაში, რადგან ბევრმა სხვადასხვა ხელმა ბევრი ვერცხლეული გაალაგა ლაშარის ჯვარისა“ (ტ. IX. გვ. 55). ვაჟას ძალიან აწუხებდა ლაშა-



პეტე ფრანკელი



ვეჯას სახლი ჩარგალში

უსულო საბნებს სული ჩავბერი,
ავასაუბრი ლოდები კლდისა
და, როგორც მიწი, გავათამაშე
მწირი ბალახი, ის ჭუჩი მთისა.
მაღლი მფინია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა



ვაჟა-ფშაველა და ალექსანდრე ყაზბეგი

ნუ დამამშვიდებ, უფალს,
მამყოფი შიკრუნებული, —
მხოლოდ მამინ ვარ ბედნიერი.
როცა ვარ შიფხიბული

რისა და საერთოდ, ფშავის სალოცავებში დაცული განძის ბედი... ამიტომ არაერთხელ შეებრძოლა იგი ამის გამო თვით ეკლესიის მსახურთაც კი, რომელთაც გაჰქონდათ ეს სიმდიდრე (სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები არსებობდა. ეს მარტო მთაში არ ხდებოდა. კიდევ უფრო მეტი საეკლესიო განძეული ბარის საქართველოდან გაზიდეს უცხო ტომის შვილებმა, რომელთა შორის, საეკლესიო პირიც ბევრი იყო.)

ყოველივე ამან საკმაოდ შეამცირა ლაშარის ჯვრისა და სხვა ხატების თას-განძები... „ხოლო, დღეს რომ ვინმე მეცნიერმა, სამეცნიერო ფიქრით და წადილით აღჭურვილმა მიინდომოს ამ ნივთების ნახვა, ძნელად თუ ეძიროს, რადგან დასტურ ხევისბერნი გაფრთხილდნენ და ვინ უწყის, სად, რა ადგილას კმადადნენ და ჰსჩქმალდნენ ხატების „ზინათს“-ო... წერს ვაჟა. საეკლესიო პირთა ასეთი საქციელი მიანდა მას ყველაზე მეტად, ხალხში რწმენის შერყევის მიზეზად და წუხდა. ერის ერთიანობის და სულიერი ზრდისათვის მას კარგად ესმოდა ქრისტეს მცნების მნიშვნელობა.

ამავე მტკივნეულ საკითხს ეხება მისი წერილი — „თამარის საფლავის გამო“... (გვ. 375). ვაჟა წერს: „იმევე სიგელის წყალობით, რომელიც შეეხება თამარის საფლავს, მღვდელმა ფარნაოზ ზაბახიძემ აღმოაჩინა, იპოვნა მიწაში დაფლული სამი ჯვარი, როგორც პირადად მიაშობა პატივცემულმა შუაუხოს მრევლის მოძღვრამა, თავწყაროს მონასტრის სიგელის საშუალებით; როგორც სიგელში იყო ნაჩვენები, აღმოსავლეთით 5—6 ადლის სიშორეზე მონასტრის კედლიდან ამოვიღე მიწიდან სამი ჯვარი: ერთი ლაშა გიორგისაგან შეწირული, უკვე ცნობილი მთელ საქართველოში, ლაშარის ჯვარი; მეორე თამარ მეფისა და მესამე თავწყაროსი. ერთი ამ ჯვართაგანი, სახელდობრ ლაშარის ჯვარი, მე ჩემის თვალთ ვნახე. ეს ჯვარი ზაბახიძეს გადაეცა თამარ მეფის ბერის ილარიონისათვის. ეს ჯვარი იქნება თავის ტარიანად არშინახევი. ტარი ვერცხლით საუცხოვოდ არის მოვარაყებული. ჯვარი ვნახე მალაროსკარში, ოქრომჭედელ დავით ჯანაშვილთან, სადაც ბერმონოზონ ილარიონს მოეტანა გასაკეთებლად, რადგანაც ტარი ჰქონდა მოტეხილი. უნდა მამა ილარიონს შეენიშნოთ. მან ამ ჯვარის აქეთ-იქით ხურჯინით ზიდვაზე რომ ხელი აიღოს, ურიგო არ იქნება. სწორედ ამ ხურჯინის ბრალია, რომ ჯვარს ტარი მოსტყუდა და გახდა მჭედლების საკეთებელ მასალად.

მე კარგად ვიცი, რომ ამ ერთი კვირის წინათ ეს ჯვარი ბერმა ილარიონმა ჩამოიტანა ქალაქში ეპისკოპოს ანტონთან (საუცხოო ნიშანი აქვს ამ ჯვარს: მარჯვენა ტოტის ბოლო გახურტილი აქვს და ზედ ვერცხლის ნკოჯის სიგრძე მათრახი ჰქონდა. (მე ასე ვფიქრობ, რომ ჯვარი თავის ადგილას უნდა იყოს და ვისაც იმისი ნახვა ჰსურს, მიბრძანდეს და ადგილობრივ ინახულოს. მამა ილარიონს შეიძლება მოსკოვიდან და პეტროგრადიდანაც მოუვიდეს რუსის ეპისკოპოსების და არქიელების ბრძანება, ლაშარის ჯვარი წამოიღეს და თვალთ გვიჩვენეს. მაშ, იქაც უნდა გაქანოს? არა. მე, როგორც შეილი იმ თემისა, რომელსაც ჯვარი ეკუთვნის და, მაშასადამე, სრული უფლებების მქონებული, მოვითხოვ, რომ ბერმა ილარიონმა ლაშა-

რის ჯვარი თავის ადგილას მიიტანოს და დაასვენოს და აქეთ-იქით საჩვენებლად არ ატაროს, რადგან ამისთანა ნივთის მატარებელს ხიფათი თან სდევს“...

სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოღწეულა (ან მიკვლეული არ არის), რა შედეგი მოჰყვა ვაჟას ამ წერილს... საერთოდ კი, იგი ძალზე საგულისხმოა და ანგარიშგასაწევი... ჩვენი ჯვარ-ხატების დაკარგვის ერთი დიდი მიზეზი მსგავსი მაგალითებიც არის...

სხვა წერილში, რომელიც ისევ ლაშარობისადმი მიძღვნილი, ვაჟა წერს: „ლაშარობა“ იგივე გიორგობაა, ხოლო იმისი უმთავრესი დღეობა პეტრე-პავლობა. ე. ი. 29 ივნისს მოდის და სამს დღეს გასტანს. არც ერთს სხვა ფშაურს „ხატს“, ანუ სალოცავს იმდენი მლოცავი არა ჰყავს, რამდენიც ლაშარის ჯვარს. ფშაველების გარდა თქვენ იქ ჰხედავთ თუმეებს, ქისტებს და ბარელ ქართველებს. ბარელნი თითქმის ორასი ვერსის მანძილიდან მოდიან ლაშარში სალოცავად თავიანთ ცოლ-შვილით, უგზო გზით, მრავლის ტანჯვის მტვირთველნი. ამათ რაღა ძალა ადგიათ, აუტკივარს თავს რისთვის იტკივებენო, — რატომ არ იკითხავთ? იკითხავთ, თუმცა ტყუილად, ვინაიდან ისინიც ლაშარის ჯვარს, როგორც ადგილობრივი ფშაველები, მამა-პაპის სალოცავად, თავის ხატად და ბატონ-პატრონად სთვლიან. ამისი გაგება და შეგნება არც ძნელია. თუ თავდაპირველად შშობელი დედა და აკვანი მთისა ბარი იყო, დროთა ვითარებისა და ისტორიული ვითარების გამო, მთასაც ბევრჯერ ხვდა წილად დედობა და აკვნობა გაეწია ბარისათვის. მტრისაგან დაწოკებული, შევიწროებული ბარელნი ხშირად ილტვოდნენ მთებში, როგორც ციხე—სიმაგრეში თავის დასაფარავად; ეგრეთვე მთიდან, ეკონომიური პირობებისა გამო, იძულებული აფარებდნენ თავს ბარის მდიდარ და უხვ კალთას. ხოლო ლაშარის ჯვარის ბინა შეუცვლელი დარჩა დღემდე.

... ყველა, ვისაც კი ფშავის დამორჩილება ედვა გულში, როგორც სხვადასხვა ზეპირგადმოცემა გვეუბნება, ბრძოლას უსათუოდ თავდაპირველად ლაშარის ჯვართან იწყებდა. ასე მოიქცა ზურაბ ერისთავი; იმან განიზრახა ხატის შემუსვრა, მაშასადამე, უმთავრეს მოწინააღმდეგე ძალად იმას ლაშარის ჯვარი მიჩნდა, რისთვისაც მოსტრა დიდი მუხა, რომელსაც ჰქონდა კენწეროზე „ციდან მოსული ოქროს ჯაჭვი ანგელოზების ასასვლელ-ჩამოსასვლელად“. არც კარგად დაუჯდა ზურაბს ასეთი თავხედობა. წყევლა—კრულვის მეტი იმას არაფერი დაჰრჩა და თვით მისი მისწრაფება ფშავ-ხევსურეთში ბატონყმობის დამყარებისა, ქარმა და წყალმა წაიღო.

ესევე მოიქცა შაჰ-აბაზი. თუმცა იმას, როგორც ძველი თქმულება გვეუბნება, გარდა ფშავის დაპყრობისა, ის ფიქრიც ჰქონდა, როგორმე, ლაშარის ჯვარში დაცული სიმდიდრე ხელში ჩაეგდო. ერთს თავის ქვეშევრდომს ხანს ჩააბარა დიდძალი ჯარი და გამოგზავნა ლაშარის ჯვრის დასარბევად. ფშავ-ხევსურნიც, უკაცრავად, ხელცარიელნი არ შეჰრჩნენ: ვიწრო არაგვის გასავალში, ეგრედ წოდებულ ნაწვეთარში, შეუერეს გზა თათრის ბრძოლს და მთლად მოსრეს. ორის კვირის განმავლობაში არაგვის წყალი არ დაილეოდაო, ამბობს თქმულება. „საიღამ წარ-

მოსდგა ლაშარობა? — კითხულობს ვაჟა—დასამტკიცებლად იმისა, რომ ლაშარობა დაერქვა დღეობას ლაშა გიორგისაგან შეწირულის წმიდის გიორგის ხატის გამო, შეგვიძლიან მოვიყვანოთ საბუთები. ზეპირგადმოცემით, ლაშამ ეს ხატი შესწირა ზავის გულისათვის ძველის ჩვეულებისამებრ და ეკლესიაც იმიტომ ააშენა. ამის შემდეგ უნდა განმტკიცებულიყო ფშაველების ერთგულება საქართველოს ტახტისადმი. ამიტომ თორმეტივე თემი ფშავისა სთვლის თავისთავს ყმად ლაშარის ჯვრისა. ... დღესაც ფშაველი ამბობს, რომ საქართველოს და ქრისტიანობის ნიშანი ჯვარიაო. ჯვარს დიდი მნიშვნელობა და სახელი ჰქონდა და ქართველობაში ჯვარის ხსენება გულს აუჩქროლებდა ქართველ კაცს. ჯვარი ანდამატივით იხილავდა მის გულ-გონებას. სწორედ წმიდის გიორგის ხატის შეწირვით ლაშასაგან ერქმევა დღეობას ლაშარობა. ... ფშაველებს ჰქონდათ ლაშარის ჯვრის დროშა.. ხევსურებს თავისი გულანის ჯვრისა“. (დასახ. ნაშრ).

მის ნაწერებში ხშირად შევხვდებით საყვედურს ეკლესიის მამათა მიმართაც. იგი მათგან სრულ სიწმიდესა და პატიოსნებას მოითხოვდა...

„გრეკავ ზარს და რისთვის? ერთი მლოცავი არ შემოჰყოფს საყდარში თავსო, შემომჩიოდა ერთი სოფელი სულიერი მამა“, — წერს ვაჟა და ამის მიზეზსაც ისევე მათსავე ქცევებში ეძებს... „სოფელი არ არის, მღვდელი არ იყოს, და რა დასაჯერებელია, ნამდვილმა მოძღვარმა 5—6 მოწაფე ვერ შეიძინოს, ისე ვერ გამოავლინოს ისინი, რომ ჰქონდეთ წადილი წიგნის, გაზეთების კითხვისა, ქვეყნიერებისა რომ გაეგებოდეთ?! ჩვენ ამას ვერა ვხედავთ, ან კი, საით დავინახავთ იმას, რაც არა სჩანს სადმე“. ეს საყვედურიც სამართლიანია... რა ცოდნაცა და გამოცდილებაც უანდერძა მამა-პაპამ გლეხკაცობას, იმან კარგად შეინახა, ხოლო რაც არ იცის, ის ინტელიგენციამ და სამღვდელეობამ უნდა ასწავლოსო, წერს და წუხს, როცა ვერსად, ვერც ერში და ვერც ტაძარში სასიკეთოს ვერაფერს ხედავს... ვაჟა აღწერს ქრისტიანულ დღესასწაულებს — ამაღლებას, სამებობას, გიორგობას, ხილარჯობას (ანუ სულთა მოხსენიების დღეს), დიდმარხვას... აღწერს გულისტკივილით, რადგან მათ გამოხატულებაში უკვე რღვევის ძლიერ ნიშნებს ხედავს. რამდენიმე წერილი მიუძღვნია მაგალითად, დიდმარხვისათვის. ისინი თითქმის მთლიანად კრიტიკული ხასიათისაა...

„დიდმარხვა... გაისმა კვლავად მწუხარე ხმა ზარისა. ეს ნიშანია იმისა, რომ ყველას გული მოიცვა მწუხარებამ. როცა აღამიანი სწუხს, მაშინ მიდრეკილება აქვს კეთილის საქმენლად, ფიქრთა და გრძნობათა გასაწმენდად. დგინო რომ უსახლდროდ არ ამხიარულებდეს აღამიანს, როდი ჩაითვლებოდა ცოდვების მშობელ დედად, მაგრამ რადგან იგი ახელებს აღამიანის გუნებას, იმიტომ უნდა ერიდოს ყოველი აღამიანი, ვისაც ცოდვები აშინებს: ავაზაკობა, მრუშობა, გამცემლობა და ღალატი მოძმეთა. და განა მარტო დგინო ახარებს გულსა კაცისასა? არა, ყოველი ხორცეული კარგი საჭმელი ამავე თვისებებისაა. საჭმლით და სასმლითა გამაძლარს, დაკმაყოფილებულს აღამიანს, ავიწყდება ღმერთი, ხოლო მშვიერს, ძალაუნე-

ბურად აგონდება იგი. ღმერთია მხოლოდ მშვიერთა, ტანჯულთა და დავრდომილთა ნუგეში.

დიდმარხვაც სწორედ იმიტომ მოიგონეს, რომ შიშობის მეოხებით, ლეშის დატანჯვით მიეცათ აღამიანთათვის საშუალება კეთილ ფიქრთა და გრძნობათა ასაღორძინებლად. მარხვა სინონიმია სინანულისა და მოთმინებისა. „მოთმინებთა შენითა მოიპოვე სული შენო“, გვასწავლის დიდმარხვის მოგონი და დაშწინებელი...

...ბევრი ეკლესია გაუქმდა წელს, დიდმარხვაში, და ბევრი ზარი დადუნდა, რომ აღარც სამწუხარო, სადიდმარხვო ხმას გამოსცემს და აღარც სამხიარულოს, — სდუმს, როგორც მკვდარი სამარეში. „ტარასტა“ ვეღარ ბედავს ზარის თოკს ხელი მიაკაროს და ჩამოჰკრას. ვისთვის? რისთვის? მოძღვარი კი აღარსად ჩანს და... დიაკვნებს დარჩათ დღეს ბურთი და მოედანი. კიდევ უხარიანთ, რომ იმათი მღვდლები საბნელოდან გამოიცილებიან... დღევანდელი ეკლესიის მსახური პირად საქმეებს სჩარხავენ და ამას კი არა ვარაუდობენ, არა სთვლიან თავიანთ სირცხვილად, რომ კეთილი საქმე იმათი წყალობით იღუპება. არ არსებობს იმათთვის სინანული, არც სიბრალული, არც მოთმინება. ... არ იციან უბადრუკთ, რომ მალე დადგება ისევ ის დრო, როცა მთელის ერის პირით გაიგონებენ ძლიერს, შეუწყნარებელს მსჯავრს: „კათაკმეველნო, განვედით!... რაოდენიც მორწმუნენი ხართ მერმე და მერმე, უფლისა მიმართ ვილოცოთ“. მკაცრი და მრისხანეა ვაჟა, როცა ამას წერს. მან ცხადია, ძალიან კარგად იცის ამ სავალალო მდგომარეობის მთავარი მიზეზი, მაგრამ ამის მიუხედავად, აღამიანებისაგან და კერძოდ ეკლესიის მსახურთაგან მუდმივ სიფხიზლესა და ზნერულობას მოითხოვს; სწორედ ამაში ხედავს იგი ქვეყნის ხსნის ნამდვილ, ჭეშმარიტ გზას. იგი მოითხოვს, განიწმინდონ აღამიანები აღივსონ რწმენით, სასოებით, კრძალვით.

„...სინანული-ცოდვილთათვის არ არსებობს. შავი ძალებისათვის ღმერთს არ გაუჩენია სინანული. დღეს სინანულში ჩავარდნილან მართალნი, ქვეყნის ერთგულნი, ენანებათ დღესდღეობით დაჩაგრული სიმათლესწყინით, რომ ვერ მოუპოვეს მას გამარჯვება. დღეს ესენი არიან ნამდვილი მარხულნი, რადგან სულით მარხულობა ბევრად აღმატება ჭკუით მარხულობას.

მართალნო, ქვეყნის ერთგულნო! ნუ დაივიწყებთ თქვენს ღმერთს; ილოცეთ იგი! შეინანეთ ის შეცდომანი, რამაც ხელი შეგიშალათ და ეცადეთ მომავალში აიცდინოთ თავიდან. დაჰკმეთ ის პარტიული თავმოყვარეობა. წვრილფეხა, მჩატე პატივმოყვარეობა, რომელმაც შეუშალა ხელი ჩვენს ერთობას, ერის მისწრაფებას, მოიგონეთ ის, ნოეს დროის ცხრა შვილის პატრონი შევე, რომელმაც ცხრა, ერთ კონად შეკრული ისარი დაუტოვა შვილებს ერთობის სიმბოლოდ. ხომ გახსოვთ, რომ ერთად მუხლზე მოდებით ვერავინ ვერ შესძლო ისრის კონა გაეტეხა, ხოლო სათითაოდ კი ყველამ შესძლო ისრების დამსხვრევა.

...დიდო მარხვაო! დიდად მარხულნი ვართ. ჩვენი განა მარტო თვალეზი? გული და გონებაც ცრემლის მორევში დაცურავს. ვლოცულობთ და ვვედრებით ღმერთს, გვექმ-

ნის მწედ და მფარველად, მოგვცეს ჩვენც, ჩვენის ქვეყნის შვილთ, ძალი და ღონე, მივუაროთ, ვუბატონოთ თავის თავს, თავის ქვეყანას, რათა ვძლიოთ ეშმაკს და მოვიპოვოთ ცხოვრება საუკუნო, მოვესწროთ აღდგომასა მკედრეთით და ცხოვრებასა მერმისა მის საუკუნოსა, ამინ!“

„და კიდევ?“ ...სამოთხე იმისია, ვინც დიდ მადლს სჩადის; აწმყო სააკო, ხოლო მომავალი საიკიო. სულის მოგება კი მხოლოდ სააკოს შეიძლება. მომავალიც იმისია, ვინც აწმყოს მიხანშეწონილად ემსახურება...“

ისე, როგორც დიდმა ილია ჭავჭავაძემ, ვაჟამაც იცის, რომ ერის დაღუპვა იწყება მაშინ, როცა იგი ივიწყებს თავის წარსულს, არ იცის რა გაიმადგოს, ან რისთვის გასწიროს თავი. და ისიც მრავალგზის მოუწოდებს ხალხს გამოფხიზლებისა და სიცოცხლის ძალით აღვსებისაკენ... ამხელს ნაკლოვანებას, აფხიზლებს, უჩვენებს გზას ჭეშმარიტებისა და სიკეთისაკენ... გზას, რომელმაც ერი დაღუპვისაგან უნდა იხსნას.

„რა თქმა უნდა, ნამდვილია, რომ ჩვენ ქართველები, ერი ვართ და როგორი მერე? ამის პასუხად ისეთს ვერას ვიტყვით, რომ ან ჩვენ თითონ არ გვეთქვას და არ ვამბობდეთ თავისთავზედ, ან სხვას, უცხოელს, გარეშე ადამიანს არ ეთქვას ჩვენზედ. სიმათელე და სინამდვილე კი ის იქნება, ვთქვათ, — ქართველებს ისეთი ავი ზნე არაფერი გვჭირს, სხვა ერსაც არა სჭირებოდეს, ან არ სჭირდეს, მაგრამ იმათ არსებობას, სიცოცხლეს და ბედნიერს მომავალს არცერთი ჭკვიანი ადამიანი არ უარჰყოფს. ჩვენ კი, აწმყოსაგან გამწარებულნი, ეჭვის თვალთ, უსასოლო შეკუურებთ მომავალს. ქართველი ერი დაბერდაო, ამისთანა აზრი განა ჭკუისა და ცოდნის ნაყოფია? — სრულიადაც არა. ... რომის იმპერიაო, გაიძახიან, დაბერდა და დაეცაო. დაბერდა ოღონდაც, მაგრამ სხვამ ხომ არ დააბერა იგი, არამედ თავი თვისი თითონ დააბერა და დააუძღურა. ყველა ერსაც ასევე დაემართება, უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისი ცხოვრებისათვის გამოსადეკს ვითარებას არ შექმნის და, თუ აქვს, არ ინახავს, მაგრამ არ უჭიდა ხელი. ეს დღესავით, მხესავით ნათელაა, აშკარაა.“

... უბირი გლეხი თავის ცოდნას, თავის გამოცდილებას, თავის ძალ-ღონეს არ ჰზოგავს, დიდიდგან მოყოლებული საღამომდე წყლებზედ ფეხს იდგამს, რომ აცხოვროს თავი და ცოლ-შვილი, გაუძღვეს ამასთანავე თასნაირს ხარჯს და სხვ. ეტყვის მკითხავი, სადმე ხატისას — კურატით უნდა მიხვიდე და ილოცო. იმდენს იწოწიანლებს, იმდენს თავში ქვას იხლის, ტანზე პერანგს აღარ შეირჩენს, საითაც იქნება, თუ თითონ არა ჰყავ, იყიდის, და ხატ-ღმერთთან კი პირშავად არ გამოვა და არც თავის ხინდისთან არის პირშავი, რის გაკეთებაც შეუძლიან, აკეთებს. ... რაც აზრი და რწმენა აქვს, იმისდაგვარად შესაფერად იქცევა და ეს მას სრულ ადამიანად ჰქმნის, რა ვუყოთ, მართალია, მისსავე სუფრაზე რომ ჩვენის ქვეყნის — საქართველოს სადღეგრძელო დაჰლიო, ვითარცა ინტელიგენტმა და თამბაქმ, იგი ასე განიშორებს „გაუმარჯოს რჯულ-საქრისტიანოსაო“. ჩვენებურ ტვინურატუნა კოსმოპოლიტებს (ნუ გიკვირთ) არ გეგონოთ კი, რომ ეს კოსმოპოლიტობით მოსდიოდეთ, ვინაიდან

რჯულსაქრისტიანო ქვეყნის ერთობაზედ დიდა და თითქმის მთელ განათლებულ ქვეყნებს შეიცავს, არამედ იმის გამო ემართება, რომ არა აქვს არავითარი ცოდნა. თავისი ქვეყნისა და საქართველოს გარეშე ვერ წარმოუდგენია რჯულ-საქრისტიანო, სულ სათათრეთი ჰგონია.

ჩვენი ინტელიგენტი? ჰმ! რა ვქნათ და რა ვთქვათ? რამდენსა სტყუის იგი თავის საკუთარ ღმერთთან, თავისი აზრისა და გრძნობის წინაშე.“ (ფიქრები. გვ. 193).

სხვა წერილში კი, რომელიც მაშინდელი ინტელიგენციის მიზეზით რუსული გაზეთების მოჭარბებასა და ქართულის შესუსტების საკითხს შეეხება, წერს: „განა ეს დეაწლია? დეაწლი კი არა, ეს პირდაპირი დალატია, თაღლითობაა! ამას ჰქვიან ციხის შიგნიდან გატეხა და, ხომ მოგვხსენებთ, იმაზე მეტი უმედურება ქვეყნისათვის სხვა არ შეიძლება იყოს, როგორც დალატი შინიდან გამომდინარე. ამგვარი მოღვაწეობა არის პირდაპირ გამრყენელი ახალ თაობისა, რომელთა სულიც ახალად იფურჩუნება და რომ კარგად აყვავდეს და ნაყოფი გამოიღოს, მშობელი დედის რძე ესაჭიროება, მშობლიური ხმები, საშობლოს სიყვარული და იდეალი იმისა, რომ იგი უნდა იღესმე გახდეს მუშაკი თავის ქვეყნისა, თავის ერისა, ნახსი სიყვარული თავის დედა-ენისა, მისი მოაზრე, მის ტირილების მოზარე და ჭირისუფალი. („მცირე შენიშვნა“. გვ. 299).

ვაჟა გვეუბნება: „დედა-ენა ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს, სხვა ყველაფერსაც უგულვებელყოფს, ტერიტორიაზედაც ხელს აიღებსო“ და მითხობს, მივუაროთ მას. ხოლო გულგრილობის მიზეზად მას ისიც მიაჩნია, რომ „ჩვენ ერთ დროს სულისა და ღვთის მოყვარეობით განთქმული ვართ, ღმერთსაც კი ადარ ვლოცულობთ სწორედ. თუ ქონებით ვართ ღარიბნი, განა ეს იმის მომასწავებელია, სულითა და გონებითაც გავკოტრდეთ? ან ქონებით რაღა ვართ ღარიბნი? ანა მიბრძანდით, მიიარ-მოიარეთ შირაქის მინდვრები, თრიალეთის მთები, თუ ღარიბნი ვართ, ვისი ცხვრისა და საქონლის ფარები და ცხენის ჯოგები სძოვს იქ ბალახს?“

ისე როგორც ილიას, ვაჟასაც აწუხებს ერის ბედი, მისი სიცოცხლე, მისი მომავალი... ალბათ, ილიას წერილია ამოსავალი მისთვის, როცა ერის სიბერეზე ლაპარაკობს.

„ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა. ხომ იცით, არიან და იყვნენ მეცნიერნი იმ აზრისანი, ვითომც შეიძლებოდეს ერის სიბერე და სიკვდილიც კი, როგორც სიყრმე, სიჭაბუკე, დავაჟაცება და სხვა. ამტკიცებენ ისინი ამას იმის გამო, რადგან იგონებენ ყოფილ, არსებულ და აწ მოსპობილ ერებს. თუმცა მნელია იმათ დაეთანხმოს კაცი, მაგრამ არა უშავს, ჩვენც თანახმა გაუხდეთ. ხოლო ერთი რამ უნდა შევნიშნოთ იმათ მოძღვრებას: შეიძლება ერი დაბერდეს სხვადასხვა პირობების და მიზეზების გამო, და იგი მალე ისევ გაახალგაზრდავდება, თუ სხვა მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალუძს. ცალკე აღებული და დაბერებული ადამიანის ბოლო მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია. რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმცა იგი მუდამ ახლდება — ახალგაზრდათა შემატებით? ერს დააბერებს მხოლოდ

მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა. ხანა საჭირო არ არის. ეს შეიძლება ერის სიტაბუკის დროს მოხდეს. ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-შეჯახვეული, უნდა მას ჰქონდეს სარბიელი.

დიალ მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია და იგი იწვევს ერის სიბერეს; სხვაფორივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია“.

თავისი ცხოვრებით, შემოქმედებით, მრწამსით, ვაჟა მუღამ ქრისტეს მცნების აღმსრულებელი იყო. არამც თუ ახლობელი, სისხლხორცეული იყო ვაჟასთვის მოსეს ათი მცნება და ის მაღალი ჰუმანიზმი ქრისტიანობისა, რომელიც ადამიანებს მხოლოდ ურთიერთისიყვარულისა და მშვიდობისაკენ მოუწოდებდა...

მაგალითისათვის ილიას მკვლელობასთან დაკავშირებით მისი წერილების გადაკითხვაც იკმარებდა. მოვიტანთ ერთ ამონაწერს:

„რა ვთქვით მკვლელებზე, ამ საცოდავს მეოცე საუკუნის პეროსტატებზე? რა ადამიანები უნდა იყვნენ ილიას მკვლელები? როგორ მოვიხსენიოთ ისინი? როგორ მოვუძღვოთ ამ უბადრუკებს? ნუთუ ისე, როგორც გვიჩვენებს ამ დღეებში დაბეჭდილი მოწოდება ქართველთადმი — ცეცხლი და მახვილი მკვლელებსო. ესაა გვაკლია, რომ ბარბაროსობას სხვა ბარბაროსობა დავურთოთ ზედ; დავერივნეთ ერთმანეთს, ვბოცოთ, ვკლიტოთ ერთმა მეორენი და გავახაროთ მტერი? ღმერთმა დაგვიფაროს, ღმერთმა გვაშოროს ამისთანა საქციელი.

ნაღველით და ბოღმით აღსავსე, მე ასე ვსჯი, რომ ილიას მკვლელნი შესაბრალისნი, ყოვლად საწყალნი, ყოვლად გამოთავანებულნი, უვიცნი, ზნეობით გათახსირებულნი და ბრმანი უნდა იყვნენ, სატირალნი და სავალალონი ჩვენ, ქართველებისაგან“... („ვერ მოჰკლეს“ 269) როგორ ეხმიანება ეს სიტყვები ჯვარცმული მაცხოვრის ანდერძს „შეუნდევ, რამეთუ, არა იციან რას იქმან“... ეხმაურება თვით ილიას ქერივის თხოვნასაც, ჩემი ქმრის მკვლელებს სიკვდილით ნუ დასჯით, ილიას მცნებას ნუ დაარღვევთ და ამით მის სულს ნუ დაამძიმებთო... ესაა ის ძნელად მისაღწევი ქრისტიანული საქციელი, რომელიც უმაღლესია ადამიანურ სიკეთეთა შორის.

„მოხვედით მშვიდობითა...“ ასეთი სათაური აქვს ვაჟას ერთ წერილს. ამ ორ სიტყვაში მთელი იმ ხალხის განსაცდელით სავსე ცხოვრება ჩანს, ვისი შვილიც თითონ იყო. „მოხვედით მშვიდობითა“... საოცრად ჰგავს ეს სიტყვები მაცხოვრის სიტყვებს... „მშვიდობა თქვენთანა“.

და განა მარტო ეს... კვლავ გადავხედოთ თუნდაც მის პოეზიას, მის პროზას... მთელ მის ცხოვრებას.

**მრწამს, მარად მიწაშობია
მუღამე სიცოცხლე სულისა,
კარგისა, ქვეყნის მოყვარის,
ქვეყნის ბედისგან წელლისა,
მრწამს ფერფლნი კარგის გულისა,
ქარამ რომ გაფანტოს ხმელადა,
თითოში მამიც ენთება
ტიალ-სურვილი ცხელადა...
კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება,
თან დააქვს ძველისძველადა...**

XXX

შუა ივლისში, თბილისის სიციხით სულშეხუთული ეთხოვებოდა თურმე ვაჟა ამ წუთისოფელს და ყველას სთხოვდა, გაეშვათ ჩარგალში, ან კიდევ, მოეტანათ მისთვის მთის წყალი და ეხსნათ სიკვდილისაგან.


მეგობრებმა სურვილი აუსრულეს და მთაწმიდიდან ჩამოტანილი წყაროს წყალი დაალევინეს.

სიკვდილის წინ საავადმყოფოში მოძღვლელი ქალისთვის უთხოვია:

— თუ ღმერთი გწამს, ლოგინი იატაკზე გამიშალე და გარშემო ბალახები, ტოტები და ყვავილები შემოაყარო. იქნებ თავი ჩემს მთაში ვიგრძნო.

და, ქართველმა ქალმა, „რომლის დიდებასაც ვაჟამ თავისი შემოქმედებით ძალა დაუზოგავად შეაღია“, მას უკანასკნელი სურვილი თვალცრემლიანმა აუსრულა. ვაჟა იატაკზე ბორგავდა, გულზე იყრიდა ბალახებს, ეხუტებოდა ხის ტოტებს, ყნოსავდა ყვავილებს... ეთხოვებოდა მათ და თითქოს სულს, რომელიც მას ამ ყვავილებმა და ტოტებმა შთაბერეს, უკან უბრუნებდა...

მ. ჯ. შ. ა. ო. ძ.




ს ი ტ ქ ვ ა

კახა შპაველას ღასაფლავებაზე, წარმოთქმული

ქაშველითი კალენიანი ღმკანონის კორნელი

ქაქელიძის მიერ.



თანამედროვე უმაგალითო ომი ძალაუნებურად გვაგონებს ამ ძვირფას კუბოსთან „ბახტრიონში“ აღწერილ ხოროშეთს, რომელსაც „წარღვნა დაეცა წყეულ თათართა ჯარისა“ და სადაც ამის გამო „ხსენება გაწედა კაცი-სა“. სწორედ ხოროშეთს წარმოადგენს დღეს ჩვენი ბედკრული, დამშეული და წარღვნილი სამშობლო, სადაც დარჩენილან, როგორც ხოროშეთში, მხოლოდ „ბაღდე-ბი“ და „დიაცნი“, რომელნიც უნუგეშოდ დასტირიან ომში დახოცილთ ძვირფას სახელებს. სავალალო ის არის, რომ ასეთ უბედურობის დროს ერთი-მეორეზე ხელიდან გვეცლებიან სულისა და გულის მესაიდუმლენი, რომელთაც, რეალური შველა თუ არა, პოეტური თანაგრძობა და ზეადმფრენი ნუგეშისცემა მაინც შეეძლოთ. ჯერ კიდევ არ გაცივებულა დიდებულ აკაკის საფლავი, რომ ჩვენი პოეზიის საკურთხეველზე ჩაქრა მეორე ბრწინებულე ლამპარი, ის ლამპარი, რომელიც ფშავ-ხევსურეთის მწვერვალთაგან უზე ნათელს პფენდა მთელ საქართველოს: გაფრინდა „მთის არწივი“. ვაჟა მოკვდა, ფშაველა! როდესაც ჩაუფიქრდები, უნებლიედ იმეორებ განსვენებულის მწარე სიტყვებს:

**სულ ჩვენ რადა ვართ ტანჯვაში,
კენესა რად ისმის ჩვენი?
როდემდის უნდა ვიტყვით,
მიწას ვაფრქვივით ცრემლია?**

განსვენებულის სულის ტრადედიას ის ქმნიდა და ამწვაებდა, რომ, ერთის მხრით, მას ელანდებოდა დიდებულ წინაპართა აზრდელი, მათი გმირობა პატიოსნება და მამულიშვილური გრძნობა; მეორე მხრით კი თვალწინ ედგა დღევანდელი ჩვენი დაკნინება და, როგორც ამბობდა, „კარგისა შეცვლა ავზედა ამ მის სამშობლო მხარეში“. ამ „სამშობლო მხარის“ საშველად და სახსნელად ის აღიჭურვა, აღიჭურვა კი არა ხმალ-შუბითა და ფარით, როგორც მთიული, არამედ კალმითა და მელნითა. თავის

სიმბოლიურ პოეზიის უმთავრეს მიზნად მან დასახა, ღამაზად და კოხტად გამოექანდაკებია ძველი ქართველის სახე და ყველასათვის ეჩვენებია მისი სიდიადე და წარმტაცობა. „დღისა სიცხადით გულდაჩაგრული“, ის სიყვარულით იცქირებოდა წარსულისაკენ, თუმცა მისი ელვებიური, მეღანქოლიით აღსავსე ქნარი სულ უიმედოდ მოძავალსაც არ უყურებდა. მართალია, ეს მოძავალი მისთვის ბუნდოვანი და გამოურკვეველი იყო, მაგრამ მას სწამდა, რომ მართლაც რომ „გველის მჭამელი“ და მით „გამეცნიერებული“ და გათვითცნობიერებული ქართველი ერი, ადრე იქნება თუ გვიან, ძალა მოკრებილ მდინარესავით, უეჭველად გაარღვევს იმ საღ კლდეს, რომელიც გზას არ აძლევდა ამ მდინარეს და არ უშვებდა ბარად.

განისვენე მოსანო! შენი „სატროფო“, შენი სამშობლო, არ მომკვდარა, ის „ბებერ ლომივით“ მხოლოდ დაწყულეებულა, მაგრამ, გჯეროდეს, თანახმად შენი სურვილისა, მას მოველინება „მათე მღვდელი“, „გულშემატკივარი მასწავლებელი“ და „შრომისმოყვარე ზურაბი“, რომელნიც მალამოს დასდებენ მის იარებს; მაშინ „დაჭრილ არწივს“ ფრთა გაუმთელდება და „ვაჟაკს“, რომელმაც „ჭიდილში“ რქა დაკარგა, „რქა ამოუვა რქაზედა“.

შენი უმანკო სული ნეტარებას განიცდის, როდესაც გაიგებს, რომ გაერთიანებულ საქართველოს გამოეზრდება არა ერთი და ორი გოგოთური, აღუდა, ლუხუმი და ლელა. ის გაბრწყინდება, როდესაც დაინახავს, რომ „სანათას“ მიერ დანთებული სანთელის შუქი გაჰფანტავს იმ წველიადს, რომელსაც მოუცავს დღეს შენგნით მიტოვებული, შენზე მტირალი ქართველი ერი.

შშვიდობით, საუკუნო იყავნ, და იქნება კიდევაც ხსენება შენი!

(გაზ. „საქართველო“, 1915, 4.
VIII, № 61)




ჰაჰა უშაკელა

ჩემი ვედრება

ღმერთო მიიღე ვედრება,
 ეს ჩემი სათხოვარია:
 არ დამეკარგოს გულიდან
 მე შენი სახსოვარია!
 გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
 მამყოფე შეუდრეკლად;
 ვფხიზლობდე, მუდამ შხად ვიყო,
 დაჩაგრულების მცველად.
 ბალახი ვიყო სათიბი,
 არა მწადიან ცელობა;
 ცხვრადვე მამყოფე ისევა,
 ოღონდ აშშორდეს მგელობა;
 არ წამიხდინო, მეუფევე,
 ეს ჩემი წმიდა ხელობა!
 მაშრომე საკეთილოდა,
 თუნდ არ მოვიმყო ნაყოფი,
 შვილთ საგმოდ არ გამიხადო
 ჩემი მუდმივი სამყოფი.
 გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
 მნათობს ტრფობისა შენითა,
 ნუ მავლევე ქვეყანახელა
 გაცივებულის ლეშითა, —
 თვალეში მადლ-დაკარგულსა,
 შუბლზე გაკრულის მეშითა.
 ნუ დაუკარგავ ჩემს სატრფოს
 მადლს, გულზე ცეცხლის მღებელსა,
 ნუ დაუძვირებ ოცნებას,

შენს ხმას, სხივ-გამომღებელსა.
 სიცოცხლედ უღირს ბეჩავსა,
 ეძახის თავის მხლებელსა.
 გულს დარდი გამიღიადე
 იმ სანეტარო საგანზე,
 დაწერე ფიქრი, ღრმა, მწვავე
 ჩემის გონების საბანზე!...
 გონების ფიქრი სტანჯავდეს,
 გულს ცეცხლი სწვავედეს ძლიერი,
 მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
 ვერ გავძლე, მოკვდე შეიერი...
 ნუ დამასვენებ ნურა დროს,
 მამყოფე შეძრწუნებული,
 მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
 როცა ვარ შეწუხებული;
 როცა გულს ცეცხლი მეღება,
 გონება მსჯელობს საღადა, —
 მაშინ ვარ თავისუფალი,
 თავს მაშინა ვგრძნობ ლაღადა.
 მფარავდეს შენი მარჯვენა,
 კალთა სამოსლის შენისა,
 სანამ არ მოვა დრო-ჟამი
 სულ ბოლოს ამოქმედისა.
 სული-შენ, ლეში-მიწასა,
 აღარა ვგლოვობ ამასა,
 თეფხი-წყალს, ცასა-ვარსკვლავი,
 შვილი-დედას და მამასა.



იზიდასკურეიზი

სოლომონ ჩხაიძე.

გიორგი მცირის „გოდება გიორგი მთაწმიდელისა“



„გოდება გიორგი მთაწმიდელისა“¹, ძველი ქართული მწერლობის მრავალმხრივ საყურადღებო ძეგლი, დაუწყებია და თავის დროს წარმოუთქვამს გიორგი მცირეს, გიორგი მთაწმიდელის მოწაფეს.

გიორგი მთაწმიდელი, მეთერთმეტე საუკუნის ქართველი მოღვაწე, საბერძნეთში შეუპოვრად შრომობდა მშობლიური მწერლობის გამდიდრებისათვის ორიგინალური და ნათარგმნი ძეგლებით. გიორგი ღირსეული მემკვიდრეა მათე საუკუნის ქართული მწერლობის ერთერთი დედაბოძის—ექვთიმე ათონელისა, რომელიც მის სახელოვან მამასთან, იოანესთან ერთად, არის ქართული სალიტერატურო სკოლის ფუძემდებელი საბერძნეთში, ქალკედონის ნახევარკუნძულზე არსებულ ათონის მთაზე. ათონი სულთან მუჰამედ II-ის მიერ 1453 წელს, ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგაც ინარჩუნებდა ავტონომიურ უფლებებს, იმდენად დიდი კულტურულ—საგანმანათლებლო ტრადიციის მატარებელი იყო ეს სახელოვანი სახანე.

ქართველთა მონასტერი აქ დაარსდა მოწამე კლემენტის სახელობის ნატაძრალზე. ამის გამო რიგ უცხოურ წყაროებში ქართველთა სახანე წოდებულია ასე — „ივერონ კლემენტოს“.

1046 წელს კონსტანტინე იმპერატორმა ოქრობუქდელით ბრძანა ათონის მთისათვის მთაწმიდა ეწოდებინათ, თუმცა მანამდეც უკვე საეკლესიო აქტებში, მაგალითად, ათანასე ათონელის (მე-10 ს.) წეს—განგებაში, ათონის მთის ამ დიდ ბერძნულ ტიპიკონში იგი მთაწმიდადაა წოდებული. ასევე მოიხსენიებდნენ მას სხვა გამოჩენილი ათონელი მოღვაწეებიც. იმპერატორის ბრძანება მხოლოდ ოფიციალური დადასტურება იყო ათონის მთის აღრინდელი ტრადიციული სახელწოდებისა. იმის მიხედვით აქაური გარკვეული თანამდებობისა და დამსახურების მქონე ქართველი მოღვაწეები მთაწმიდელებად იწოდებოდნენ.

აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს: „ვისაც (მე-10, მე-11 საუკუნეთა) საქართველოს სულიერი და

გონებრივი კულტურის წარმოდგენა სურს, მან უნდა გაიხსენოს ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელი, საქართველოს შვილი, მისი ეროვნული სინდისისა და კეთილშობილური თავმოყვარეობის და თვითშემეცნების გამოძახატველი“². აკადემიკოსი კ. კეკელიძე გიორგი მცირის თხზულების „გიორგი მთაწმიდელის გოდების“ შესახებ წერდა „ეს ნაწარმოები არ ჩამოუვარდება არცერთს საშუალო საუკუნეთა მსოფლიო ლიტერატურის ანალოგიური ჟანრის ნაწარმოებს“³.

გიორგი მცირე, გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების გამო დაწერილი გოდებით წარმოგვიდგება, როგორც დიდი შემოქმედებითი შეძლების მქონე პოეტი, რომელიც გულწრფელი კილოთი და დიდი ადამიანური სითბოთი გადმოგვცემს მძაფრ სულიერ ტკივილებსა და მღელვარებას.

გიორგი მცირეს „გოდება“ გაცილებით ადრე შეუთხზავს⁴, ვიდრე გიორგი მთაწმიდელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ვრცელ ნაწარმოებს დაწერდა. აღნიშნული აზრი სწორია და იგი მტკიცდება „გოდების“ რიგი ადგილებით. გიორგი მთაწმიდელი საქართველოში მნებლობის ჟამს თავმოყრილი 80 ქართველი მოწაფითურთ საბერძნეთში მთაწმიდისაკენ მიემგზავრებოდა და ამ შორგზაზე კონსტანტინოპოლში 1065 წელს კონსტანტინე X დუკას მეფობაში (1059—1067) მოულოდნელად გარდაიცვალა.

თითონ ტონი და მძაფრი განცვიფრება გიორგი მცირის „გოდებისა“ დამადასტურებელია იმ უშუალო განცდისა და შთაბეჭდილებებისა, რომელიც მთაწმიდელის გარდაცვალებამ გამოიწვია კონსტანტინოპოლში იმ დროისათვის მცხოვრებ ქართველებში, მის მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და თაყვანისმცემლებში. ასე რომ,

² ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გვ. 191.

³ კ. კეკელიძე, ეტრუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, 1, 1965 წ. გვ. 211.

⁴ ნ. კანდელაკი, ქართული კლასიკური მჭერმეტყველება, გვ. 260.

¹ ათონის 1074 წლის ხელნაწერი... თბილისი, 1901 წ. გამოცემა მოსე ჯანაშვილისა, გვ. 337—342.

„გოდება“ შეთხზულია და წარმოთქმული 1065 წელს, კონსტანტინოპოლში გიორგის გარდაცვალების დღეებში. XI საუკუნის 60—70-იან წლებში ქრისტიანული ევროპის უდიდესი ქალაქი, საქრისტიანო მსოფლიოს მძლავრი დასაყრდენი, — კონსტანტინოპოლი ცნობილი იყო ბრწყინვალე ტაძრებით, რომლებიც განათლებიდან და კულტურის ცენტრებს წარმოადგენდნენ. მე-X—XI საუკუნეებში ქართველებსაც ჰქონდათ აქ მონასტრები (გ. ნატროვი, ივერიელთა მონასტერი ათონზე. რუსულ ენაზე). ჰქონდათ საგანგებო სახლები, რომლებსაც ბერძნული ტერმინი—მეტოქე ეწოდებოდა. იქ თავს იყრიდნენ მთაწმიდიდან კონსტანტინოპოლში ჩასული ქართველი მოღვაწეები. ცხადია, ერთერთ ამგვარ მონასტერში, ტაძარში ან სასახლეში წარმოითქვა გიორგი მცირის მიერ საგანგებო სიტყვა. „გოდება“ გიორგი მცირეს თავის თხზულებაში, გიორგი მთაწმიდელის ბიოგრაფიაში შეუტანია და ამრიგად, ნაწარმოების სიუჟეტური ქსოვილისათვის დაუქვემდებარებია.

გიორგი მცირეს ბიოგრაფიის წერა დაუწვია გიორგის გარდაცვალებიდან ერთი წლის შემდეგ, 1065—66 წლებიდან და დაუმთავრებია 1068 წელს, გიორგი შავთლის გარდაცვალებამდე, რომელსაც გიორგი მცირე წერილობით მიმართავს, როგორც იმ დროს საჩინო პიროვნებას. გოდების მთლიანი სახით ჩამოყალიბება 1065—68 წლებს ეკუთვნის.

გიორგი მთაწმიდელის გარდაცვალების მხატვრული ასახვის წინ გიორგი მცირე „დუმილის ნავსადგურში“ გარინდებას განსაცდელით სავსე მწუხარების გადმოცემას აძლავებს. „შემწუნებულ ვარ და შეშინებულ, მოგვითხრობს იგი, რამეთუ აქამომდე გზა სიტყვისა ჩუენისაა წრფელ იყო და ადვილ სავალად, ხოლო ამ იწრო და საჭირო და უდონო ჩუენგან სვლისა, რამეთუ ნავსადგურსა დუმილისასა მეგულების შესლვა, რამეთუ ხელი ჩემი ძრწის და სული შეიწრდების, ხოლო გონებაა განცვიფრდების“. შემოქმედებით აღფრთოვანებას, რომლითაც იქმნებოდა გიორგი მცირის თხზულება, (აქამომდე გზა სიტყვისა ჩუენისაა წრფელ იყო...) აქ, ცვლის მინორული ტონი „არავინ არს, შენიშნავს მწერალი, რომელმანცა მიიღო ნაწუეთი ერთი წყლისა და განავრილა ენა ჩემი საღმობიერო და შემწვარი ცეცხლითა მწუხარებათაათა წარხდა შუენიერება იგი საწადელი“.

ლაკონური შტრიხებით გადმოგვცემს გიორგი მცირე ტევად აზრს: „დაიფარა მიწასა შინა გუამი წმიდა, მოღვაწებისა შრომითა განლელ... ანდა... დაყუენა (დადუმდა ს. ჩ.) გონება იგი მხილველი და სიღრმეთა სულისათა გამომეძებელი“.

„გოდება“ საყურადღებოა, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრივ. ამ ძეგლში თავს იყრის ძველი ქართული ბელეტრისტიკისათვის დამახასიათებელი მხატვრული აზროვნების ნიშანთვისებები.

გიორგი მცირე უზომო ცრემლის ღვრით თითონ გრძნობს, რომ სცილდება შემოქმედებულ წესსა და ნორმებს და დასძენს „მოვედით ამიერიდან და განუსუენით სასმენელთა თქუენთა გლოვისაგან... ჯერ არს რათა მოვაქციო აფრა სიტყვისა ჩემისა და საეკლესიონი სიტყუანი“ წარმოთქვა. „გოდების“ მეორე ნაწილი, რმელსაც ავტო-

რი „ზგეშინისცემის სიტყვას“ უწოდებს, დინჯი ტონითა დაწერილი და შინაარსობრივად არსებითად განსხვავდება პირველისაგან, პოეტური ცრემლიანი მოთქმისაგან, რომელიც ქმნის ძირითად ტონს გოდებისას“. გიორგი მცირეს, ვითარცა ქრისტიანული სოფლგაგების კაცს, სოფლისაგან განშორება სულის ხორცისაგან განმათავისუფლებელ სიკეთედ უნდა მიეჩნია, მაგრამ იგი, გოდების პირველ ნაწილში ქედს იხრის ბუნების გარდაუვალი კანონის წინაშე და, ამ შემთხვევაში, მოვლენის შესახებ ისეთი მსჯელობა გაშლილი, რომ განწყობა ერისკაცისა და მონოზონისა ერთგვარი ხდება, მაგრამ „გოდების“ ბოლოში, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, ლირიკულ-სუბიექტურ „საერო“ აზრს დაურთო საეკლესიო-მისტიკური სიტყვა და მოვლენების მიხედვით კვლავ ქრისტიანული უკვდავების, სუფიის დამკვიდრების იდეას დაუბრუნდა, რითაც მსმენელს შეუშუბუქა განსაცდელის სიმწვავე და სიმძიმე.

ყურადღებოა ბიბლიური გოდების შესანიშნავი ცოდნა, რომელსაც გიორგი მცირე ამჟღავნებს. „აჲ მინდეს ცრემლი იერემიას გოდებისანი“, შენიშნავს იგი და დასძენს: „უკუეთუ სხუამანცა ვინმე სანატრელთა მათ კაცთაგანმან სილიდე განსაცდელისაა სადამდე იგლოვა“. მართლაც, იერემიას გოდების ძველქართული ვერსია ცრემლით გაჟღერებული თითოეული გამოთქმით, უნაპირო გლოვის ხმით, ძლიერი, პლასტიკურად ჩამოსხმული ენით, რელიგიური ლირიზმით გოდების კლასიკური ნიმუშია მსოფლიო პოეზიაში. იერემიას გოდების ზედმიწევნით ცოდნა არ ზღუდავს გიორგის შემოქმედებით ნიჭს, როგორც ეს მოსალოდნელი იყო. იგი „სიტყვათა აფრას“ თავისუფლად იქნევს და ჩვენს წინაშე შესანიშნავი ქართულით აყალიბებს მთაწმიდელის ღვაწლსა და ამაგს. აქ გვხვდება გოდების ბიბლიურ ტექსტთა ტრაფარეტული ლექსიკა: „განკაფული“ (ღონემიხილი ს. ჩ.), „საღმობიერო“ (სატკივრიანი ს. ჩ.) და ა. შ., მაგრამ ძირითადში გიორგი მცირე ამ მხრივ უაღრესად თავისთავადია და ორიგინალური. ამის საილუსტრაციოდ საკმაოა ითქვას, ერთგან რომ განკაფულს (განკაფულნი ღამის თევათა შინა...) ხმარობს, იქვე მეორეგან მის შესატყვისს „განლელულს“ (...შრომითა განლელული) გამოიყენებს. გიორგი მცირე, ალბათ, იყენებდა ე. წ. ათონური ბიბლიის სრულ ტექსტს, რომელიც გადაწერილია 978 წელს სამცხეში, სახელგანთქმულ ოშკის ტაძარში. მთაწმიდელის ბიოგრაფიის ბოლოში გიორგი მცირე თითონვე დასძენს „ოქრო სიღრმეთაგან ქუეყანისათა აღმოღებული, ბრწყინვალე ბრძმედისა მიერ გამოცდილი და განწმედილი, კეთილად შუენიერ იქმნების“. გიორგი მართლაც ემსგავსება ოქროს მაძიებელს, რომელიც ქართული ენის უმდიდრეს ლექსიკურ მარაგში, დიდის ყურადღებით, შემოქმედების „ბრძმედში“ ატარებს თითოეულ სიტყვას და არჩევს მათ, როგორც გამოშსახველობის, მუსიკალობის, ისე აზრობრივ-სემანტიკური მხრით. თხრობის ისე აგება, რომ მან მკითხველსა და მსმენელში სათანადო (სიხარულითა თუ მწუხარების) ძლიერი განწყობილება შექმნას, ადვილი საქმე როდია. გიორგი მცირე, განსაკუთრებული



იერუსალიმი. სომეხთა საპატრიარქო რეზიდენციაში



წმიდა იოაკიმისა და ანას ეკლესია, სადაც იშვა ღვთისმშობელი



ბეთლემის საეპარქიო სახლში

პოეტური ნიჭით და მშობლიური ენის ღრმა ცოდნით აღ-
ჭურვილი, შესანიშნავად ახერხებს ამას.

მართალია, გოდება, ისე როგორც ბიზანტიელ მოღვა-
წეთა თეოლოგი სტულიელის (მე-8, მე-9 ს.) ან პსელოსის
(მე-11 ს.) საგოდებელი სიტყვა მათ დედათა გარდაცვა-
ლების გამო დაწერილი, არ შეიცავს საყოფაცხოვრებო
ამბებს, მაგრამ იგი გიორგი მთაწმიდელის პიროვნული
ხასიათის გადმოცემაცაა, მასში მშვენივრად ჩანს მთა-
წმიდელის მხატვრული სახე, მისი ლირიკული პორტრე-
ტი.

ყურადსაღებია გოდების პოეტიკა, რომელშიც ჩვენ
გველისხმობთ მხატვრული გამომსახველობის საშუალებ-
ებს, რომლებიც ხელს უწყობს გოდების იდეურ-თემა-
ტიკური შინაარსის გამოკვეთასა და გამახვილებას. გი-
ორგი მცირე კანონზომიერად იყენებს კითხვით წინადა-
დებებს, რაც აძლიერებს ლირიკულ ინტონაციას „ხედავ-
თა, თუ ვითარ არიან საქმენი ჩუენნი.“ ან კიდევ: „ახუ
თუ მცირე არს ჩუენ ზედა მოწვენილი ასე ბოროტი.“

გოდებაში მოწვენილებული ევფონიურ-ბგერწერითი
სურათი გვაქვს. სიტყვური თანხმოვანი და ხმოვანი ბგე-
რათა კანონზომიერი განლაგება, ალიტერაცია—ასონან-
სი, რაც სტრიქონის კეთილფერადობის საშუალება და
ძველი ქართული ძეგლებისათვის მეტად დამახასიათებ-
ელი მოვლენაა. „ვითარ ვაიძულე ენასა მსახურებად სი-
ტყვისა, რაათა იგი განსაცდელისა ამის მიერ, ვითარცა
მძიმითა რაათამე საკრველითა რეინისაათა შეკრულ
არს.“ გარკვეული ევფონიური შთაბეჭდილებით მწერალი
ყურადღებას ამახვილებს მკითხველსა და მსმენელს,
რომ მას არ ძალუძს ენის ამოღება. სიმტკიცისა და სიმ-
კვრივის გრძობას აძლიერებს „კ“ ბგერის კანონზომიერი
განმეორება. ნაწვევტის ბოლოში ზოგჯერ განმეორებუ-
ლია თანხმოვანი—ხმოვანი. ალიტერაციულ—ასონანსუ-
რი ხმოვანებისა სტრიქონი „განსაცდელთა და მწუ-
ხარებათა მიერ შეპყრობილისა და აღვსებულისა ეული-
სა... ხოლო სტრიქონთა დასაწისში განმეორებული ერ-
თიდაიგივე სიტყვა (ანაფორული წყობა) მეტყველების
სათანადო ტონს ქმნის, რაც შესაბამისი განცდის წარმო-
შობას ემსახურება: „ვითარ აღვალ პირი უტყუებითა
შეპყრობილი, ვითარ აღუტეო ხმა... ვითარ აღვიხილნე
თვალნი სულისანი განსაცდელისა ამის აღმურითა დაბ-
ნეულნი“.

მოტანილ ნაწვევტში განმეორებული „ვითარ“ აძლი-
ერებს უნუგეშობის გრძობას. სევდოვანი განწყობილების
გამომხატველია მყარი ფრაზიოლოგიური ერთეული.
„განსაცდელის აღმური“ და „და“ კავშირის თავისებური
გამოყენება ყურადღებას მიმართავს ამა თუ იმ მომენტის
მიმართ და ქმნის ერთიდაიგივე ამბის განმეორებით
მკვეთრ შთაბეჭდილებას.

„ვითარმე ვითხრა, თუ რაბამი ამბორი და შფოთი იქმ-
ნა, და ტყებაჲ, და ყივილი უწესოჲ“. შფოთსა და ამბორს
კიდევ უფრო ამძაფრებს „და“ კავშირის მრავალგზისი გა-
მოყენება.

სინონიმთა გვეგაზომიერი ხმარება ძალიან აძლიე-
რებს გარკვეულ აზრს: „ვინმეცა განმიბნია უაუნი და წყუ-
ლიადი მწუხარებისა ბნელი...“ სინონიმებია „უკუნი“ და
„წყულიადი“; მაგრამ ოდენ ამ სიტყვათა გამოყენება გააუ-

ფერულებდა სტრიქონს; ამის გამო მწერალი მის მომდევ-
ნოდ გამოიყენებს სინონიმთა შესატყვისს — „ბნელი“,
რითაც მეტი გამჭვირვალება შეაქვს. სხვა შემთხვევაში
„წყულიადის“, „უკუნის“, „ბნელის“ სინონიმად გამოიყე-
ნებს სიტყვას „შავი“, რაც კონტრასტულ პარალელიზმს
ქმნის „წიადვლო არა თუ ზღვაჲ ესე მეწამული, არამედ
შავი ესე და წყულიადი ზღვაჲ საწუთროჲსა“.

ყურადსაღებია შემდეგი ნაწვევტიც: „ყოველი იგი ერი
უცხოჲ ამის განსაცდელისათვის უცხოჲა შინა ქუეყანა-
სა ოცდაათ დღე და ოცდაათ ღამე იგლოვდა მკს ზედა,
მწარედ გოდებდა და ტიროდა“. სამი სინონიმური სიტყვა
ურთიერთმოდევნებით ერთ ტაქსონა წარმოდგენილი. (იგ-
ლოვდა, გოდებდა, ტიროდა). სხვა შემთხვევაში, როდე-
საც კვლავ გოდების აღმნიშვნელ სიტყვას უნდა მიმარ-
თოს მწერალმა, იტყვის — **მწუხარებაჲ**. (... გლოვაჲცა ესე
და მწუხარებაჲ...). მწერლის ენობრივი სტილის თავისე-
ბურებანი დამოკიდებულია არა ოდენ სიტყვათა თავისე-
ბურ შერჩევაზე, არამედ ლექსიკური მარაგის სიუხვეზე-
დაც. ამ მხრივ გოდების პოეტური მეტყველება თავისებუ-
რია და მრავალფეროვანი.

ყურადსაღებია მხატვრული გამოვლილება, რაც პოეტურ
ინვერსიას მოგვაგონებს, როცა მეორე სტრიქონი სიტყვა-
თა შეცვლილი რიგით პირველის სინონიმს წარმოად-
გენს: „ვინ მოგუფინოს ჩუენ შარავანდელი, ვინათგან
დაჰხდა მნათობი (ვარსკვლავი ს. წ.) ჩუენი! ეჲ, ბოროტი
ესე სიბნელე, რამეთუ მზე, მნათობი ჩუენი დაჰხდა (ჩა-
ესვენა ს. წ.) შხისა და ვარსკვლავთა ჩასვლა და სიბნე-
ლით გარემოცვა მიდამოსი აქ მეტაფორულობითა ნაჩვე-
ნები და იგი ქრისტიანული კოსმოლოგიის ელფერიტაა
აღბეჭდილი. მზესთან ადამიანის შედარება, რომელსაც
ხშირად ვხვდებით საქრისტიანო ლიტერატურაში, ძველი
ხასიათის სტერეოტიპული შედარებაა და ერთგვარი აღ-
რეული გამოძახილია მომდევნო საუკუნეთა ლიტერატუ-
რათა სახეთა მთელი სისტემის შექმნისა. ამ მხრივ, კი-
დევ უფრო საყურადღებოა მეტაფორა ცრემლის — სისხ-
ლის სახით დენა. გიორგი მთაწმიდელის აღსაზრდელე-
ბი „ცრემლთა წილ სისხლთა დასთხვედეს გუამსა მის-
სო“. გიორგი მცირესთან ეს მეტაფორული შთაბეჭდი-
ლებების სახე მაინცდამაინც ლიტერატურული ტრადი-
ციის გამოძახილი არაა; თუმცა იგი ძლიერ ემოციურ
შთაბეჭდილებას ქმნის.

გიორგი მცირე მარჯვედ იყენებს მხატვრული დაპი-
რისპირების ხერხს, როცა გიორგი მთაწმიდელის მიერ
საქართველოდან წამოყვანილი ბავშვების მდგომარეობა
უნდა გვიჩვენოს. ამისათვის იგი ერთიმეორის საპირის-
პირო ცნებებს: აყვავებული, დამჭკნარი, განათლებული,
დაბნელებული—მიმართავს ასე: მცირედ **აყვავებულნი**,
ხოლო აწ მსრაფლ **დაჭნობილნი**, ბრწყინვალედ განა-
თლებულნი, და ბოროტად **დაბნელებულნი**“. ძველს ქარ-
თულ ძეგლებში იშვიათად გვხვდება მახვილის აღნიშვნა
და თუ არის, მისგან რაიმე კანონზომიერების დადგენა
შეუძლებელი ხდება. აქ მხოლოდ შეიძლება ვივარაუდოთ,
რომ ე. წ. ლოგიკური მახვილი საპირისპირო აზრის გა-
მოხატველ სიტყვებზე მოდის, რაც მათ სხვებისაგან გა-
მოჰყოფს.

გრძელი რიტმული პერიოდებისაგან იმგვარი შთა-

ბეჭდილება გვრჩება, თითქოს გიორგი მცირის გოდება ერთი ამოსუნთქვით იყოს დაწერილი, მაგრამ ზოგჯერ იგი ნაწვევტ-ნაწვევტ გადმოგვცემს გოდებას:

„გაი ჩუენდა (ვაი ჩუენდა), (ჰოი წმიდაო!) (რამეთუ, ვიდრე შენ ჩუენთანა იყავ), (ღამენიცა დღენი იყვენეს). (ხოლო აწ), (რამ განგუემორე), (დღენიცა დამე არიან). ამ ნაწვევტის შინაგანი რიტმულობა გვაგრძნობინებს ავტორის მღელვარებას.

გოდების პოეტურობის მანიშნებელია ისიც, რომ მწერალი ემოჯენტა ზოგადს, გაზვიადებას, ენაწვლიანობას. შეითხველი დასაწყისიდანვე დაძაბულობის ატმოსფეროშია მოქცეული. იგი ცდილობს სევდა მოჰგვაროს მსმენელს და ამას ბრწინვალედ ახერხებს.

გოდებაში სულიერი მღელვარება რიტმულად ლაგდება და მიმდინარეობს. იგი განხილული უნდა იქნეს იმ თავისებური სტილის მიხედვით, რომელიც ცნობილი იყო ქართულ ჰაგიოგრაფიულსა და ჰიმნოგრაფიულ მემკვიდრეობაში, გოდების ჟანრის უძველეს პოეზიაში. გოდების რიტმულობა შემწნეულია სამეცნიერო ლიტერატურაში¹. პოეტურია თითონ ბაბილონის გოდება და გოდება იერუსალიმისა, რომ ისინი გარკვეული კანონზომიერების პოეტურ მეტყველებად ვცნოთ. ყურადსაღებია, რომ ებრაული პოეზიის უძველეს ნიმუშში—იერემიას გოდებაში და ბიბლიის სხვა პოეტურ ნაწვევტებში ცნობილ მხატვრულ ხერხს, რაც ერთი ფუძისეული სიტყვების ორი სხვადასხვა ფორმით გამოთქმაში მდგომარეობს, გამოიყენებს გიორგი მცირეც: „სიხარული მოხარულთა, თანა მოგუეცით ჩუენ, ტირილი მტირალთა თანა მომიზღუთ ჩუენ“.

დინამიური თავისებურებანი ძველი ქართული ენისა და მეტყველებისა პირველწყაროა გოდების დინამიკისა. აქ მხედველობაში გვაქვს გოდების რიტმული მხარეც, რომელიც ისეა მასში გამოხატული, რომ ზოგჯერ ჩვეულებრივი ძველი ქართული პროზა თავისებური რიტმული ელფერის მქონე პოეზიად გვევლინება.

უძველეს ქართულ ლიტერატურულ ძეგლებში და გოდებაშიც მოწესრიგებულია ბგერწერა ცალკეულ შესიტყვებათა: „სიტყვისა ჩუენისაჲ“, „დედათა მტირალთა“, „შვილთა ჭეშმარიტთა“, „განსაცდელსა მოიძღურისასა“, „ხიარმან ანგელოზთამან“, „ცეცხლითა მწუხარებათაჲთა“, „მამამან ჩემმან“ და სხვა რიტმული სინტაგმები ძველი ქართულის თავისებურების, მისი კეთილხმოვანების მაჩვენებელია, რიტმიც ხომ მეტყველების ფონეტიკური სისტემის გვემაზომიერო მოწესრიგებაა, რომელიც განსაზღვრულია ეპოქით, მოცემული ენისა და მხატვრული ძეგლის სპეციფიკით.

ამრიგად, უძველესი ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ჰიმნოგრაფია და გოდების უძველესი ნიმუშებია ძირითადი წყარო გიორგი მცირის გოდების რიტმიული წყობისა. აქვე შევნიშნავთ, რომ ბიბლიაში ჩვენ შევხვდებით აზრთა და წინადადებათა რიტმს, აქ რითმა სავალდებულო არაა.

რითმიული ჯგუფები გოდებაში ერთიმეორისაგან გა-

ყოფილია და თითოეული მათგანი მთლიანს, დასრულებულ აზრს გამოხატავს, მიუხედავად რითმის აშკარა უპარობისა და სიღარიბისა. აი, ამისი ერთი ნაწვევტი:

„წარვიდა გონებისა განზრახვაჲ ჭეშმარიტად ღმრთისა მიერ აღძრული. დაწუხნა თუალნი იგი მართლიად მხედველნი და განურჩევლნი კეთილისა ბოროტისაგან. დადუმნეს ბაგენი იგი. მცველნი სჯულისა უფლისანი. შეიკრა ენაჲ იგი ოქრო სიტყუაჲ... და ბრწინვალედ მთარგმნელი ღმრთივ სულიერთა წიგნთაჲ.“

ამგვარი მეტრომწერივი შემთხვევითი არაა. სინტაქსური წყობა, სიტყვათა თავისებური განლაგება, ტონურ პაუზათა, რიტმიულ შეჩერებათა, შიგნისტრიქონულ ან-ჟაბეშანთა (გადატანა) როლი ამ ნაწვევტში ნათლად ჩანს. რიტმული შეჩერება სტრიქონის ბოლოში სიტყვათა გარკვეულ ჯგუფებს მკვეთრად გამოჰყოფს და მას „შინა-არსობრივ—ტაეპობრივი რიტმიკით“ ჰკრავს.

„დაწუხნა (დაიხუჭა ს. ჩ.) თუალნი იგი მართლად მხედველნი“. „იგის“ შემდეგ რიტმული შეჩერება არ გამოდინარეობს მოთხრობისეულ ინტონაციისაგან. მისი ინტონაციური თავისებურება განსაზღვრულია ტექსტის იდეური შინაარსით. ამის მიხედვით გოდებაში რიტმული დინება ხან მშვიდია, ხან მღელვარე და ტონალობის გამოცვლა ხდება იმის მიხედვით, თუ რა შინაარსს გადმოსცემს ავტორი. დინჯი ტონით მიმდინარეობს გოდება: „მწუხარე იქმნეს ოდესმე ისრაელნიცა, რაჟამს იგი აღიტაცა ზეცად ელია, არამედ ნეგეშინის სცემდა განშორებასა მისსა ელისე, ხალენითა მოძღურისაჲთა შემკობილი“. რიტმულად მღელვარე ტემპით თხრობის მაგალითია დადებითი პარალელიზმის მსგავსი სტრიქონები: „სადა არიან თუალნი ზეცისა საიდუმლოთა მხედველნი. სადა არიან ყურნი იგი საღმრთოჲსა მის ხმისა მსმენელნი. სადა არს ენაჲ იგი წმიდაჲ... სადა არს ტკბილი იგი მყუდროებაჲ თუალთა მისთაჲ. სადა არს წესიერი იგი ღუმილი ბაგეთა მისთაჲ. სადა არს საწაღელი იგი მარჯვენაჲ მისი...“.

გიორგი მთაწმიდელი ჩვენი წარსულის ერთი უდიდესი მოღვაწე იყო. გოდებიდანაც ვხედავთ, თუ რა დიდი ავტორიტეტით იყო მოსილი მისი სახელი თანამედროვეთა შორის. გიორგის, როგორც ამას ადასტურებს ბიზანტიური ოქრობეჭდილი სიგელიონები (ხრიზობულა) და სხვა აუთენტური წყაროები, იცნობდნენ და აფასებდნენ იმ დროის გამოჩენილი ბიზანტიელი მოღვაწეებიც.

გიორგი მცირის გოდება გიორგი მთაწმიდელის იშვიათი პოეტური ოსტატობის ნაყოფია. იგი დღესაც გვჩიბლავს რიტმულობით, განცდის გადმოცემის სიმძაფრით. მდიდარია სინონიმებით, ალიტერაციით, ასონანსით, მეტაფორებით და სხვა პოეტური მხატვრული მეტყველებით.

გოდების შესწავლა გვიდასტურებს პოეტური მეტყველების მაღალ დონეს საბერძნეთში არსებულ ათონის ქართულ სალიტერატურო სკოლაში, გვითვალისწინებს მშობლიური მწერლობის საგანძურის გამდიდრების პროცესს თვალსაჩინო მხატვრული ძეგლებით, რომლებიც დღესაც დიდი ისტორიული და ლიტერატურული ღირებულებისა არიან.

¹ პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954 წელი, გვ. 558, გვ. 887.

პანკისონი იხ. 2-3
გვერდი

ილია მეორე ისრაელში

ბიზანტია ეკლესიის რაიონში მის
ბრძენ საზოგადოება მთლიან შესახებ
დარწმუნდა

თა მონასტრში შესახებ რამე
სული მონასტრის შემოქმედისა და
მადლობით დათვლილების დროს კარ-
ბად აღიზნა

მოუხია ყველა მოსთმენელად ელოდა
დღეებში ატომებქანა კიდილის
კარების გაღებას და პატრიარქს ვაჟ
მოხმარებს. ბერძნული ეკლესიის

საქართველოში ჩამოქრიალენ. ეპისკოპო-
სი იერუსალიმის ეკლესიებს წარმო-
დგენს და მისი ეკლესია წყარო-
ლოცვნი.



სურათი 2. პატრიარქ ილია მეორე და ეკლესიის წევრები

დადომიდან იქნა წინადადება ანა-
ლოზს შევინდო კლერსა კარებს
და დიკონებს ამ წინადადებას კარ-
ების სიტყვებითი რთვა დიკონის
მოლოდინში გვიგითი და წყარო-
ლოცვითი გამოდგამა და საკარ-
ოლოცვითი შუგუნიერ მონასტრის
ობოლს იმედინს და პატრიარქის მომ-
ლოდინს გზისთვის რომ მივებრტყ-
თა შუკრა რეგები რომ არ მოვი-
ნო. იმში წასულს დღეს ჯავდა დე-
ალები რომ გაქვითები და დაწრი-
თა გზისკენ ეკლესია იქნე შეილი
დაბინდების. დანადგობიანბული
მისტერებოდა იერუსალიმის ლამაზ
მონასტრებს და ეკლესიებს. ითქვის
სამლოცვითი უბნებოდა წარა ვამრ
ივას. ვალოც თათისათვის ახარებს
და რადი მე და მუში შეიღებთ ვა-
გურა რადი მარტო ჩვენ ანოვებო-
მით.



სურათი 3. საღვთო პატრიარქ ილია მეორის საპატრიარქოში

პატრიარქი ილია მეორე და ეკლესიის წევრები

საღვთო პატრიარქის კოლონი მონას-
ტრის უბნისკენ მომავალ ქარზე ჩა-

წარმომადგენლებმა დროულად და-
კირის თადარიგ და მონასტრის შეს-

მარტანის კარებზე გაიღეს და იქ
ან გადმოსულ პატრიარქს და მისი მო-
წველი და პატრიარქი ეამბორენ და მ-
ვალნი. შემდეგ კი მონასტრის კი-
წკრისათვის გაღებენ გზას. სახვები
რწმუნებულნი და თვალყურსდევნი მის

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ

ისრაელის გაზეთები ყოველდღე იუწყებიან ჩვენი ეკლესიის დელეგაციის წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ



სურათი 1. პატრიარქი ილია მეორე წირავს ეკლესიის მონასტრში

მედ თანამშრომლობის საკითხი
რამე თანამშრომლობის საკითხი
და მონასტრის მონასტრის მონასტრის
და მონასტრის მონასტრის მონასტრის
და მონასტრის მონასტრის მონასტრის



სურათი 2. ქართული ეკლესია პატრიარქ ილია მეორეს ხელმძღვანელობით

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ

ქართული ეკლესია პატრიარქ ილია მეორეს ხელმძღვანელობით

საქართველოს ეკლესიის დელეგაციის წმინდა მიწაზე მოგზაურობის შესახებ



ქართლის ცხოვრების უზრცლები

წმიდა აშოტ კურაპალატი

**„აწ ჩვენთანა არს სულიერი კეთილი და თჳხვანთანა არს
ხორციელი კეთილი, და ესე შჳახაჳნეთ ურთიერთას“.**

გ ი ო რ გ ი მ ე რ ე უ ლ ი

„განგებითა ღმრთისათა სიმრავლისათვის ცოდვათა ჩვენთასა განდიდნა ნათესავი აგარიანთა საქართველოში“.

არაბთა ზუაობა მეორე საუკუნეს მიითვლიდა ქართულ მიწაზე და „დროთა ამით შინა განირყვნა ქვეყანა“. სულითა და ხორციით დამდაბლებული ერის შვერა განდრეკილიყო მაცხოვრის ჯვრისაგან და უგზოდ დაშთენილი ქართველობა ირყეოდა „ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“...

მაშინ მოიღო მადლი უფალმა და დაუდგინა ერს სულიერ მწყემსად გრიგოლ ხანძთელი — „ზეცისა კაცი და ქვეყანისა ანგელოზი“, ხოლო ქვეყნის ხელმწიფედ — აშოტ კურაპალატი.

ღმრთის—მსახური ხელმწიფის აშოტ კურაპალატის დეაწლი 786 წლიდან, ქართლის ერისთავობით იწყება. ქართლი არაბებს ეპყრათ და ძალმომრეობის ტახტი თბილისში ედგა არაბ ამირა ალი შუაბის ძეს, დამპყრობლის წინასადდგომად ძალა იყო საჭირო; ხოლო იცოდა კეთილად—მსახურმა აშოტ ბაგრატიონმა — „არა ძალითა განძლიერდების კაცი, არამედ ღმერთმა მოსცის ძალი“; და რომ ხორცის მოყვარებითა და მოშიშებით ჯვრის უარყოფელ თვის ერში ვერ მოიძია მეფემ ის ძალი; მიტომაც ვერ უძლო არაბების დევნას; აიყარა ქართლიდან ოჯახითა და მცირე რაზმითურთ და წარემართა, რათა წარვიდეს საბერძნეთად. ოღონდაც საბერძნეთს თავშეფარება არ უზრახავს მეფე აშოტს, არამედ ქართველთა მოძღვარ ქვეყანაში სურდა ერის დასახსნელი გზის მოძიება...

მაშინ მოიღო მადლი უფალმა და გარდამოუვლინა აშოტს სასწაული — ოდეს მძიმე გზით დამაშვრალი კურაპალატი დედით, მეუღლით, ორი ძითა და მცირე რაზმითურთ ტბა ფარავანთან ჩამოხდნენ, პური ჭამეს და თვალი მოატყუეს, მძინარეთ არაბთა დიდი ლაშქარი შემოეწყო. მემატინე გვამცნობს სასწაულს: „მაშინ შეეწია ღმერთი აშოტ კურაპალატსა და მის მცირე რაზმს“ და „ადმოხიდა ხრმალი და განვიდა შორის განწყობილთა მათ“, „განაძლიერა გუნდი თვისი, უშიშ ყვნა იგინი, აღიზახა ვითარცა ლომან და აოტა, და განაბნივა იგინი“. ღმრთისმსახურმა მეფემ ცნო ხმა უფლისა და შედგა ერისკაცი, მეფე აშოტი ღვთითგანჩინებულ მოწამებრივ გზაზე, რომელიც უხმობდა: საბერძნეთის ნაცვლად — შავშეთ—კლარჯეთისაკენ, გარეშეთ ხსნის ნაცვლად ერის სულის ხსნისაკენ; ხმლით შენების ნაცვლად — სიყვარულით შენებისაკენ; მკლავით ძღვევის ნაცვლად — სულით ძღვევისაკენ...

მურვან ყრუსაგან დარბუელ შავშეთ—კლარჯეთში შევიდა მეფე, მახვილსა და სენს გადარჩომილმა მცირედმა მკვიდრმა, სიხარულით შეიწყნარა აშოტ ბაგრატიონი დედა—წულითურთ...

ხმობილი იყო კურაპალატი შავშეთ—კლარჯეთში. — უფალმა სასწაულით გაუნათა ერის საშენებელი, მისკენ მავალი გზა მეფეს და კლარჯეთის ტყეში, კლდეზე დაშენებული შემუსვრილი ციხე გამოუჩინა, რომელიც ვახტანგ გორგასალს აემართა ქრისტეანეთა საყუდელად, ნათლისა და ბნელის მიჯნად. სულიწმიდით შთაგონებულ აშოტ ბაგრატიონს გაუცხადდა გზა და ანდრძი

ღმრთისმსახურ ვახტანგ გორგასალისა, რომელიც ერში უნდა აღესრულებინა: „აწ გამცნებ თქვენ, რათა მტკიცედ სარწმუნოებასა ზედა სდგეთ და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილსა მისსა ზედა, რათა წარუვალი დიდება მოიგოთ“.

კეთილადმორწმუნე აშოტმა არტანუჯის ციხე განაახლა, ციხეში ალაშენა წმიდა მოციქულთა ეკლესია პეტრესი და პავლესი; ციხის ქვეშ ქალაქი გააშენა, განამრავლა და ააღორძინა გაუკაცურებული სოფლები. მერმედ ბერძენთა მეფემ კურაპალატობა მოუბოძა ღვაწლშემდგარ აშოტს და მისცა ღმერთმან გამარჯვება და „ახელმწიფა იგი შავშეთ-კლარჯეთსა ზედა“.

ოღონდაც ქართველობაში იმთავითვე შესული ცოდვა ამპარტავებისა აბრკოლებდა ერს. მთავარი მთავარზე აღდგებოდა;... ხორცისას ზრუნავდნენ — და არა სული-სას; პირადულისთვის იღვწოდნენ — და არა ერისთვის,თვის ნებას ჰყოფდნენ — და არა ღვთისას...

ამგვარად გალაღებულმა კახეთის ერისთავმა გრიგოლმა ქართლის მიერთება იზრახა, შეკრიბა ლაშქარი და მდინარე ქსანზე შეება ქართლის ღვთივგანჩინებულ პატრონს, აშოტ კურაპალატს: „და შეიბნეს ქსანსა ზედა აშოტ და გრიგოლ. გააქციეს გრიგოლ... და დაიპყრა აშოტ კლარჯეთითგან ვიდრე ქსნამდე“.

ოდეს მფლობელი ამათ ქვეყანათა, ღმრთისმსახური ხელმწიფე „დიდი ბაგრატუნიანი“ აგებდა თავის ქვეყანას საფასითა და ქვით — ნეტარი მამა გრიგოლ ხანძთელი აღაშენებდა ერს სულით.

და როცა ეუწყა ხელმწიფეს სანატრელი მამის ღირსება, სათნოება და ღვაწლი, გულისხმა—ჰყო კეთილადმსახურმა აშოტმა, ღვთის მადლი იყო მასზე — მოძღვარი მოვლინებოდა მასა და მის ერს.

გიორგი მერჩულე მოგვითხრობს აშოტ კურაპალატისა და გრიგოლ ხანძთელის შეხვედრას, რომლითაც ერის სულისა და ხატის საშენებლად, საეროთა და სასულიეროთა ერთობაა გაცხადებული: „კურაპალატი ზე აღდგა და წინ მოეგება ნეტარსა მამასა გრიგოლს და დიდითა სიმდაბლითა მოიკითხეს ერთმან-ერთი და დასხდეს“:

— ღმრთისა მიერი კურთხევაჲ პირითა შენითა იყავნ ჩვენ ყოველთა ზედა, წმიდაო. — ლოცვა—კურთხევა ითხოვა ხელმწიფემ ნეტარ გრიგოლისაგან.

— გაკურთხენინ ყოველნი პირმან ქრისტესმან და ყოველთა წმიდათმან. ვითარცა გულისხმაჲყოფთ კეთილის ყოფასა ღმრთისასა ჩვენდა მომართ მეფობითა შენითა და... არა მოაკლდეს მთავრობაჲ შეილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა... — დალოცა ნეტარმა გრიგოლმა.

კეთილმორწმუნე ხელმწიფემ, ვითარცა სათნო მოწაფემ, მდაბლად მიიღო მადლი მოძღვრის ლოცვისა.

— ... ჟამთა ჩვენთა შენ გამოგაჩინა ღმერთმან ქრისტეანეთა სიქადულად, ზღუდედ შჯულისა და შესაწევნელად მორწმუნეთა და სამხილებელად ურწმუნოთა... მარადის იღვწოდ ჩვენთვის წმიდითა ლოცვითა შენითა წინაშე ქრისტესა და წმიდათა მისთა.

სასულიეროთ და საეროთ ერთბაშად სწამდა, ღვთის სახლში, წმიდა ტაძარში უნდა აშენებულიყო ერი და შე-



წირა მადლმოსილმა ხელმწიფემ ხანძთის მონასტერს შატბერდი და სხვაც მრავალი მშვენიერი ადგილი, რათა ემრავლა ქართულ მიწაზე მონასტრებსა და ტაძრებს. ამგვარი ზრახვით, ამგვარი გარჯით აშენებული ტაო-კლარჯეთი, მეცნიერთა ცნობით, „ქართველთა სინად“ მოუნათლავთ.

ქრისტეს ჯვარს შემდგარ მეფე აშოტს საცდური ჩამოუდგა ერთგვის ქალის სახით, „და ეშმაკი ტრფიალები-საჲ ფრიად აზრუნდა“; ოღონდაც უფლისმიერი მოძღვრის, ნეტარი გრიგოლის მარადის სიფხილემ განაშორა გონება და ნება ღმრთის ტარივისა ცოდვას. მეფე „სულითა იხარებდა“ და „აქებდა წმიდათა მათ მძღავრებასა. უფროის ხოლო, ძლევისა მომცემელსა ღმერთსა“.

ღვთის ბოძებული ტალანტი — „დასაბამი სიბრძნისა — შიში უფლისა“, შვილებშიც ააღორძინა აშოტ კურაპალატმა და ძენი მისნი ბაგრატ, ადარნერსე და გვარამ „მორჩილ ექმნეს საღმრთოჲსა მამობისა სიყვარულითა, რამეთუ ერთზრახვა, ერთსულ და ერთნება იყვნეს ივინი“: მადლმოსილმა ხელმწიფის ღვაწლმა „ნაყოფი კეთილი მოიღო“ და იხილა აშოტ კურაპალატმა თავის ქვეყანა სავსე ქრისტეს სარწმუნოებით — სიმრავლე ეკლესია-მონასტრებისა, სიმხნე მღვდელ-მონაზვნებისა, მორჩილება ღმრთისმოყვარებით აღორძინებულ ერისა.

„ხოლო მტერი — ეშმაკი იგლოვდა ფრიად, რამეთუ ხედვიდა წმიდათა კაცთა გამრავლებითა ჟამისა თვისისა შემოკლებასა“... და დაატეხა შავშეთ-კლარჯეთს არაბთა ლაშქარი ხალილ იზიდის ძის წინამძღვრობით...

გავიდა აშოტ კურაპალატი რათამცა შეეკრიბა ლაშ-

ქარი ბრძოლისათვის სარკინოზთასა“. ლაშქრის მაწვეველნი განავლინა და მცირე რაზმით დარჩომილ კურაპალატს მოულოდნელად დაეცა მტერი, რომელსაც იუდას მსგავსად მოუძლოდნენ ლაშქრის შესაკრებად წარგზავნილი მეფე აშოტის კაცები. მოძალებულ შტერს მცირე რაზმით ვერ აღუდგებოდა კურაპალატი და არტანუჯის ციხეს მიმართა. მოლაღატეებმა ციხეში შესდიეს, მშინ იგრძნო ღმერთშემოსილმა აშოტმა „მოახლებული იყო ჟამი“ და წმიდა მოციქულთა პეტრე—პავლეს ეკლესიაში უფალს მიანდო სული, ხოლო ხორცი მისი „მოწყლეს მახვილითა საკურთხეველსა ზედა, და შეისუარა საკურთხეველი იგი სისხლითა მისითა, რამეთუ დაკლეს იგი მუნ, ვითარცა ცხოვარი, აღსავალსა საკურთხეველისასა, ეს იყო 826 წელს. და „სისხლი იგი მისი დათხეული დღესცა საჩინოდ სახილველ არს“.

ნეტარ გრიგოლს ესმა რა სიკვდილი აშოტ კურაპალატისა, ტკივილის ცრემლით ადივსო და ტირილით ულოცა მიცვალებულ მეფეს: „მეუფეო, ჩემო, ძლიერო და დიდებულიო. სიმტკიცეო ეკლესიათაო და ზღუდერ ქრისტიანეთაო, სადაითმე მოგელოდი. აღმოსავალითმე ანუ დასავ-

ლით ჩრდილოითმე ანუ სამხრით. რამეთუ ყოველთა ზედა ნათესავთა მფლობელი იყავ. რომელიცა წყობით ხელმწიფეთა დაიმორჩილებდ. საკვირველი ეგე დიდებული. ღმრთისმსახური ხელმწიფე. აწ ვითარმე მიეცი ხელსა შეურაცხსა უშჯულოთა და უნდოთა კაცთასა რომელნი იგი იუდას მსგავსად შენ უფლისა თვისისა მკვლელ იქმნნეს მოსაკუდინებელად ჩუენ გლახაკთა მლოცველთა შენთა. უკუნისამდე“.

ქრისტესთვის მოწამებრივი სიკვდილით გასაპეტაკებული წმიდა აშოტ ბაგრატიონის ცხედარი არტანუჯის ციხეში პეტრე—პავლეს ეკლესიაში დაკრძალეს და ერმა, მცნობელმა წმიდა აშოტ ბაგრატიონის ღმრთივშემოსილი ცხოვრებისა, კვლავ იაზრა: „არა ძალითა ჩვენითა, არცა სიბრძნითა, არცა სიმრავლითა სპათათა ვძლეთ მტერთა, არამედ ჯვართა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესითა, ძისა ღმრთისათა, როელმან მოგვცა წინამძღვრად და საჭურველად ჯვარი მისი პატიოსანი“.

მარიამ ნიაზური



ძველი შუამთა. V—VII ს. ს.



კვირის

შეერთა, გაიპო, გაბრწყინდა,
 თვალით მეხილება, დედავ!
 მტრედისფერ საგალობლებში
 წმიდა კვირიკეს ვხედავ!
 რა ლამაზია კვირიკე,
 ცრემლის ციაგში მდგარი!
 როგორც ნიავის აღერსი,
 როგორც ჩონგურის ღარი!
 მსხვერპლი არ უნდა კვირიკეს,
 ბზა და ღიმილი კმარა.
 სად მიხვალ, სიმო ობოლო?
 ბეთლემს, პატრონის კარად.
 ყვაილთა ყველა გვირგვინი,
 ყველა გაწვდილი ხელი,
 ყველა ხმა, ყველა სანთელი
 თავის სასწაულს ელის,
 საღბუნსა სასოებისა,
 ვარდის სურნელში ნაზელს,
 ნეტავი მაცნედ მატარა
 შენგან დასავლელ გზაზე.
 ირხევა ცრემლით, იმედით,
 ნათლით დაწნული ტანი.
 მოდიან ცისადცისადნი.
 ბორგნეულნი და ბრმანი,
 კაცნი, ბოროტად გვემულნი,
 ქაღნი, დახმულნი შობად.
 უხსოვარ წყლულზე შემეხო
 ლურჯი ქიტონის ქობა...
 ყველა სენს კურნავს კვირიკე,
 ყველა სატკივარს არჩენს,
 ვერ კურნავს გულის სიბრმავეს,
 ღვთისგან დადებულ სასჯელს.
 სუმბულის სურნელს მოყვევით,
 შენთან მოვიდა კვალი,

უფლის ლაჟვარდი გვაპკურე,
 ედემს ნაჟური წყალი...
 მიდის, საკნებს და სენაკებს
 მადლის არილით ამეობს.
 უჩინარ საგზალს გვიტოვებს,
 გაის-ამ-დღემდე სამყოფს.
 წაიღებს ქენჯნის ფორეჯებს,
 კეთრის, სირცხვილის დაღებს
 ცისკენ, იქ, სადაც ბეთლემი
 ვერცხლის კარიბჭეს აღებს.
 მიიტანს, როგორც ხარებას,
 გზებზე საღმობის ამბავს,
 და ხუთი წმიდა ჭრილობა
 წყნარი ლაჟვარდით განბანს.
 სად მიერთი, ივერთ ნათელო,
 მზით, ვარსკვლავებით, მთვარით?
 ნუთუ სიკვდილიც ფუჭია,
 არსად გვედება კარი?
 ისევ ზარზმა და გელათი,
 სამთავისი და მცხეთა,
 ტროპარის ნუსხურ გზაწვრილზე
 თეთრი მტრედები სხედან.
 ნუ ტირი, ობლის საგზლითაც
 გავწვეთ სამეფო ნადიმს,
 რადგან სიმღერის ბილიკი,
 უფლის წაღკოტზე გადის.
 რაჟამს დაიწყებს ივლისი
 ულოს გვირგვინთა ახდას,
 კვლავ უბრუნდება კვირიკე
 თავის პატარა საყდარს,
 მწირის ცას, კედელს ნოტიოს,
 სადაც ზეგარდმო ნებით
 დაუკვიცია ანგელოზს
 ნელსევდრანი ფრთები.



ულეს ღვთისმშობლის ეკლესია.

საქართველოს ერთერთ უძველეს და უდიდეს სოფელ უღეში ამოქმედდა ეკლესია. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა რელიგიების საქმეთა საბჭომ ამ წლის 14 (27) მაისის დადგენილებით რეგისტრაციაში აიყვანა ამ სოფლის მორწმუნეთა საზოგადოება.

7 (20) ივნისს სრულიად საქართველოს კათოლიკოს—პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, ეკლესიის კურთხევისათვის უღეში აბრძანდა ახალციხისა და სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის მმართველი ეპისკოპოსი ანანია (ჯაფარიძე). ეკლესიის ეზოში ეპისკოპოსის ლოდინში შეკრებილიყვნენ სოფლელები და მესხეთის სხვა კურთხეებიდან ჩამოსული მორწმუნეები. მათ, ორმოცდაათი წლის უქმობის შემდეგ, ეკლესიის გახსნით გამოწვეული სიხარულის დამალვა არ შეეძლოთ. დაირეკა ეკლესიის ხარი და ეპისკოპოსი ანანია ახლადდანიშნულ დეკანოზ სტეფანე ნადირაძის თანხლებით ტაძარში შებრძანდა. დაიწყო ტაძრის კურთხევა, რის შემდგომაც მორწმუნე მრევლთან ერთად სამღვდულოებამ სამგზის შემოუარა ეკლესიას. ეპისკოპოსი აიაზმას ასხურებდა ტაძარსა და ხალხს, ისმოდა გალობა. კურთხევის დასრულებისა და ჩამოლოცვის შემდეგ ტაძრის ამბიონიდან მან სიტყვით მიმართა მორწმუნეებს.

პისკოპოს ანანიას ძალაგება



სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმიდისა სული-სათა. პატრიოსანო და დიდებულნო ქართველნო, მორწმუნენო, ქრისტესმიერ საყვარელო შეიღებო...

დღეს დიდი სიხარულისა და ბედნიერების დღეა. ათეული წლების უკმობის შემდეგ ღმერთმა ინება გახსნა და კურთხევა უდის დიდებული ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიისა.

დღევანდელი დღე სახელოვანია, დღევანდელი დღე ისტორიულია. ჩვენ ახლა, ამ წუთებში საფუძველი დავუდეთ ქართული ეკლესიისა და ქართველი მრევლის ერთიანობას მესხეთში. ინებოს ღმერთმა, რომ თქვენმა შთამომავლობამ სიამაყით მოიგონოს ეს დღე უდის ეკლესიისა. ტაძარი, რომელიც ჩვენ დღეს ვაკურთხეთ, ერთერთი მშვენიერია საქართველოში. ასევე ცნობილია რომ თქვენ, უღელები, ქრისტეს მცნებათა მტკიცე და ერთგული დამცველი ქრისტიანები იყავით წარსულში. მრავალი ტანჯვისა და გარემომხდური მტრის მოძალების მიუხედავად, კვლავაც წმიდად მოიტანეთ დღემდე თქვენი სარწმუნოება, დედაენა, მშობელი ქვეყნისადმი მამულიშვილური სიყვარული: ამიტომაცაა, რომ ღმერთმა არ დაივიწყა ჩვენი მხარე, მოხედა წყალობით და ინება გახსნა თქვენი ეკლესიისა.

ჩვენს წმიდა წიგნში — „ქართლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ წინა დროებაშიც ღმერთი მოწყალებით მოხედავდა ხოლმე ქართველობას და დედა ღვთისმშობელი კი თავის კალთას აფარებდა. სწორედ ასე განაცხადა, ამ მხარეში, მესხეთში შემოსულმა ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს უპირველესმა მოწაფემ—მოციქულმა ანდრია პირველწოდებულმა. თქვენს წინაპრებს, ქართველთა შორის პირველ ქრისტიანებს, თავის გარშემო შემოკრებილ მესხებს ანდრია მოციქულმა ამცნო, რომ ივერია ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, ხოლო ივერიელებს ყურადღებას არასდროს მოაკლებდა უფალი ღმერთი.

სწორედ ანდრია პირველწოდებულმა დაულო საფუძველი ქართულ ეკლესიას. ჩვენი ეკლესია დაარსებულია წმიდა ანდრიას მიერ. ეს არის სამოციქულო ეკლესია. მეოთხე საუკუნეში კი აქ, მესხეთში შემოვიდა თვითონვე მესხი—კაპადოკიელი ქალი, მოციქულთაწვრი წმიდა

ნინო. მან გაიარა სამცხე, ჩავიდა მცხეთაში, ქრისტეს სარწმუნოებაზე მოაქცია ივერიის მეფე-დედოფალი მირიანი და ნანა, რის გამოც ერთიანად მოინათლა მთელი ქართველი ერი. გაიზარდა წმიდა ანდრიას მიერ დაარსებული ქართული ეკლესიის მრევლი.

წმიდა ნინომ იცოდა, რომ ქართული სამოციქულო ეკლესიის ცენტრი უნდა ყოფილიყო მცხეთაში, საქართველოს მაშინდელ დედაქალაქში, სადაც შენახული იყო და ცხადია დღესაცაა კვართი უფლისა. მისი ნებით დადგენილი იქნა სრულიად საქართველოს მთავარეპისკოპოსი; რომელსაც შემდგომში კათოლიკოს—პატრიარქის ტიტული მიენიჭა. „კათოლიკოს“, რომლისგანაც წარმომდგარა სიტყვები „კათოლიკოსი“ და „კათოლიკე“ — ბერძნულია და ქართულად ნიშნავს — „საყოველთაოს“. „კათოლიკოს—პატრიარქი“ იგივეა ქართულ ენაზე; რაც საყოველთაო მამამთავარი. მესხეთის ქრისტიანები თქვენი წინაპრები, ისე, როგორც სხვა კუთხეთა ქართველები, მუდამ, მხოლოდდამხოლოდ მცხეთას ექვემდებარებოდნენ. მცხეთის საკათოლიკოსო—საპატრიარქოს მრევლი იყვნენ თქვენი წინაპრები საუკუნეთა მანძილზე...

I—X საუკუნეებში მსოფლიო ეკლესია იყო ერთიანი, მთლიანი და დაუყოფელი. ამ მთლიან ეკლესიას მაშინ ეწოდებოდა საყოველთაო, ანუ „კათოლიკე“ ეკლესია. მოციქულთა მრწამსში, რომელიც ყოველი მორწმუნის კრედიოა, ნათქვამია — „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიაა“. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველ ქრისტიანს სწამს, რომ მთელ მსოფლიოში არსებობს ერთიანი ანუ საყოველთაო სამოციქულო ეკლესია... ჩვენ ეს კარგად უნდა ვიცოდეთ, ჩვენი მრწამსის თანახმად ჩვენ გვწამს არა რამდენიმე, არა სხვადასხვა ეკლესია, არამედ ერთი საყოველთაო მსოფლიო ეკლესია. მსოფლიოში არსებობს ერთი ეკლესია, რადგანაც ერთი იყო იესო ქრისტე—დაზარსებელი და მეთაური მსოფლიო, ანუ საყოველთაო, კათოლიკე ეკლესიისა.

ეს მრწამსი, რომელსაც დღეს აღიარებს ქართული ეკლესია, საქართველოში იქადაგეს და გაავრცელეს თვით მოციქულებმა. სხვადასხვა ქართულ და უცხოურ წყაროთა თანახმად, საქართველოში ქადაგებდა არა მარტო ანდრია, არამედ სხვა მოციქულებიც, კერძოდ სვიმონ კანა-

ნელი, მატათა, ბართლომე, თადეოზი და თომა. ჩვენი უფლისა და მაცხოვრის 12 მოციქულიდან ექვსი მოციქული საქართველოში ქადაგებდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ მოციქულთა დროს იბერია იყო რომის იმპერიის მეტოქე ძლიერი სახელმწიფო, რომლის ხელშიც იყო პართიასა, სკვითიასა და ნაწილობრივ პონტოში შემავალი სავაჭრო გზები. ორი მოციქული კი მატათა და სვიმონ კანანელი საქართველოში არიან დაკრძალულნი. მოციქული მატათა აქ, ჩვენთან, დასავლეთ საქართველოში, ბათუმთან ახლოს განისვენებს.

როგორც ვთქვით, მოციქულებმა ქართველ ხალხს ასწავლეს მრწამსი, რომელსაც ახლაც უბიწოდ და უშეიკვლოდ იცავს ქართული ეკლესია. ქართული სამოციქულო ეკლესია არა მარტო მრწამსის იმ ნაწილს იცავს მტკიცედ, რომელშიც ნათქვამია: „მრწამს ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია“, არამედ მთლიან მრწამსსა და სარწმუნოების საერთო სისპეტაკეს. დიდმა გიორგი მთაწმიდელმა, რომელიც ჩვენი მხარეებიდან, ჯავახეთიდან იყო, ღირსეულად განუცხადა ბიზანტიის იმპერატორს — „ეს არის სარწმუნოება ჩვენი ნათესავისა — რაჟამს ღმერთი ერთგვის გვიცნობიეს, არ მივდრეკილვართ არც მარცხნივ და არც მარჯვნივ და არც მივდრეკებით, თუ ღმერთს უნდესო“, არსენი იყალთოელი წერდა: „ყოველი ერთი ჩვენი მტკიცედ და შეურყეველად სდგას მართალ სარწმუნოებაზე“... ასევე სხვა მაგებიც. ამის თქმის უფლებას ქართველ სამღვდლოებს აძლევდა ის, რომ მაშინ, როცა მსოფლიო ეკლესია XI საუკუნეში ორად გაიყო, ბიზანტიისა და დასავლეთის ეკლესიებად, ამ ეკლესიათა მეთაურების შუღლისა და ერთმანეთისადმი ქიშპობის გამო, ქართული ეკლესია მოციქულთა სწავლების ერთგული დარჩა. მსოფლიო ეკლესიის ორად განყოფის იმ ქარიშხლიან დროს გიორგი მთაწმიდელმა გამოიკვლია ქართული ეკლესიის, აგრეთვე დასავლეთის, ბიზანტიისა და მონოფიზიტთა ეკლესიების სარწმუნოებრივი მიმართულებანი და დაასკვნა, რომ მთელ მსოფლიოში ერთადერთი ქართული ეკლესია იყო ჭეშმარიტად ერთგული მოციქულთა სწავლისა. მართლაც, დასავლეთის ეკლესია განვითარების თავისი გზით წავიდა, ბიზანტიის ეკლესიაში თავიდანვე მრავალი წვადლება და ერესი იყო დანერგილი, ხოლო მონოფიზიტთა შეცდომები თავიდანვე იყო დაგმობილი მსოფლიო მამათა მიერ.

ქართული სამოციქულო ეკლესია საუკუნეთა მანძილზე არ შეცვლილა, ის ისევე წმიდა და უბიწოა, როგორც იყო მოციქულთა დროს.

სწორედ ამაში გამოიხატა ჩვენი მონიჭებული მადლი იესო ქრისტესი და დედა ღვთისმშობლის მფარველობისა.

მესხეთი ყოველთვის ქართული ქრისტიანობის ბურჯი იყო, მესხეთს მსოფლიო ქრისტიანობის წინაშეც დღევანდელი მიუძღვის. ამ დალოცვილმა კუთხემ მსოფლიო ეკლესიას აღუზარდა ისეთი დიდი წმიდანები და მამები, როგორებიც იყვნენ: წმიდა გიორგი, წმიდა ნინო, ბასილი დიდი და მისი ძმა დიდი გრიგოლი. ასევე მრავალი სხვა წმიდანი. ისინი კაბადოკიიდან იყვნენ. კაბადოკია კი ქართულ კოლონიად ითვლებოდა. მათ მიანიჭეს სიმტკიცე მესხეთისა და მთელი საქართველოს ქრისტიანობას.

აქ, ტაო-კლარჯეთის „ქართველთა სამეუფოს“ დარსების შემდეგ მოღვაწეობდნენ წმიდა მამა გრიგოლ ხანძთელი და მისი მოწაფენი, მესხეთიდან ჩასული ბერები ავსებდნენ ათონის ივერთა და პეტრიწონის მონასტრებს. ჰყვაროდა აქ ქართული ქრისტიანობა... ხოლო მესხეთში არსებული თოთხმეტივე საეპისკოპოსო მთელი თავისი მრევლით სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის სამწყსოში შედიოდა.

ოსმალთა მიერ მესხეთის დაპყრობამ XVI საუკუნის შემდეგ, ბოლო მოუღო ქართულ ქრისტიანობას ამ კუთხეში. თურქი დამპყრობლები პირველ რიგში ებრძოდნენ და ანადგურებდნენ ქართველ სამღვდლოებს. სამასი წლის მანძილზე ანგრევდნენ (XVI—XVIII საუკუნეებში) ქართულ კულტურასა და საეკლესიო ცხოვრებას. მტერი მოითხოვდა ქართველ სამღვდლოებს გაეწვიტა კავშირი საქართველოს საკათოლიკოსოსთან. თურქები დევნიდნენ არა ყველა ქრისტიანს, არამედ იმას, ვინც მცხეთის საკათოლიკოსოში შედიოდა. მაგალითად, მესხეთის 14 საეპისკოპოსოდან 1764 წლისათვის დარჩენილი იყო მხოლოდ ერთადერთი, რომლის ეპისკოპოსი გიორგი ჩამოშორდა საქართველოს ეკლესიას და დაუკავშირდა დასავლეთის ქრისტიანობას. მისი სასტიკი დევნა მაშინვე შეწყვიტეს.

მესხებს ნება მიეცათ მიეღოთ ნებისმიერი სარწმუნოება, ოღონდ აუცილებლად უნდა უარყოთ ქართული. მათ კავშირი უნდა გაეწყვიტათ საქართველოს ეკლესიასთან. მართლაც მესხების ძალზე დიდმა ნაწილმა იძულებით მიიღო მაჰმადიანობა. ოსმალებმა ნება მისცეს უცხოეთის სამღვდლოებს შემოსულიყო მესხეთში. ასე განჩნდნენ მონოფიზიტები და კათოლიკენი. ძველ დროს, სამწუხაროდ, ხალხი ერთმანეთისაგან ვერ არჩევდა ერთგულებასა და სარწმუნოებას, ამიტომაც იმ ქართველებს, რომელთაც მაჰმადიანობა მიიღეს — „თატრები“ უწოდეს, იმ ქართველებს, რომელთაც მონოფიზიტობა მიიღეს — „სომხები“, ხოლო იმათ, რომელნიც ევროპულ ქრისტიანულ ცენტრს დაუკავშირდნენ — „ფრანგები“. იმ დროს მთელ ევროპას ოსმალეთში „საფრანგეთს“ უწოდებდნენ. თურქების შემოსევამდე მესხეთში არ ცხოვრობდა ქართველების გარდა არც ერთი სხვა ხალხი. ისინი არც შემდგომ ჩამოსახლებულან მესხეთში, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, „თატრები“ მაჰმადიან ქართველებს უწოდეს; ის ქართველები კი, რომელთაც მაჰმადიანობა არ მიიღეს, მაგრამ არც ქართული ეკლესიის წევრად დარჩნენა შეეძლოთ, ქრისტიანობის შენარჩუნებისათვის იძულებულნი გახდნენ ევროპელი მისიონერების მრევლად ცქეულიყვნენ.

აღნიშნული მდგომარეობის უკეთ დანახვის მიზნით მე მინდა მოგაწოდოთ ამონაწერი შოთა ლომსაძის წიგნიდან „სამცხე-ჯავახეთი“ (გვ. 502). „ქართველ კათოლიკეებში, იმის გამო, რომ ვატიკანში კონგრეგაციის მიერ ქართული ენა არ იყო დამტკიცებული ღვთისმსახურებისათვის მოქმედ ენად, გაბატონდა ლათინური და სომხური... ქართული კათოლიკური ეკლესიებიდან გამოიდევნა ლათინური ენა და ქართველი კათოლიკენი შერჩ-

ნენ სომხურ ენას. ხშირ შემთხვევაში, ქართველ კათოლიკეთა მრევლს სომეხ კათოლიკეთა წარმომადგენლები თუ გასომხებული ქართველები წინამძღვრობდნენ. ასეთი ვითარება ქართველ კათოლიკეთა სრულ დაბნევაზე იწვევდა, რადგანაც მეტყველებდნენ ქართულად, აიძულებდნენ, ელოცათ სომხურად, ადიდებდნენ რომის პაპს და ცხოვრობდნენ თურქული პოლიტიკის ქვეშ. სომხურ-კათოლიკური ეკლესია ხელმძღვანელობდა მათ ჯვრისწერა-მონათვლას. მონათვლისას არქმევდნენ სომეხი კათოლიკე ეპისკოპოსის მიერ რეკომენდებულ სახელებს და, ასე თანდათან, იცვლებოდა მათი ნამდვილი ვინაობა. ხშირად ახალ სახელს ახალი გვარის ხელოვნურად შექმნა და გადაკეთებაც მოსდევდა. შოვინისტი კათოლიკე მოძღვრანი ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ქართველ კათოლიკებს დაევიწყათ მშობლიური ენა, გვარი, წარმომავლობა და ბოლოს, რადგანაც კონგრეგაციას მათ საეკლესიო ენად სომხური ენა ჰქონდა დამტკიცებული, სომხებად გამოეცხადებინათ. სამწუხაროდ, როგორც ზემოთ ვნახეთ, სოფელ ვალეს მაგალითზე, მესხეთის სინამდვილეში ეს ნაწილობრივ კიდევ გაკეთდა. ამას თითქმის აღარაფერი ეშვებოდა, რომ ეს საქმე თვით მესხეთის ქართველ კათოლიკებს არ გადაეჭრათ. ისინი: იოანე ხუცესი, პეტრე ხარისჭირაშვილი, ივანე გვარამაძე, მიხეილ თამარაშვილი და სხვანი გმირული შეპირებით აღუდგნენ ყალბისმქმნელებს და მეცნიერული საბუთიანობით ყველაფერი საამკარაოზე გამოიტანეს“.

დიახ, საუკუნეთა მანძილზე აქაური ქართველი ქრისტიანები ვალდებულნი იყვნენ წირვა-ლოცვისას, ჯვრისწერისა და ნათლობისას ეხმარათ სომხური ენა, ქართული ენა აკრძალული, უხმარი და გამოუყენებელი იყო. ამან გამოიწვია ამ მხარის ეთნიკური სახის შეცვლა. თურქი მოხელეებისა და მათი აგენტების მიერ სასტიკად იღუვენებოდა არა მარტო ქართული, არამედ ყველა პირიც, ვინც გაბედავდა და ქართული ენის გამოყენებას მოითხოვდა.

ქართული ენის დაცვისათვის XVIII საუკუნეში მესხეთიდან განდევნილი იოანე ხუცესი, იძულებული გახდა იმერეთისათვის შეეფარებინა თავი; ასევე, ქართული ენის დაცვისათვის მესხეთიდან გააძევეს პეტრე ხარისჭირაშვილი და უცხოეთში გადახვეწეს. რისი გაკეთების ნება მას თავის სამშობლოში არ მისცეს, უცხოეთში შესაძლო — ქართული მონასტერი დააარსა სტამბოლში. მამა მიქაელ თამარაშვილი, საქართველოდან გაძევებული, ჩაუჯდა რომის არქივებს და დაამტკიცა, რომ მესხეთის კათოლიკენი ეროვნებით ქართველები არიან.

„ირეკლეთ და განგედოთ თქვენ, ეძიებდეთ და ჰპოვოთ“ — ნაბრძანებია წმიდა სახარებაში, თანდათან სრულდება ამ კუთხის საუკუნოვანი ოცნება, იღვიძებს ქართული წირვა-ლოცვა მესხეთში.

აღსრულდა დიდი მამის, პეტრე ხარისჭირაშვილის ოცნება — უღის დღისმშობლის ეკლესიაში დღეიდან წირვა-ლოცვის ენა იქნება არა სხვათა ენა, არამედ ქართული.

თქვენ ხართ ბედნიერი, რადგან თქვენივე მოწადინებითა და მონდომებით შესძელით ის, რისთვისაც თქვენი წინაპრები საუკუნეთა მანძილზე იღუწოდნენ.

გიხაროდეთ, ქართულად მონათლავთ თქვენს ბავშვებს,


გიხაროდეთ, ამ წმიდა ტაძარში ამიერიდან მკვიდრდება ქართული ენა, ქართული გალობა.

შევთხოვ უფალს, უკუნითი უკუნისამდე იყოს თქვენი სიხარული.

აღსრულდა ის, რისთვისაც მთელი სიცოცხლის მანძილზე იბრძოდნენ ამ კუთხის სახელოვანი შვილები. ხელისუფლება მზრუნველობითა და უურადლებით მოკვიდა მრავალგზის სათხოვარს; თქვენი სარწმუნოებრივი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულია.

დიდი ილია ჭავჭავაძე იმდროინდელი ქართველობის შესახებ წერდა: დაეიშაღენით გავითიშენით, დავცალცალკევდით იმერლებად, მესხებად, ქართლებად, მეგრელებად, კახელებად... მხოლოდ ჩვენი კუთხენი გვახსოვს. ერთიანი ერი კი გადაგვავიწყდაო. ასეთ დაყოფას სარწმუნოებრივი სისუსტეც იწვევს, რადგანაც ეშმაკი ძლიერია მცირე სარწმუნოების მქონე ადამიანთან. ღმერთი შეაერთებს, ეშმაკი კი განყოფს. ღმერთის ნებაა გაერთიანება მესხეთის ქრისტიანებისა მთელ ქართველ ქრისტიანებთან, ეშმაკის სურვილია განაცალკეოს მესხეთის ქრისტიანები საქართველოსაგან, მაგრამ სუსტდება იგი. ერთიანია ჩვენი ერი, ერთიანია ჩვენი ეკლესია. წმიდა ანდრიას მიერ დაარსებული ქართული სამოციქულო ეკლესია საქართველოს ყველა კუთხის ქრისტიანებს ემსახურება და მწყსავს I საუკუნიდან დღემდე. თანდათან აღსდგება ერთიანობა ქართული ეკლესიისა, ამიტომაც დღევანდელი სიხარულის — ამ ეკლესიის კურთხევის დიდებულ დღეს, მე ვლოცავ მესხეთსა და მთელ საქართველოს, გლოცავთ თქვენ, თქვენს ოჯახებს, შევთხოვ უფალ ღმერთს თქვენს გამრავლებას.



სიხარული, სიძლიერე და მშვიდობა მოგანიჭოთ უფალმა, მრავალ სიხარულს დაესწარით, ამინ.





სიონი. ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაული

ბ ა მ ო ს ა ო ს ო ვ ა რ ი



აკადემიკოსი
აკაკი
შანიძე

ქართული ენათმეცნიერების პატრიარქისა და დიდი ფილოლოგის, ჩვენი „დედაენის დედაბოძის“ — აკაკი გაბრიელის ძე შანიძის (1887—1987) ცხოვრება და მოქალაქეობა, — მეცნიერული სინდისი, ნაღვაწ-ნაამაგარი, „აკატა ბუნებას აღმატებული“ შრომა და რუდუნება ერისა და ქვეყნის გონებრივი წარმატებისათვის — თავად დადადებს: **ღვაწლი კეთილი მომიღვაწებოეს, სრბაა აღმისრულებოეს, სარწმუნოება დამიმარხავს. ამიერთგან მომელის მე სიმართლისა იგი გვირგვინი, რომელი მომცეს მე უფალმან (2 ტომ. 4, 7—8).**

აკადემიკოსმა აკაკი შანიძემ საქმით აღასრულა საღმრთო ვალი...

იგი დაიბადა ახი წლის წინათ, 26 თებერვალს, საჯავახოში, სოფ. ნოღაში (ოზურგეთის მაზრა), კეთილმორწმუნე მედავითნის ოჯახში, მხოლოდ სიკეთეს, სათნობას, მოყვანისა და ერის სამსახურს რომ შთააგონებდა შთამომავლობას. დედ-მამამ: გაბრიელმა და ეფემიამ, მათთან ერთად, — პირველმა მოძღვარმა და მასწავლებელმა მღვდელმა ვლადიმერ კანდელაკმა იმთავითვე შთაუნიერგეს ემაწვილის გულს სწავლის ხალისი და სასულიერო მწერლობის სიყვარული.

ამაგარი აკადემიკოსი თურმე ხშირად საუბრობდა ამოდმოსაგონარ ფაქტზე: ერთხელ მამამისი გადაუღებუ-

ლი საქმის გამო ვერ წასულა ეკლესიაში წირვაზე და მედავითნედ 13 წლის აკაკი გაუგზავნია. მღვდელ ეგნატეჯაშს დაუხედავს ბავშვისათვის და არ მოსწონებია: ეს აბარას მაწირვინებსო. შეწუხებულ და დარცხვენოდ ბიჭს მნათე სიმონ გოგავა წაშველებია და უთქვამს: მღვდელი, რა გაწუხებს, წიგნს ეს ბიჭი წაგიკითხავს, გალობას მე გეტყვი და წირვას გამოვიყვანთო. ასეც მომხდარა: წირვას კარგად ჩაუვლია და ბავშვი კმაყოფილი და გახარებული დაბრუნებულა შინ.

ფსალმუნთგალობასა და მღვდელმსახურების მადლს მოზარდის არსება ყოველივე კეთილისა და უმჯობესისაკენ წარუმართავს და აღმქმელ ვულში სიყრმითვანვე ლხენად ჩაუღვრია ჟამისწირვის ქართული სიტყვის ტკბილზმობანება. ნათელდებულის, „ქრისტეს სახელით შემკული და კურთხეული“ ქართული ენა მისი ტრფობის საგნად ქცეულა და ამ ტრფობას განათლებისა და მეცნიერების მწვერვალებთან მისაახლებელ გზაზე მდგომი ჭაბუკისათვის შემდეგი ჭეშმარიტება განუცხადებია: ყოველი ენა მსოფლმხედველობაა. მასში ვლინდება ხალხის გონი, ერის სული, კულტურა, მოლაპარაკე კოლექტივის მიერ დანახული, შეცნობილი და განცდილი სამყარო.

„ენამაქციადამიიანიადამიანად“, ხალხი—ხალხად, ტომი—ტომად, ერი-ერად და როგორც სარკემ, თავისებურად

არეკლა მათი თავგადასავალი. ამიტომაც, ამა თუ იმ ენის შესწავლა, წიადსვლები, დაფარულ შრეთა მიგნება, მისი ზემოქმედი ძალისა და სიტყვის მაგიის — სულიერი და შინაარსობრივი არსის — განცდა გამოავლენს შესაბამისი ხალხის გონებრივ დოვლათს, გარდასულ დღეთა კულტურულ მემკვიდრეობას და, რა თქმა უნდა, ისტორიას ფართო გაგებით.

ეს თავისთავად სადი რწმენა და თვალსაზრისი ჩვენი დედაენის მაგალითზე მეცნიერების ნათლით შემოსა, განამტკიცა და დადასტურა პეტერბურგის უნივერსიტეტის ქართველოლოგიურმა სკოლამ, აღექსნადრე ცვაბარეული, ნიკო მარი და ივანე ჯავახიშვილი რომ წინამძღვრობდნენ იმხანად. მშობელი ერისა და ცკლესიის წინაშე ამ ვალმოხდილმა მეცნიერებმა შთაუწერეს მათი სტუდენტის — აკაკი შანიძის — მკვირცხლ გონებას სურვილი იმ საუნჯის შემოკრებისა, რასაც ქართლოსიანთა ენა ფლობს მარგალიტების სალაროს დარად, და „ტივილითმოყვარე“ შეგირდიც, ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობის შემდეგ, დაეუფლა სხვადასხვა ენას: შეაღწია ბერძნულს, ლათინურს, არაბულს, სპარსულს, თურქულს, სომხურს, გერმანულს, ფრანგულს, ინგლისურს, ალბანურს, ქართველური თუ ჩრდილო კავკასიური ენების სტრუქტურის დახლართულ ლაბირინთში, იხეიმა გამარჯვება და ამრიგად დაუმეობრდა მრავალ ხალხს და მოღვაძეს, ეხიარა მათ სულიერ მონაპოვარს, ზნეობრივ-მორალურსა და ინტელექტუალურ წარმატებას.

აქადემიკოს აკაკი შანიძის მეცნიერული ინტერესი იმთავითვე მშობელი ხალხის ენობრივმა სამყარომ მიიქცია და მაღალი პროფესიონალიზმით აღჭურვილმა მკვლევარმა თითქმის ფეხით შემოიარა სრულიად საქართველო — მთაცა და ბარიც, რომ შეეკრიბა და შეესწავლა ქართველური ენების: ქართულის, კოლხურის (მეგრულ-ჭანურის) და სვანურის დიალექტთა თუ თქმათა უმდიდრესი ფონდი, რომელშიც ჩამარხულია ჩვენი ხალხის სული და გული, რელიგიური შემეცნება და პოეტური აღმაფრენა, ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური სამყარო.

ქართული და ქართველური ლექსიკა, დამუშავებული ბ-ნ აკაკის მიერ, ცხადყოფს, თუ რაოდენ დაგანებულია ქრისტიანული რჯული ჩვენს წინაპართა ყოფაში, რაოდენ გაუთავისებია მიუვალ მთებსა და უღელტეხილებს შორის ბინადარ ხალხს ჯვარცმულის რწმენა და მარტიროლოგია — წმინდანთხსენება, რა თავისებური სახე მიუღია სახარებისეულ მოძღვრებას საქართველოს მთიანეთში თუშ-ფშავ-ხევსურთა, მთიულთა თუ სვანთა დედა ცკლესიისაგან იერარქიულად რამდენადმე ჩამოშორების შემდეგ, რა თქმა უნდა, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის უამს (XIII—XVIII სს.). დღეისათვის, აკაკი შანიძის მეცნიერული მემკვიდრეობის თანახმად, უდავოა, რომ გრამატიკულ-ლექსიკოლოგიური მონაცემების გარეშე ქართული ეთნოგრაფიისა და ფოლკლორისტიკის ვერც ერთი პრობლემა სათანადო სიღრმით ვერ დამუშავდება. აქადემიკოს აკაკი შანიძის ეტიმოლოგიური წიადსვლები აღმსტურებენ, რომ ბევრჯერ საფუძველმოკლებულია ცდები ქართველურ ტომთა საკულტო-რელიგიურ ტრადიციებში

წინაქრისტიანული რჯულის — წარმართობის — „აღმონენისა“. ამგვარ „აღმონენებსა“ თუ ვარაუდებს ხშირ შემთხვევაში აქარწყლებს ენათმეცნიერება, — მეთოდოლოგიურად გამართლებული გზებისა და საშუალებების მომარჯვებით ქართულ-ქართველური საკულტო-ეთნოგრაფიული ტერმინების პირვანდელი სტრუქტურისა და მნიშვნელობის დადგენა. ბ-ნი აკაკის შესაბამისი გამოკვლევების შემდეგ, ვფიქრობთ, შეუძლებელია, ძებნა და ვუწყვთ წარმართობის, — გნებათ, ბუნებითი რელიგიის, თითქოს „ნაციონალური კულტის“, — კვალს ისეთ სიტყვებში, როგორცაა: სვანური „ჯგრაგ“ და „ლაგურკა“, მეგრული „ჯაკონია“, ქართ. „ერთაწმიდა“, „კრიალოსანი“ და სხვა, ვინაიდან (აკ. შანიძის დაკვირვებებისა თანახმად): „ჯგრაგ-ი“ და მეგრ. „ჯგგვე“ წარმოადგენენ არა „იფუტილთა წარმართულ საკულტო ტერმინს“, კერძოდ, „წმიდა მუხას“, მუხნარს“ (ნ. მარი), არამედ — კანონზომიერ ფონეტიკურ ბგერათშესატყვისს ქართული სინტაქსისა „წმიდა გიორგი“, რომელმაც მეგრულში მოგვცა „ჯგირი გივარგი“ („ჯგირავი“, ჯგგვე), ხოლო სვანურში — „ჯგრაგ-ი“; „ლაგურკა“ ეტიმოლოგიურად უკავშირდება „წმიდა კვირიკეს“ (ლა-ადგილის მაწარმოებელი პრეფიქსა, „-გურკა“ კი ქართ. „კვირიკეს“, „კვირიკეს“ ბადალი); „ჯაკონია“, რომელიც ნიშნავს გვარსაც და კერძადაც, წარმოადგება ბერძნული ძირისაგან „დიაკონია“ ანუ — „დიაკონოს“ (მსახურება, მსახური); „ერთაწმიდის“ (ცკლესიისა და სოფლის სახელი კასპის რაიონში) ეტიმოლოგიური საფუძველია „ეკესატე წმიდა“ და ნაწარმოებთა როგორც „ნიკორწმიდა“, „გიორგწმიდა“, „მიქელწმიდა“ და სხვა; „კრიალოსანი“ შეკუმშული სახეა ბერძნული ლოცვისა „კირიე ელესონ“...

„რამთურთით არა სცემდა განსუენებასა თავსა თვისსა, არამედ დღე და ღამე ტკბილსა მას თაფლსა წიგნთა სადმართოსათა შურებოდა, რომლისა მიერ დაატკობ ენაჲ ჩუენი“ — კვითხულობთ დიდი მთარგმნელის, ღვისმეტყველისა და ფილოლოგის ექვთიმე მთაწმიდელის „ცხოვრებაში“ და, საბედნიეროდ, ამ ფაქტის განზოგადება ხელგვეწიფება. ჩვენი წინაპრები — „სიტყვისმოქმედნი“ და მოქართულენი — დღითიდღე, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე, ორიგინალური თუ მთარგმნელობითი შემოქმედების კვალდაკვალ, ამიდრებდნენ მშობლიურ ენას. ხოლო ასრერიგად გამშვენებული ლიტერატურული ძეგლების მოძიება და მეცნიერულ დონეზე გამოცემა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო ქართული კულტურის ტემპარტი ტაძრისა-უნივერსიტეტისა, რომლის დამარსებელთაგანი და პირველი დოქტორი თავად გახლდათ აკაკი შანიძე. მან ამაგი დასდო ჩვენს ეროვნულ სიმველეთსაცავებს სხვადასხვა ხელნაწერის აღმონენითა და რეგისტრაციით. საგანგებო აღნიშვნის ღირსია ქრისტიანულ აღმოსავლეთში X—XI სს-მდე ვაგრცელებული ძეგლის—ჰომილეტიკურ-ავიოგრაფიული კრებულის — ერთერთი ვარიანტის — „უდაბნოს მრავალთავის“ (IX ს.) მიკვლევა აკაკი შანიძის მიერ. ეტრატის ეს უნიკალური ნუსხა დღეს ალაბაზებს ყოფილი საეკლესიო მუზეუმის ფონდს და ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში (A-1109).

ქართული სიტყვის ამ მესაიდუმლეს შგნებული

ჰქონდა ფილოლოგიური კვლევა-ძიების დიდი ეროვნული მისია, — შესწავლა და დაფასება გარდასულ დღეთა მადლიანი ფურცლებისა, წინაპრებთან ზნეობრივი კავშირის განმტკიცებას რომ ისახავს უმთავრეს მიზნად ოდითგანვე; გამდიდრება და გამრავალფეროვნება დედაენის გამომსახველობითი შესაძლებლობისა და ამ გზით ეროვნული სხეულის გაჯანსაღება.

სამოდებო ასპარეზზე გამოსვლისთანავე აკად. აკ. შანიძემ გააჩნდა ტექსტოლოგიურ-ფილოლოგიური საქმიანობა, კერძოდ, ქართული წერილობითი ძეგლების გამოცემა, და სასულიერო მწერლობის თითქმის ყველა დარგში საპატიო სიტყვა თქვა. იგი ღირსეულ მემკვიდრედ მოგვევლინა თავისი მასწავლებლის-აკადემიკოს ნიკო მარისა, ამ გასაოცარი ნიჭისა და ენერჯის მეცნიერისა, რომელმაც დაამკვიდრა ძველი ქართული ენის ნიმუშთა აკადემიური გამოცემის პრინციპები. ამავე პრინციპების დაცვით მ-მა აკაემი წაიკითხა, გადმოწერა, გამართა; ლინგვისტურად დაამუშავა, ისტორიულ-ფილოლოგიური თვალსაზრისით შეისწავლა და გამოაქვეყნა ძველი ქართული მწერლობის მრავალი პირველხარისხოვანი და უძველესი ძეგლი, ეპიგრაფიკული თუ პალეოგრაფიული, ე. ი. წერილობითი დოკუმენტები, რომელთაგან ზოგი ქვევსა და ლითონზეა გამოკვეთილი, ზოგი კი შესრულებულია პალიმფსესტებსა და ჭილზე. მათგან მხოლოდ რამდენიმეს დავასახელებთ: „ხანმეტი ლექციონარი“ ანუ ბიბლიური საკითხავების კრებული VII საუკუნისა. „ხანმეტი მრავალთავი“ (VII—VIII სს.), იერემიას წინასწარმეტყველების“ ნაწყვეტი (V—VI სს.) რომელიც კ. კემბრიჯშია დაცული; „თომას სახარების“ ქართული ვერსიის ნაწყვეტი (XI ს.); სინური მრავალთავი 864 წლისა ლერტის იადგარი (X ს.). „პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი“ (XII ს.); „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვის“ (1188 წ.) და სხვა მრავალი ხელნაწერი, რომლის ფურცლებზე დაცულია უნიკალური ტექსტები საღმრთო წერილის ქართული თარგმანისა, ლიტურგიკული პრაქტიკისა თუ აგიოგრაფია-ჰიმნოგრაფიისა.

ფასდაუდებელია აკად. შანიძის დედალი ბიბლიის ქართული თარგმანის ისტორიის განხრით, ხელნაწერთა რედაქციებად დაჯგუფებისა და ტექსტის შეცდომებისაგან გაცხრილვის თვალსაზრისით. ანტონ კათოლიკოსის სალიტერატურო ენისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში იგი საყურადღებო მოგონებას გვთავაზობს: სტუმრების დროს მომავალი აკადემიკოსი თბილისში სტუმრად სწევია მომავალ კათოლიკოს კალისტრატე ცინცაძეს, რომელიც, აკ. შანიძისავე ცნობით, რედაქტორი ყოფილა „ბრიტანული და უცხო ქვეყნის ბიბლიური საზოგადოების“ მიერ 1912 წელს განხორციელებული გამოცემისა — „ახალი აღთქმა“. მათ მსჯელობა ჰქონიათ სხვადასხვა „საღმრთო წიგნის“ სტამბურ ვარიანტებში გაპარული შეცდომების სიმრავლეზე და დღის წესრიგში დაუყენებიათ ბიბლიის ძველი ნუსხების კრიტიკულად შესწავლისა და გამოქვეყნების იდეა. ამ საშვილიშვილო საქმის სრულყოფის მიზნით აკადემიკოსს შემდგომისამებრ უმართავდა ხელს საქართველოს მამამთავარიც: მას „ახალი

აღთქმის“ ძველ რედაქციებზე მომუშავე მეცნიერისთვის 1934 წელს გადაუცია პერგამენტის სამი პალიმფსესტური ფურცელი, რომელიც ეპ. აღექის (გერსამიას) მიუკვლევი სვანეთში 1917 წელს, დადუშქელიანთ სასახლის განადგურებისას, და რომელშიც წარმოდგენილი ყოფილა ლუკას სახარების მონაკვეთი (14, 34—16, 29), კ-პ კალისტრატეს დაკვირვებით, — გიორგი მთაწმიდლის თარგმანისაგან რამდენადმე განსხვავებული ტექსტი.

უდიდეს მნიშვნელობის ფაქტად უნდა ჩაითვალოს ქართული ოთხთავის ორი ძველი — წინათონური პერიოდის — რედაქციის გამოცემა სამი შატბერდული ხელნაწერის ანუ აღიშის (897 წ.), ჯრუჭის (936 წ.) და პარხლის (979 წ.) ნუსხადა მიხედვით (თბ., 1945). ეს ნუსხები მკვლევარმა ორ რედაქციად დააჯგუფა. პირველს გულისხმობს (უმთავრესად) აღიშის ხელნაწერი, მეორეს კი ჯრუჭ-პარხლისა, რომელსაც პირობითად ოპიზური ეწოდა. სწორედ ამ უკანასკნელს შეუსრულებია „ქართული პროტოვულგატის“ როლი, ვინაიდან X საუკუნემდელი ნუსხები სახარებისა ძირითადად ოპიზურ ვარიანტს მიჰყვებიან. X—XI სს-ის ათონელი მთარგმნელები თურმე კარგად ამჩნევდნენ რედაქციულ სხვაობებს სახარების ძველ ხელნაწერებს შორის. ამას ადასტურებს გიორგი მთაწმიდლის ანდერძი: „ჩუენნი ყოველნი სახარებანი პირველითგან წმიდად თარგმნილია და კეთილად, ხანმეტნიცა და საბაწმიდურნიცა“, რაც ცხადყოფს, რომ გიორგი მთაწმიდელს ხელი მიუწვდებოდა ქართული ოთხთავის ორ უძველეს რედაქციაზე: ხანმეტურზე და საბაწმიდურზე. აკ. შანიძემ გაარკვია, რომ ამ რედაქციათაგან პირველი გულისხმობს სახარების იმ ნუსხებს, რომელთათვის დამახასიათებელია „ხ“ პრეფიქსის ხმარება მეორე სუბიექტური და მესამე ობიექტური პირების გამოსახატავად. აგრეთვე — ზედსართავის აღმატებითი ხარისხის საწარმოებლად. ე. წ. „ხანმეტობა“ VIII ს-ში „ჰემეტობამ“ შეცვალა და, შესაძლებელია, ხსენებული წმიდა მამა „საბაწმიდური“ რედაქციის ქვეშ სწორედ „ჰემეტურ“ ტექსტებს გულისხმობდა. ვინაიდან ქართული ოთხთავის ძველი თარგმანები X—XI სს-ის საქართველოს ეკლესიის პრაქტიკასა და მეცნიერულ დონეს აღარ შეესაბამებოდა, ჩვენმა დიდმა წინაპრებმა — ექვთიმე და გიორგი მთაწმიდელებმა — მათ ხელთ მყოფი ნუსხები შეაწამეს სახარების ბერძნულ ტექსტს. ასე წარმოიქმნა ქართული ოთხთავის კვლავ ორი რედაქცია, რომელთაგან პირველის შემოქმედად ექვთიმე მთაწმიდელს ვარაუდობენ. მეორე კი უდავოდ გიორგი მთაწმიდლის შრომა-რუდუნების ნაყოფია. უკანასკნელმა საყოველთაო აღიარება მოიპოვა და ქართულ ეკლესიაში სახარების რამდენიმე თარგმანთაგან კანონიკურ ვარიანტად მიიჩნიეს. სწორედ ეს რედაქცია დაედო საფუძვლად 1963 წელს კათოლიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ლცვა-კურთხევით განხორციელებულ გამოცემას, რომლის ტექსტი კვლავ აკად. აკ. შანიძის ხელმძღვანელობით მოუმზადებიათ.

აკად. აკაკი შანიძემ სათავე დაუდო ძველი აღთქმის ტექსტის, — კერძოდ, ოშკის ანუ ათონის (978 წ.) ნუსხის — მეცნიერულ გამოცემასაც: 1947—1948 წწ-ში დაისტამბა (ორ ნაკვეთად) რამდენიმე ბიბლიური წიგნი,

ესაიას წინასწარმეტყველებამდე. მართალია, ამ დიდ-მნიშვნელოვანი წამოწყების ბოლომდე მიყვანა იმხანად შეუძლებელი გახდა, მაგრამ ბ-ნი აკაკის ღვაწლის წყალობით ქართული ბიბლიოლოგიის უბანი გადრმავებული კვლევებით აღინიშნა: აკაკი შანიძის მოწაფეთა მიერ დამუშავდა და გამოსაცემად მომზადდა ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა სხვადასხვა რედაქციები, ფსალმუნნი, იეზეკიელთა, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაცია, საქმე მოციქულთა, კათოლიკე ეპისტოლეები, პავლენი, აპოკალიფსი და სხვა; გაირკვა შესაბამისი ტექსტების ისტორიის კარდინალური საკითხები და დადასტურდა, რომ ჩვენი წინაპრები, შთავონებულნი ეკლესიური ტრადიციების ძიებით, დროდადრო, სხვადასხვა ისტორიულ-პოლიტიკური პირობებისა და კულტურული გარემოს შესაბამისად, რედაქციულად ამუშავებდნენ ბიბლიის ქართულ თარგმანს. მათი მიზანი ნათელი იყო, მაქსიმალურად დაეახლოვებინათ საღმრთო წერილის ქართული ვერსია კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის მიერ ვულგატად მიჩნეული ტექსტისათვის.

ამ მიმართულებით მეცნიერული ძიებანი დღესაც გრძელდება, — ხ ე მ ა ნ კ ე თ ი ლ მ ა ნ ნ ა ყ ო ფ ი კ ე თ ი ლ ი გ ა მ ო ი ღ ო (მათე 7, 17).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ძველი ქართული ენის კათედრა, დაარსებული ბ-ნ აკაკი შანიძის მიერ, და ამავე უნივერსიტეტის ტექსტოლოგიური ლაბო-

რატორია „ორიონი“ — ხელმძღვანელი მხეკელა აკაკის ასული შანიძე — მოღვაწეობის უმთავრეს მიზნად ისახავენ საღვთისმეტყველო-ქრისტიანული მწერლობის სხვადასხვა ფუნდამენტური თხზულების ძველი თარგმანების დედან-ორიგინალთან შედარებასა და კრიტიკულად შესწავლილ-დადგენილი ტექსტების გამოცემას სათანადო მეცნიერული აპარატის თანხლებით. სწორედ ბატონი აკაკის უმდიდრესი ფილოლოგიური და ენათმეცნიერული მემკვიდრეობის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ დღეისათვის საქართველოს საპატრიარქოში, კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის ლოცვა-კურთხევით, მიმდინარეობს მუშაობა ბიბლიის ძველი ტექსტის გამოცემისა და ახალი თარგმანის მომზადების განხორციელებით.

ბ-ნი აკაკი საგანგებო წერილით მიესალმა ჟურნალ „ჯვარი ვახისას“ დაარსებას (1978 წ.) და გამოთქვა იმედი, რომ ხსენებული ბეჭდვითი სიტყვა საპატრიარქო ადგილს დაუთმობდა სასულიერო მწერლობისა და ძველი ქართულის, როგორც საღვთისმსახურო-ლიტურგიკული ენის, სხვადასხვა საკითხის გაშუქებას. ღირსეული აკადემიკოსის ავტორიტეტი და „საქმენი პირმეტყველი“ თავად იყო ზღუდე და გოდოლი საეკლესიო გამომცემლობის წინაშე, მის მიერ გაკვალული გზა გვესახებოდა და გვესახება „თავსაკიდურ ლოდად“ თეოლოგიური მეცნიერების მრავალ დარგში..



სიონი. ზეთისცხება ღვთისმშობლის პარაკლისის შემდეგ. თამარ ლაზარიშვილი.

თამარ ლაზარიშვილი

წმიდა მოციქული და მახარებელი ლუკა გვიამბობს (2, 27—38), რომ სვიმეონ მართლის მიერ უფლისა და მაცხოვრის სანატრელი მირქმა იხილა და განიცადა ღვთის სათნო მოხუცმა ანამ, რომელი არა განეშორებოდა ტაძრისა მისგან მარხვითა და ვედრებითა და მსახურებითა დამე და დღე.

ანა წინასწარმეტყველის მაღლი ჭეშმარიტად ასხივონებდა ქვაშვეთის წმიდა გიორგის სამრევლო საბჭოს თავმჯდომარის — თამარ ანტონის ასული ლაზარიშვილის (1916—1987) — პიროვნებას, მისი ცხოვრება და მოქალაქობა, სულიერი და ზნეობრივი არსება განუხრელად — სიყრმიოვან უკანასკნელ ამოსუნთქვამდე — დაკავშირებული იყო ეკლესიასთან და იმ ოჯახთან, ღვთის სადიდებელ ლამპარს რომ ემსახურებოდა სიტყვით და საქმით.


ქალბატონი თამარი გაიზარდა და აღიზარდა ქვაშვეთის ტაძრის ეზო-გალავანში, სადაც ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჩვენი დიდი მოძღვარი და მასწავლებელი — კათოლიკოსი კალისტრატე ცინცაძე, თანამოსაზრესა და სულიერ ძმასთან, განსვენებულის პაპასთან, — დეკანოზ (1943 წლიდან — ეპისკოპოს) დიმიტრი ლაზარიშვილთან ერთად — მეზობლად. ამ ორი „სარწმუნო წინამ-

ძღვრის“ „მარილითა მადლისაჲთა“ შეზავებული წირვა და ღოცვა იმთავითვე რწმუნასა და სიყვარულს შთააგონებდა გულისხმიერ გოგონას, ხილული და უხილავი საცთურის წინაშე განამტკიცებდა და უშურველად მიმადლებდა სულიერ საგზაოს... წინაპართა ნათელმაც არსებითად დაივანა აღმქმელსა და მორწმუნე გულში, თუმცა თანატოლთაგან ბევრი იმხანად „გარემოების საყვირმა“ აიყოლია. ქ-ნმა თამარმა ეკლესიას განუსაკუთრა თავი. თბილისის საცდელ-საჩვენებელი სკოლისა და საფინანსო-ეკონომიური ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ იგი ტაძრის ოცეულს დაუკავშირდა და 1957 წლიდან გარდაცვალებამდე ემსახურებოდა ქვაშვეთის სამრევლო საბჭოს, როგორც აღმასრულებელი ორგანოს თავმჯდომარე. თამარ ლაზარიშვილის მოღვაწეობის მიზანი იყო ხსენებული ტაძრისა და მრევლის სულიერ-რელიგიური ცხოვრების ორგანიზებულად წარმართვა, რათა მორწმუნეების სული და გული ეკლესიის ზღუდეთა შიგან დაუბროვლებლივ მიახლებოდა განმაცხოვრებელ წყაროს, სანთელ-საქმეველს, ჯვარხატებსა თუ წმიდა საყდრის „საკიდურ ღოდებს“ რომ მიმადლებია მოუკლებლად. განსვენებული 30 წლის მანძილზე ესწრაფვოდა ამ ღვთიურ მიზნის სრულყოფას. მისი ინიციატივითა და თანადგომით ქვაშვეთის ტაძრის შენობა, სატფურებული 1910

წელს, ორჯერ განახლდა და გამშვენდა: გამოიცივალა სახურავი, მოოქროვდა გუმბათის ჯვარი, ეკლესიის ირგვლივ დაიგო ქვაფენილი (ბაზალტის ფილა) და გამოიცივალა კიბის მოაჯირი. ქ-ნი თამარისა და მისდამი რწმუნებული სამმართველოს წევრთაგან ზოგიერთის შეწირულებათა საფუძველზე რესტავირებულ იქნა ძველი ხატები და ლაღო გუდიაშვილის მხატვრობა. ტაძრის სალაროს წინაშე პატიოსნებით მსახურებამ სასურველი ნაყოფი გამოიღო; დღემდე ქვაშვეთი ერთ-ერთ ყველაზე შეძლებულ და წელგამართულ სამრევლოდ ითვლება. თუმცა ქ-ნ თამარს შეგნებული ჰქონდა, რომ „სიმდიდრე არა საშვეებლად თვისისა თავისა, არამედ განსაგებლად სხვათა მოცემულ არს“ (ბასილი დიდი) და ქვაშვეთის მრევლის თავკაცმაც „განაბნია და მისცა იგი გლაზახათა და სიმართლე მისი ჰგიეს უკუნისამდე (ფს. III,9): ეს ეკლესია ყოველთვის უმართავდა ხელს ახალნერგ, ანდა ახალ სამრევლოებს; წვლილი შეჰქონდა მშვიდობის, ძეგლთა დაცვისა თუ სტიქიისაგან დაზარალებულთა ფონდებში.

ქალბატონმა თამარმა სამუდამო განსასვენებელს ამა წლის 27 სექტემბერს მიაშურა.

მსუბუქი იყოს მისთვის საქართველოს ღვთივეკურთხეული მიწა!



ალავერდის საკათედრო ტაძარი. XI ს.



გზა მთაწმიდაზე ავიდა

არსებობს ერთი სურათი... დიდ აკაკის მუხლებზე ატარა გოგონა უხის. ეს ვერიკო ანჯაფარიძეა. არსებობს მოგონებაც... აკაკიმ გოგონა ხელში აიყვანა, ზევით ასწია და უთხრა: შენ უნდა ასახელო ჩვენი სამშობლო. ეს კარგად დაიხსოვ!

XXX

სამშობლო მარტო მიწა როდია. სამშობლო ის ადამიანიცაა, ვინც თავისი ღვაწლით და შემოქმედებით განადიდებს და უკვდავყოფს თავის ერს. ერთი ასეთი ადამიანი ჩვენი ვერიკო ანჯაფარიძეა. სამოცდაათი წელი იწვოდა იგი ქართულ სცენაზე. სამოცდაათი წელი მანძილზე გვავრძობინებდა ადამიანური შესაძლებლობის უმაღლეს სიმშვენიერეს, სულის სილამაზეს, ცხოველყოფილებას სულისას... და აღარ არის. ო, საოცრებებ! არასოდეს დავრდომილი და დაღლილი არ გვინახავს. მხოლოდ ზოგჯერ თუ იტვოდა, მივიღივარ, უკვე მივიღივარო. სახეზე კი ოდნავი სინანულის ჩრდილსაც ვერ შეამჩნევდით. უკანასკნელად, ახალი წელი დიდი ილიას სიტყვებით რომ მოვილოცა, სიბერე არ ვარგა; სიბერე ყველა სენზე უარესი სენიაო, გვითხრა და ური დალოცა; მარადი ახალგაზრდობა და ძალმოსილება უსურვა. სმაგდა სიბერე არც იყო მოხუცი. თითქოს არც მთვარის და არც მზის სათვალავს არ ემორჩილებოდა ის ოთხმოცდაცხრა წელი, მხრებზე რომ აწვა, ახალგაზრდა იყო სულითაც, შთაგონებითაც. და შემოქმედი, რომელიც მუდამ სუფევდა მასთან, ბოლო წუთამდე არ მოსცილებია. სულ დღენახევარი სუნთქავდა უსიტყვოდ. შემდეგ კი, მისი ბოლოქარი ხასიათისთვის უჩვეულოდ, მშვიდად წავიდა. წავიდა, როგორც ის ხეები, თავდავიწყებით თვითონ რომ შეგვაყვარა, სასწაულად რომ აქცია.

წერდა, მუშაობდა... დაწერდა ერთ მოგონებას, დაკეცავდა და დაღებდა. ბოლო წუთშიც საწერ მაგიდას უჯდა. უკვე დაღლილი, მაგრამ არა მოტეხილი, არა მოხუცებული, არა დავრდომილი. გატაცებით უყვარდა თავის უმდიდრეს, ლამაზ წარსულზე თხრობა. როგორ ბრწყინავდნენ ამ დროს მისი გასაოცარი თვალები. ჰყვებოდა სიცილით, სევდით, სახოვნად. ყველაფერი გუშინდელ დღესავით ახსოვდა. ხშირად ვთხოვდი და, ადრე ვერ იცლიდა მოგონებათა წიგნისათვის. ოღონდ დაწერეთ და მე სულ თქვენთან ვიქნები, მოგეხმარებით შეთქი, ვეუბნებოდი. დავითანხმე. დავიწყეთ კიდევ მუშაობა. იგი ყვებოდა, მე კი ხან კალმით, ხანაც მაგნიტოფონზე ვიწერდი. მაგრამ ბოლოს არაო. შენ ვერ მომეხმარები. ეს წიგნი მე თვითონ უნდა დავეწერო, მაგრამ რა ვქნა; რომ არ მცალიონო, თქვა. მაინც დაიწყო. და მართლაც, იმავე, მის გულში

განძიდ შენახულ, სანატრელ ამბებზე, მე რომ ვიწერდი და გასაოცარი სიმდიდრე შეგონა, უდიდესი განსხვავებით და მომხიბვლელობით, სტრიქონსა და სტრიქონს შუა უთქმელად ჩატეული სიტყვით, ისეთი სიბრძნითა და ნიჭიერებით ჰყვებოდა, რომ ჩემი ჩანაწერები უფერული გამოჩნდა (მაინც მიყვარს ისინი. მაინც ძვირფას რელიქვიად შევიინახავ). სულ სხვა იყო, როცა თითონ მარტო უჯდა მაგიდას და წერდა. რა დასანანია, რომ ვერ დაამთავრა ეს წიგნი. მაგრამ იგი ალბათ, მაინც გამოვა. თუმცა ნაკლებად, მაგრამ მაინც.

მოულოდნელი შთაგონებებით სავსე იყო ბოლო დროსაც. განა სულ ახლა, რამდენჯერმე კვლავ არ გვავრძობინა თავისი სულის კიდევ ახალი გამონათება? ნანა ჯანელიძის ფილმში ვერიკო სწორედ ისეთია, როგორსაც სულ ბოლოს, ცხოვრებაში ვხედავდით — მშვენიერი, მხოლოდ მშვენიერი... რომელიც გვილიმის, გვხიბლავს. იგი ცეკვავს ამ ფილმში, ცეკვავს განუმეორებლად, მხოლოდ ვერიკოსნაირად, მდერის. სამუდამოდ გვრჩება ხსოვნაში მისი უკანასკნელი სიტყვები, რომლითაც ფილმი მთავრდება:

„Я буду петь о солнце предсмертный час“.

ხოლო „ასი წლის შემდეგ“... სცენაზე იდგა ოთარაანთ ქვრივი. თითქმის უძრავად იდგა იგი სცენაზე და მაინც კვლავ გიზგიზებდა სცენა.

სულ ბოლოსაც... სპექტაკლ „გვირილაში“ უსიტყვო როლითაც ხელოვნების ზეიმში გვარწმუნებდა.

— მე უნდა ვიმუშაო. ვიდრე ვცოცხლობ, უნდა ვიმუშაო. თეატრი ჩემი სიცოცხლეაო, ამბობდა და კვლავაც იდგა სცენაზე... აღარ იმ ცეცხლით, აღ რ იმ ლირიზმით, აღარც იმ ტრაგიკული განწირულებით, მაგრამ მშვენიერი, კეთილშობილი, მდიდარი, კვლავ დედოფლური, კვლავ ერთადერთი. იდგა თალხი კაბით, შვილმკვდარი დედის ტკივილით. მისი ცხოვრების შთაგონებულ მთელ ჰარმონიას ეს ერთადერთი ტკივილი იყო, რომ არღვევდა. მუდამ რამაზის საფლავისაკენ მიიწვიდა. ისიც თქვა; რამაზთან დამკრძალებით, იდგა ღიმილითაც, მშვიდი, უჩვეულო, და მაინც, ყველაზე მეტად მიმზიდველი, რაღაც იდუმალი, მიუწვდომელი, მომხიბვლელი, ბოლომდე ბრძენი, ბოლომდე უხვი.

სად მიდის ნეტა ეს ნიჭიერება, ეს ღიმილი, როცა მისნაირ ადამიანებს ტოვებს... ნუთუ უსასრულობაში განიბნევა, რომ შემდეგ მცირე ნაწილებად იქცეს და ისევ — მიწაზე, ისევ ადამიანებში დაბრუნდეს. საოცარია!

26 იანვარს, თეატრის მოღვაწეთა ყრილობა გახსნა. რა ლამაზები ხართ აქედან ყველანიო, მიმართა ღარბაზს,

თავისი გასაოცარი ღიმილით გაიღიმა.

რა ბედნიერებაა, რომ ჩვენ ისევ ვიცრებივით. ეს შეკრება კიდევ ერთი საწყისია სიკეთისა. ჩვენი კავშირი კეთილი კავშირია. თეატრი თავადაა სიკეთე. უნდა გადასდეთ თავი. მთელი სულიერი, ფიზიკური, ფსიქოლოგიური ენერგია უნდა გასცე, რომ მიადწიო შედეგს. მსახიობის შრომა არის ერთ-ერთი ურთულესი, მძიმე შრომა. მე მას შევწირე ყველაფერი. ოჯახიც კი. მე დავაკელი ოჯახს ბევრი რამ. დავაკელი ზრუნვა და ყველაფერი შევწირე თეატრს. ხელოვნება არის უდიდესი საშუალება ვუმღეროთ სიცოცხლეს ამ ქვეყნად. — ასეთი იყო არასიტყვასიტყვითი წყობით ის დაუვიწყარი, უკანასკნელი სიტყვა ვერიკო ანჯაფარიძისა, 26 იანვარს.

XXX

ზღვა ხალხი მიაცილებდა მის თეთრ სასახლეს მთაწმინდის გზაზე. ჰაერში ისმოდა მისი ხმა:

„მიყვარს თბილისი, ირაკლივით მუღამ
მშფოთვარი,
და მსურს აქ მოგვედე, რომ მისი მზე სწავდეს
ჩემს კუბოს“.

მაყურებლის ტაში თეატრიდან ქუჩაში რომ გადავიდა, ბოლომდე მიჰყვებოდა მას. ღია ფანჯრებიდან ცვივოდა ყვავილები და ისეთი შეგრძნება იყო, ყოველივე ამას იგი ხელავდა, გრძნობდა.

XXX

თავისი სილამაზით, ნიჭიერებით, სიბრძნით იგი ჰგავდა თავის მშვენიერ სამშობლოს, ჰგავდა იმ ხალხს, ვისი სისხლი სისხლთაგანი იყო, ვინც ყველაზე მეტად უყვარდა.

ჩვენთანაა მისი ხელოვნების გაკვეთილები. ანდერძად ისმის მისი სიტყვები ბოლო ფილმიდან „მონანიება“, „**რა საჭიროა გზა, თუ იგი ტაძართან არ მიმიყვანს**“.

საოცრებაა ხელოვნება. მხოლოდ რჩეულნი თუ მისწვდილი დიდი მსახიობის სახე და ხმა, ასევე გზა, რომელსაც იგი თავისი ჩვეული, გასაოცარი ნაბიჯით მიჰყვება, უფრო მეტი და უფრო მიუწვდომელი მგონია. საოცარი-ხარ, შენ, შემოქმედო!

დიდო ქალბატონო ვერიკო! თქვენი გზა მივიდა ტაძართან.



წესის აგება

ბოლო დროს ხშირად შემოდოდა სიონშიც: იღბა გა-
რინდებით. დიდხანს... ვიდრე სანთელი არ ჩაიწვებოდა.
მეგობრობდა კათოლიკოს-პატრიარქთან. უყვარდა... ჩემი
უკანასკნელი საღვურთი თქვენთან არისო, ეუბნებოდა. ამ-
შვიდებდა მკვდარ შვილზე საუბარი. მწყურვალივით ვე-
წაფები თქვენს სიტყვებსო, ეუბნებოდა...

მე მახსოვს მათი პირველი შეხვედრა... ეს იყო 1981
წელს, საპატრიარქო რეზიდენციაში... დედაშვილივით
თბილი და ალერსიანი... ცრემლიც კი გაუბრწყინდა თვა-
ლებში, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით. შემდეგ გაიღიმა. მე
ძალიან მინდოდა თქვენი გაცნობა. ჯერ ერთი იმიტომ,
რომ თქვენზე ლეგენდები ღაღის... მერცხე... ამ ბოლო
დროს, რაც ხანი გადის, ეკლესია შეძახისო... სამწუხარ-
ოდ, ამ უაღრესად საინტერესო საუბრის მხოლოდ ფრაგ-
მენტი შემომჩნა... ფიქრობ, მკითხველისათვის მაინც
საინტერესო იქნება იგი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II —
იმედი დიდი ძალაა. ღამით სასაფლაოზე ბავშვი შეხვდა
კაცს. ბავშვი კანკალებდა შიშით. შენ არ გეშინიაო?
ჰკითხა. არა. აბა, გახიდე. იმ შუქს ხედავ? აი, იმას ვუყუ-
რებ, მივსდევ. იქ სოფელია. სოფელში კი იმედიო...

ვერიკო ანჯაფარიძე — დიახ. იმედი რომ არ
იყოს, რა გვეშველებოდა. იცით, მე მომიკვდა შვილი... ძა-
ლიან მიჭირს. მოულოდნელად ენერგია მომემატა... დიდი
წყურვილი მქონდა, რაღაც ხმაძალდა მეთქვა და მივუძღ-
ვენი შვილს იხსენის „მოჩვენებანი“. მითხარით, არის თუ
არა სხვა სამყარო... გწამთ? იცით?...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რა-
საკვირველია. მე ეს მწამს.

ვერიკო ანჯაფარიძე — იცით, მე მატერია-
ლისტი ვარ და ამიტომ ისეთ კითხვებს ვისვამთ... არ გა-
გიკვირდეთ. რწმენამდე როგორ მიდის ადამიანი?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ორი
გზა არსებობს... უბრალო, სტიქიური და ცოდნით. სამ-
წუხაროდ, მოკლებული ხართ დიდ ლიტერატურას, რომე-
ლიც არსებობს ამის შესახებ. რომ გაეცნოთ მას, მაშინ
ეჭვი აღარ გექნებათ. არსებობს გარდაცვალება და არა
მოსპობა.

ვერიკო ანჯაფარიძე — ის ავტორები აღ-
ბათ, — ფანატიკოსები არიან.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — არა.
მე მოგახსენებთ ნამდვილ მეცნიერებზე. მაგალითად ას-
ტრონომებზე. დიდ დაკვირვებებს ახდენენ ისინი. ძალზე
საინტერესოა მაგალითად, — თუნდაც, უკანასკნელ ხანს,
კლინიკურ სიკვდილზე დაკვირვებები, ნამდვილად ძა-
ლიან საინტერესო. მერე, პარაფსიქოლოგია... ყოველივე
ეს ძალიან გვაახლოებს იმ ქვეყანას... თქვენ რომ ბრძა-
ნეთ, მატერიალისტი ვართ. ყველა ვართ მატერიალისტი,
ოღონდ ესაა, ურწმუნო არ უნდა ვიყოთ. მატერია მაინც
მკვდარია. მას განაგებს სხვა ძალა და ეს არის ღმერთი.

ვერიკო ანჯაფარიძე — რა არის ღმერთი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ძა-
ლა, უხენაესი ძალა. შესანიშნავად ამბობს იოანე ღვთის-

მეტყველი — ღმერთი არის სიყვარული. მატერიას არ უნ-
და მივანიჭოთ ისეთი ძალა და უფლება, რაც ღმერთს
ეკუთვნის. მატერია თავისთავად უაზროა. ის კანონებს
ვერ შექმნიდა...

ვერიკო ანჯაფარიძე — თქვენ რასაც ამ-
ბობთ, ამის მარტო ჭკუით აღქმა კი არა, განცდითაც ძნე-
ლია... მე გეონია, ამისათვის საჭიროა ის გარემოცვა, რაც
თქვენ გაქვთ. მე ვიცი, რა არის მარტოობა. საშინელ
ორომტრიალში ვცხოვრობ. ბევრ ხალხთან მიხდება ურ-
თიერთობა, მაგრამ მაინც შემიძლია მარტო ვიყო.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — პი-
რობებს თვითონ ადამიანი ქმნის. მთავარი ფაქტორი მა-
ინც ადამიანია. არავის არ ექნება ისეთი ცუდი პირობები,
როგორც მე მაქვს. ხალხი ბევრი, საწუხაროც ბევრი,
ცხადია, კარგიც ბევრი... მაგრამ ჩვენ მაინც ვპოულობთ
დროს ლოცვისთვის...

ვერიკო ანჯაფარიძე — ლოცვა გაძლევთ
სიმშვიდეს?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დი-
ახ. მაძლევს. მე გასწავლით ერთ ლოცვას.

ვერიკო ანჯაფარიძე — მასწავლეთ...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II —
„უფალო; იესო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ
ცოდვინი“. სხვათა შორის, ჩვენი წინაპრები, რომელ-
თაც არ ჰქონდათ პირობები დასვენებული ცხოვრებისა-
თვის, ამ ლოცვით ცხოვნიდნენ.

ვერიკო ანჯაფარიძე — „უფალო, იესო
ქრისტე... ძეო ღვთისაო, შეგვიწყალენ ჩვენ ცოდვინი“...
რა კარგია. ყოველდღე წავიკითხავ, უსათუოდ!

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — შე-
სანიშნავია. ამ ლოცვას აქვს 2000 წლის ისტორია. ამას
განსაკუთრებით ხშირად იმეორებდნენ უდაბნოში, ბერე-
ბი... ძალიან ძლიერია. თქვენ იგრძნობთ სიმშვიდეს. ხა-
ტი გაქვთ?

ვერიკო ანჯაფარიძე: დიახ. მაქვს ხატი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ასე-
ვე კანდელიცაა საჭირო... უნდა დაანთოთ და ილოცოთ...
ყველგან შეიძლება ილოცოთ. ადამიანი მუდამ ღმერთთა-
ნაა ამ ლოცვით. თქვენ სწორი ბრძანეთ... ჩვენ ძალიან მა-
ტერიალისტები ვართ. ადამიანი შესდგება ორი სუბსტან-
ციისაგან. ორივეს ჭირდება საზრდო. ჩვენ ძალიან ბევრს
ვფიქრობთ ჩვენს ცხოვრებაზე, სულზე ცოტას — წუთებს.
იმ დროს, როცა სული მთავარია.

ვერიკო ანჯაფარიძე — მაგრამ მატერია ხომ
საყრდენია.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დი-
ახ. მაგრამ ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ მიწიერი ცხოვრება
ეტაპია. მთავარი იქაა, ჩვენი საშობლო იქაა. დიდი სა-
ქართველო იქაა.

ვერიკო ანჯაფარიძე — თქვენ ეს გწამთ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II —
მწამს... მე იცით, ეს როდის ვიგრძენი? როცა ლოცვის
დროს მოვიხსენიე ჩვენი მეფეები და პატრიარქები...

ვიგრძენი კავშირი იმათთან, მათი დახმარება. ეს კავშირი საჭიროა ყველასთვის, თქვენთვისაც. თქვენი შვილი მკვლარი არაა.

ვერიკო ანჯაფარიძე — მე მას ხშირად ვხედავ სიზმარში და მოვდივარ სიონში. მე მასთან კავშირი არ გამიწყვეტია. იცით, რა, ბატონო ილია, ცხოვრებას სასტიკი.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ცხოვრება იმონებს ადამიანს. ყველას კი არ შეუძლია ცდუნებიდან თავის დახსნა. მიეცემა დროის მდინარეებს... ზოგი ფიქრობს, აქ ვიყო კარგად და იქ რაც იქნება, იყოსო. მართალია, მიწიერნი ვართ, მაგრამ იმის უნარი უნდა გვქონდეს, რომ ცოტათი აუმაღლდეთ.

ვერიკო ანჯაფარიძე — მართალს ბრძანებთ. უწინ იყო ასეთი ხალხი. ახლა ყველაფერი უფრო და უფრო ვიწროვდება. ლოკალური ხდება. პირობებიც ხომ საჭიროა...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ. მაგრამ მთავარი მოქმედი პირი მაინც ადამიანია. სიკეთესა და ბოროტებაში ადამიანი მუდამ მონაწილეობს. აი, მე გახლდით ახლახან საფრანგეთში. მქონდა საუბარი იქაურ ქართველებთან. ყველა მორწმუნეა. ერთმა არქიტექტორმა, კობახიძემა გვარად, მითხრა, რომ რთულია მისი ყოფა-ცხოვრება, დღე და დამ შრომაში ვარო. ბოლოსდაბოლოს, თქვენთვის თუ გრჩებათ დრო მეტეი, კეითხე. — კი, განსაზღვრული დრო მაქვსო.

ვერიკო ანჯაფარიძე — დიახ. მეც ვიყავი საფრანგეთში... იქ უფრო შენახულია სარწმუნოება. იმათ კიდევ ილუზიები აქვთ...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — სამწუხაროდ, ეს ილუზიები უკვე ქრება. იყო ერთი დიდი მეცნიერი ტერტულიანე. ის ამბობს, რომ ყოველი ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია. ადამიანს მუდამ ახასიათებს

სულიერი კავშირი ღმერთთან. როდისმე ეს გამოჩნდება და ვერავითარი მიწიერი კეთილდღეობა ვერ შეცვლის სულის მოთხოვნებს.

ვერიკო ანჯაფარიძე — ნამდვილად. მეც მჯერა ეს.

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — უნდა ვეცადოთ, მივყვეთ სულის ხმას... არ დავკარგოთ კავშირი... ეს აუცილებელია.

ვერიკო ანჯაფარიძე — ბატონო ილია, თქვენ გეცოდინებათ. ქრისტეს სუდარა რომ იპოვეს, ტურინის სუდარა...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — დიახ... შენახულია ის ფარჩა.

ვერიკო ანჯაფარიძე — ღმერთო, რა საინტერესოა. თქვენ გჯერათ?

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — რა თქმა უნდა. საქმე რაშია. თანამედროვე ადამიანს ყველაფრის ცოდნა ადგილს აღარ უტოვებს რწმენისათვის. ადრე ქრისტეს რეალურ არსებობასაც კი უარყოფდნენ, ახლა აღიარებენ. თუ ხელი მიგიწვდებათ და 1980 წლის ჟურნალ „ნაუკა ი შიზნის“ პირველ ნომერს ნახავთ, ზუსტად ამის შესახებ წერია შიგ. პირველი საუკუნის მწერლებს აღწერილი აქვთ იესო ქრისტეს ცხოვრება... ეს ყოველივე სინამდვილეა.

ვერიკო ანჯაფარიძე — მამშვიდებს თქვენთან საუბარი... იცით, იმდენს ვიძახი ღმერთო, ღმერთო... და არ ვიცი...

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II — ჩვენ ვილოცებთ თქვენთვის, რომ ღმერთმა გაგაძლიეროთ.

თინათინ კობალაძე



პანაშვიდი.



თამაზ ბაკალავა

5 ნოემბერს, ავბედითი დღის მოღუშულ ღამეს, უღმობელი ხვედრით დაზაფრულ გზაზე წუთისოფლის მტკვერს განშორდნენ: 28 წლის შწერალი — პოეტი, დრამატურგი და მთარგმნელი — თამაზ პოლიკარპეს ძე ბაკალავა, მისი მეუღლე ნატო ჯალაღონია, ოთხი წლის თუთა და, მათთან ერთად, ნათელა ლაშქარავა, პოეტ ბათუ დანელიას მეუღლე.

„წინაუც კაცთა ერთგზის სიკვდილი (ებრ. 9, 27). ამ საიდუმლოს ფილოსოფია სიყრმითგანვე შეიმოსა (ფს. 103, 2) თამაზ ბაკალავს მომადლებულმა გონებამ და შთაგონებულმა სულმა — სტრიქონებს შორის განხატებულმა და დაუნებულმა, სიკვდილ-სიცოცხლის არსის ძიებას, უზუნაესის მიღმიერსა და შეუწიკვლელ საუფლოში დაქვიდრებას, „ღვთის პირთან“ მიახლების წუერვილს (ფს. 41, 2-3) რომ უნერგავდა მას.

წინამდებარე ნიმუშები შექმნილია 1978 წლის გაზაფხულზე. სიონის ტაძარში შწუხრისა და ცისკრის მოსმენის შემდეგ.

როგორც სახსოვარი და რელიქვია, ისინი ნ. პაპუაშვილთან ინახება.

XXX


მეწაბულ შტოების თოვა,
კანდელზე ღვთიური ქნარი,
ნათელი ღვთისშობელ მოვალს,
შვიდივე განხმული კართი,
უთეთრეს ღამე და ჯვალო,
განწმედილ ცრემლით და სისხლით,
წმიდა მარიამი გალობს —
მკრთალდება ციური ნისლი...
ზეცად ამადღების წამი,
სპეტაკი სამოსლის ქროლება —
მოწყდება ბაგეთა ჩქამი —
ნათელი მარიამ მოვალს...

XXX

მომეც საყდარი სიმშვიდისა,
სინათლისა და მყუდროების
მომეც ნათელი,
მოეფონე ჭრილობებს ჩემსას,
მიწიურ და ცოდვილ ჭრილობებს,
დააფარე კეთილი ხელი,
დააფინე ნათელი სხივი...
მოვილტვი შენდა, მეუფო, მოვილტვი
შენდა...
და მარადიულ ნეტარებით
მევესება მკერდი.

XXX

და ზეცას აღავსებს ხმაჲ უფლისაჲ,
თვინიერ ყოველთა აღავსებს.
შემკრთალან ლანდები ციურთა ციალზე,
ღამეთა დაღაღზე...
შემკრთალან ლანდები და ცათა კაბადონს
ქრებიან, ილტვიან, გმინავენ ამოდ,
დაათოვს სამოთხეს, სილურჯე დაათოვს
და ხმაჲ ნეტარი: რაჲსთვის, მამაო!
შემკრთალან ლანდები, ქრებიან ლანდებო,
მიერთვის მარადის საუფლოს,
უნუმარ ფთქვით და უნუმარ ნათელით
მარადის ნათელთან საუბრობს.
ნეტარ არს, ნეტარ არს, ნეტარ არს,
და სულს მყუდროებად ეუფვლის.
ნეტარ არს, ნეტარ არს, ნეტარ არს,
ნათელი მარადის მეუფის.



ქრისტე, ნათელი ჭეშმარიტო, რომელი განანათლებ და
წმიდა ჰყოფ ყოველსა კაცსა მომავალსა სოფლად, გამთავრი-
ნი ჩვენ ზედა ნათელი კირისა შენისა, რათა ვიხილოთ ჩვენ
ნათელი შენი მიუწვითოველი, და წარგარიქნ სლვაანი ჩუენ-
ნი ქენად მცნებათა შენთა, მეოხებითა უსრწნელისა ღვთის-
მშობლისათა, და ყოველთა წმიდათა შენთათა, ამინ.

მეორე მხარე

როდესაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ-ეზრული ურთიერთობისა და მისდამი ქართველი საზოგადოებრიობის დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, ერთ-ერთი პირველთაგანი ილია ჭავჭავაძე და მის მიერ დაარსებული (1877) „ივერია“ უნდა გამოვყოთ, რომელსაც იგი 25 წლის მანძილზე უძღვებოდა.

ილია ჭავჭავაძე სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის დასაწყისშივე დაინტერესდა ეზრული თემატიკით და 1858 წლის თებერვალში ბაირონიდან გადმოაკეთა ლექსი „სტიროდეთ“ („ეზრული მელიოღია“), და არცთუ შემთხვევით.

ილია ჭავჭავაძის „სტიროდეთ“ საქართველოს დანაგრული მდგომარეობით გამოწვეული წუხილი იყო.²

ხომ მძიმე იყო მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის უღელქვეშ მოქცეული ხალხების, მათ შორის ქართველი ხალხის ხვედრი, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე იყო ეზრულთა მდგომარეობა. არ იყო რუსეთის სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების არცერთი სფერო, სადაც კანონმდებლობით ეზრულთა შეზღუდვა, ან რაიმე აკრძალვა არ ყოფილიყო გათვალისწინებული, რითაც ხელოვნურად იქმნებოდა ე. წ. „ეზრულთა საკითხები“ — ერთ-ერთი ყველაზე საშინელი ღაქა რუსეთის თვითმყრობელობის ისტორიაში.

„ეზრულთა საკითხი“ საქართველოში მე-19 საუკუნემდე არ არსებობდა. ქართველ ისტორიკოსთა შორის სწორად არის მითითებული, რომ უფლებრივი მდგომარეობით ეზრული მოსახლეობა საქართველოში არაფ-

რით არ გამოირჩეოდა დანარჩენი მოსახლეობისაგან; რუსეთთან საქართველოს შეერთების შემდეგ კი მთელი რიგი ცირკულირებით, მითითებებითა და კანონმდებლობით მეფის ხელისუფლებამ ქართველი ეზრაელები პოლიტიკური, ეკონომიურ-სოციალური უფლებებით მთლიანად გაუთანაბრა რუსეთში მცხოვრებ ეზრაელობას და დროებით მიწერილ ეზრაულთა მდგომარეობაში ჩააყენა.

ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ არაერთი სტატია, შენიშვნა თუ ინფორმაცია დაიბეჭდა, რომელიც ეზრაულთა უფლებრივ მდგომარეობას ეხებოდა. მათ შორის, ქართველ ეზრაულთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხსაც.

ილია ჭავჭავაძე ხშირად ათავსებდა წერილებსა თუ შენიშვნებს, რომლებშიც შვარაზმული პრესის ფურცლებზე დაბეჭდილი ანტიეზრული მასალები იყო გამართახებული. მას მხედველობიდან არ გამოჩნენია ის გარემოება, თუ როგორ ზღუდავდა მეფის ხელისუფლება ეზრაულთა საქმიანობას პრესის თუ საგამომცემლო დარგში. „ივერიაში“ 1891 წლის 14 აპრილს მოათავსა წერილი...

„რუსეთში ბევრი გაზეთია, რომლისათვისაც ეზრაულის დანახვა და ხსენება და ცხვირპირის ჩამოშვება, უკუნებოდ შექმნა ერთია. ზოგიერთს გაზეთის ისე სძულს ეზრაული, რომ ყოველს ხსენებაზედ სწორედ დორბლებსა ჰყრის და, თუ ახსენებს, ისიც უჭკვევლად ავად, აჯ საქმეში. კარგი საქმე და ეზრაული ერთად ვერა და ვერ მოუთავსებიათ. ამათთან გაზეთებს მეთაურად აღგნენ და წინ უძღვებოდნენ გაზ. „Гражданин“ და „Новое время“. დანარჩენი გაზეთები ან არ თანაუგრძობდნენ ზემოხსენებულ გაზეთების სიმულვილს ეზრაულთა მიმართ, ან ხმას არ იღებდნენ და განზე იდგნენ. მათ შორის იყო აგრეთვე გაზ. „Биржевые ведомости“, ამას წინადა „Новое время“-მ გაზეთს ეზრაული გაზეთი დაუძახა. რედაქციას გული გაზეთქია, მართალი არავის ეგონოსო, და აი, ახირებულს პასუხს აძლევს: „...ხოლო რადგან „Новое время“-თავის წერილში აცხადებს, „Бирж. вед.“ ეზრაული გაზეთიაო, ამიტომ ვაცხადებთ, რომ იმათ შორის, რომელნიც მონაწილეობას იღებენ ჩვენს გაზეთში და რომელნიც სამუდამო თანამშრომლები არიან, ანგარიშს რომ არც რედაქტორი და გამომცემელი გამოვალკოთ, არც ერთი ეზრაული არ არის და რომ ეზრაელების აკკარგიანობის შესახებ წერა ჩვენს პროგრამაში არა გვაქვს აღნიშნული და ამიტომ არც არასა ვწერთ“.

ამ პასუხს „ივერია“ თავის მხრივ ასეთ ირონიულ შენიშვნას უკეთებს: „ახირებული თავის გამართლება და ბოდიში თუ გინდათ, ეს არის, აი! ან ნეტა საბოდიშო რა ჰქონდა გაზეთს. განა დიდი მომაკვინებელი ცოდა იქნებოდა ეზრაული რომ ჰყოლოდა მუდმივ თანამშრომელად?!”

მეფის ხელისუფლებამ საქართველოში ვერ შეძლო

¹ იბეჭდება შემოკლებით.

² ალბათ ნიშანდობლივი იქნება შევნიშნოთ, რომ აკაკი წერეთელმაც, ასევე სამწერლო მოღვაწეობის დასაწყისშივე (1863) გადმოაკეთა ბაირონის ლექსი „გოდება ეზრულთა“, რომელიც შეცვლილი სახით ხელმოწერულ დაიბეჭდა 1901 წელს ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“. ჩვენ არაერთი მითითება მოგვეპოვება იმისა, რომ თურმე იმ დროისათვის საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი, რომ „ეზრულთა გოდების საფარქვეშ ქართველი ხალხის გოდება და წუხილი იგულისხმებოდა. ასე მაგალითად: აკაკის გარდაცვალების გამო ქუთაისის ეზრულთა სალოცავში პოეტის პატივსაცემად გადახდილ პანაშვიდზე წარმოთქმულ სიტყვაში ეზრულთა საზოგადოების წარმომადგენელი ელიკულაშვილი აღნიშნავდა: „თუმცაღა ამ ლექსის იდეთ თავის მშობელ ერის ჭირ-ვარაშს დაღაღებს მგოსანი, მაგრამ აქ საგულისხმო ის არის, თუ როგორის მოწიწებით და სიყვარულით იხსენებს უკვდავი პოეტი მრავალტანჯულ ეზრულთა ხალხს (გაზ. „სამშობლო“ 1915, № 4).

ებრაელთადმი ქართველი ხალხის დამოკიდებულებისათვის მიეცა დევნისა და სიძულვილის ის ხასიათი, რასაც იგი ასე წარმატებით ახერხებდა რუსეთის სხვა და სხვა კუთხეში. მაგრამ დროდადრო ცალკეული ექსცესიები, რაც ბუნებრივია მოსალოდნელი იყო მაშინდელი ანტი-ებრაული პოლიტიკის პირობებში, ხანდახან თავს მაინც იჩენდა გაუთვითცნობიერებელი ხალხის ფენებში. ქართულ მოწინავე საზოგადოებას თითოეული ასეთი ფაქტი სააშკარაოზე გამოჰქონდა და მათ საერთო მსჯელობის საგნად ხდიდა. ყოველწინადად ცდილობდა, რომ იგი არ გამწვავებულიყო და ამით ქართველ-ებრაელთა ურთიერთობას რაიმე ჩირქი არ მოსცებოდა.

ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ ფურცლებზე ხშირად ბეჭდავდა მასალებს, რომლებშიც რუსეთისა და ევროპის ქვეყნებში ებრაელთა დევნა-რბევის სურათები იყო გადმოცემული. ამით „ივერია“ ქმნიდა საერთო საზოგადოებრივ აზრსა და ატმოსფეროს, რომ ანალოგიური რამ საქართველოშიც არ მომხდარიყო.

ხანდახან ილია ჭავჭავაძის „ივერია“ საკუთარი წერილითაც ეხმარებოდა რუსეთსა და ევროპის ქვეყნებში ანტირელიგიურ ასეთ მოვლენებს, რომელთა შორის გამოვყოფთ სტატეას „ურბების ბედი“ და 1888 წლის 13 მაისის ნომრის მეთაურ წერილს, რომელიც თვით ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის. ილიას წერილი ასე იწყება:

„არც ერთს ერს არ გამოუვლია იმდენი სატანჯველი და წამება, რამდენიც ებრაელთა ერს თავს გადაჰხვდია. ამ ოდესმე დიდებულს და სახელგანთქმულს ერს ბედმა ხელიდგან გამოსხლიტა სამშობლო და თვითმყოფელობა და განაბნია იგი მთელის დედამიწის ზურგზე. ჩაათესლა უცხო ქვეყნებში, სადაც ებრაელებს მოელოდა ყოველგვარი ტანჯვა და წვალება. აზიასა და ევროპაში, აფრიკასა და ამერიკაში, — ყველგან ერთი და იგივე ბედი სდევნიდა უბედურს ერსა, რომელიც იბრძოდა და იბრძვის ყოველ ნაირის საშუალებით, რათა თავი დაიცვას და არ გახდეს მსხვერპლი იძულებისა და წამებისა. ამდენი ხანია ეს ერი მოგზაურობს მთელს დედამიწის ზურგზე და ამ ხნის განმავლობაში არა ყოფილა ისეთი სატანჯველი, რომელიც ებრაელებს არ გამოეცადა. აბა რომელი საბუთი არ უხმარიათ და ხელზე არ დაუხვევიათ ებრაელთა სადევნელად და საწვალელებად? არ მოიპოვება ისეთი ისტორიული უსამართლობა, რომელსაც ებრაელები არ დაეჩაგრნენ. სდევნიდნენ ებრაელებს ვითარცა ერს, სდევნიდნენ ვითარცა უსამართლოს ეკონომიურს წეს-წყობილების წარმომადგენელთ და სხვა ერთა ეკონომიურ მჩაგრელებს. მდევნელები ხან ერთ საბუთს აძლევდნენ უპირატესობას, ხან მეორეს და არასოდეს დამცხრალა სიძულვილი ებრაელთადმი. ეხლაც-კი, როდესაც ევროპის ჰლადადებენ კაცთ-მოყვარეობაზე, იმავე საბუთების ძალით სდევნიან იმათ, იქაც-კი, სადაც თითქოს ადგილი არ უნდა ჰქონდეს სიძულვილსა და დაუნდობლობას. ეს რამდენი ხანია ევროპაში არსებობს ევროპოლოდებული ანტირელიგიური, ესე იგი, ებრაელთა მოწინააღმდეგე მოძრაობა, რომელიც სცდილობს, რაც შეიძლება მეტად შეავიწროვოს და დასწავროს ებრაელნი, ნამეტნავად ავსტრიასა და გერმანიაშია ძლიერი იგი მოძრაობა, ისეთ წრეებშიაც კი, რომლისგანაც ნაკლებად მოსალოდნელი

და საფიქრელი იყო. ჩვენ ვამბობთ ავსტრიისა და გერმანიის მწერლობისა და განათლებულის საზოგადოების ერთს ნაწილზე. ზოგი გაზეთი მუდმივ ებრაელთა წინააღმდეგ იბრძვის, სტუდენტებიც — კი, რომლისგანაც საფიქრებელიც არ უნდა იყოს რომლისაზე ერისადმი სიძულვილი, საქვეყნოდ დალადებენ და მოქმედებენ ებრაელთა წინააღმდეგ“.

შემდეგ ილიას მოჰყავს ამ ქვეყნებში ებრაელთა დევნის მაგალითები და შეშფოთებას გამოსთქვამს ინტელიგენციის წრეებში ანტირელიგიური განწყობილების ზრდაზე.

„რასაკვირველია, ეს გარემოება მეტად საფიქრებელია, რადგანაც განათლებულს საზოგადოებას დიდი გავლენა აქვს ევროპის ყოფა-ცხოვრებაზე. ამ ნაწილს საზოგადოებისას შეუძლიან თავისი კვალი დააჩინოს ებრაელთა ბედსა და უბედობას“ — დაასკვნის იგი.

ილიას შეშფოთება არცთუ უსაფუძვლო იყო, 90-იან წლებში ანტირელიგიურმა განწყობილებამ, როგორც რუსეთში, ისე ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში იმატა და ფურცლებზეც გახშირდა ინფორმაციები, კორესპონდენციები და წერილები, რომლებშიც სააშკარაოზე იყო გამოტანილი და დაგმობილი ამ მოძრაობის რეაქციული სახე. აღნიშნულ საკითხზე მოთავსებულ მასალებიდან, რომელიც ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ დაბეჭდა, საილუსტრაციოდ შევსებთ საფრანგეთის ისტორიაში კარგად ცნობილ ე. წ. „დრეიფუსის საქმეს“. დრეიფუსის საქმეში, რომელიც 1894 წელს დაიწყო და საბოლოოდ 1906 წელს დამთავრდა, ერთმანეთს შეეჯახა ორი იდეური მიმართულება, საზოგადოების ორი ბანაკი: პროგრესული და რეაქციული. „დრეიფუსის საქმე“ საერთაშორისო ასპარეზსაც გადაწვდა და ყველგან გაცხარებული მსჯელობის საგნად იქცა. საყურადღებოა, რომ ანტიდრეიფუსელები ამ საქმეს ანტირელიგიურ სამოსში ხევედნენ და ანტირელიგიური ლოზუნგებით გამოდიოდნენ. მთელი ამ მასალის გადმოცემაში კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის „ივერის“ პოზიცია: სააშკარაოზე გამოიტანოს ანტიდრეიფუსელთა რეაქციული, ანტირელიგიური ხასიათი, მისი ხმა შეუერთოს საფრანგეთისა და ევროპის სხვა ქვეყნების პროგრესული საზოგადოების ხმას. ხოლო, როდესაც სასამართლო პროცესი დაიწყო (1899 წლის ზაფხული), ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ ფაქტიურად ყოველდღე ბეჭდავდა სასამართლოს მიმდინარეობის ანგარიშს, „დრეიფუსის საქმეში“ თანდათან სიმართლემ იძალა და „ივერიაში“ გამოქვეყნებული წერილებითა და კორესპონდენციებით ქართველი საზოგადოებაც ალტაცებით ეგებებოდა პროგრესულ ძალთა ამ დიდ გამარჯვებას.

ილია ჭავჭავაძის „ივერია“ გამოდიოდა რა ქართველ ებრაელთა ქომაგისა და დამცველის როლში, ამასთან არ ერიდებოდა მათი ყოფიდან გამომდინარე საგმობ გარემოებათა კრიტიკასაც, რომელიც საბოლოო ჯამში ისევ ამ ხალხის მომავლისა და კეთილი სურვილებით იყო გამსჭვალული. „ივერია“ განსაკუთრებით უსვამდა ხაზს ქართველ ებრაელთა შორის სწავლა-განათლების გავრცელების აუცილებლობას.

ილია 1882 წლის ივლისის „ივერიაში“ გამოქვეყნე-

ბულ „შინაურ მიმოხილვაში“ წერდა: „ვაჭრობაც, რასაკვირველია, საჭიროა ერის ცხოვრებისათვის, იმოდენად რამოდენადაც... შველის სიმდიდრის მოფენას და მორიგებას ყოველგვან. ხოლო ვაჭრობა, წესიერადაც გაწეობილი, ამის მეტს სამსახურს ვერ გაუწევს ადამიანსა, და ბუნებრივად იმისთანა რამ არის, რომ ერთს ბინაზედ არ აყენებს კაცს; საცა გამორჩობა და ხერხი, იქ არის მისი მამული, იმისი მიწა-წყალი. ამიტომ ერი, მარტო ვაჭრობაზედ მიქცეული, დარღვეულია, გაქსუებული, გაფანტული. ამისთანანი არიან ებრაელები და სხვანი, მარტო ვაჭრობაზედ დანდობილნი და მოჩემებულნი. ამისთანა ერს აუცილებლად ბედად ის უწერია, რომ სხვის კედლად უნდა იყოს, სხვა ერს შეეხიზნოს, სხვისით იცხოვროს. ამიტომაც საპოლიტიკო მოქმედებისათვის იგი ღრნემოკლებულია. ერთად ყოვლობისათვის ნიადაგი არა აქვს და ხელცარიელია, თუნდაც ჯიბეები ოქროებით ჰქონდეთ გატენილი“.

ქართველი საზოგადოების მოწინავე წარმომადგენლები ერთხმად მიუთითებდნენ, რომ საჭირო იყო ებრაელთა ჩამორჩენილი მდგომარეობიდან გამოყვანა და მათში სწავლა-განათლების შეტანა.

ყოველივე ახალს, პროგრესულს, რაც ქართველ ებრაელთა შორის მოხდებოდა, ქართველი საზოგადოება აღტაცებით უჭერდა მხარს. ასე იყო, როდესაც 80-იან წლებში ქუთაისის ებრაელთა რაბინის არჩევნებთან დაკავშირებით ერთმანეთს შეეჯახა ორი დასი, ორი მიმართულება, ორი კანდიდატურა: „ძველი შემოზღუდულობისა“ და შედარებით პროგრესულის, სწავლა-განათლების მომხრენი. აი, როგორ ახასიათებდა ილია ხონელი ამ ორ ბანაკს ზემოთაღნიშნულ წერილში: „ერთს უნდა განაახლოს და განაკარგოს თავისიანების ცხოვრება განათლების შემწეობით, უნდა დაუახლოვოს იგი ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას და მოიშოროს თავიდან ყოველი სხვანი, გარდა სარწმუნოებისა, ამისათვის ისინი ყოველის ღრნისძიებით სცდილობენ, რომ რაბინის ადგილზე... ახალგაზრდა, სწავლული და განათლების თავგამოდებული მომხრე კანდიდატი დანიშნონ.“

მეორე დასი კი სულ სხვა აზრს ადგია. მისი მომხრენი, სულ უფრო ძველნი კაცნი არიან... ამათ ასე ჰგონიათ, რომ თუ კი რამე ისწავლეს და თავის ევროპულ თანამომემს დაემსგავსნენ — სარწმუნოებას ძირი და საფუძველი შეერყევაო და ევროპის მოძღვრების სიო ფერს უცვლისო. ამისთვის ისინი სულ იმის ზრუნვაში არიან, რომ როგორმე დაინარჩუნონ ძველი წესწეობილება, და ძველი შემოზღუდულობა, რომელშიაც თვითონ გაზრდილან და რომელსაც შესჩვევიან და შეთვისებინან“.

საბოლოოდ ქუთაისელ ებრაელთა ორი ბანაკის ბრძოლაში გამარჯვება პროგრესულ ბანაკს დარჩა და რაბინად არჩეული იქნა მისი კანდიდატი, ახალგაზრდა რაბინი სიმონ რიჟინაშვილი. ილია ჭავჭავაძემ „ივერიის“ ფურცლებზე სიხარულით აღნიშნა ეს ფაქტი, („ივერია“, 1886, ნ დეკემბერი) და მისი მოღვაწეობის პირველ ნაბიჯებსაც სათანადოდ გამოეხმაურა („ივერია“, 1888, 17 ივლისი).

ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ ასევე აღტაცებით აღნიშნა ცხინვალელ ებრაელთა საზოგადოებრივი საქმეებით დაინტერესება („ივერია“, 1894, 4 მაისი) და სუფუნელ ებრაელთა შორის სწავლა-განათლებისადმი მისწრაფების გაღვივება („ივერია“, 1890, 17 მაისი).

„ივერია“, რომელსაც 25 წლის მანძილზე ილია ჭავჭავაძე წარმართავდა, ბოლომდე დარჩა ქართველ ებრაელთა მოსიყვარულე მასწავლებლად და გზის მაჩვენებლად. ეს არ იყო გასაკვირი, რადგან ილიას სახით „ივერიას“ სათავეში ედგა დიდი ქართველი დემოკრატი, ჰუმანისტი და ხალხთა შორის ძმობისა და ერთობის დაუღწევი მებრძოლი. ზ. ჭიჭინაძე წერდა: „საზოგადოთ ქართული მწერლობა ყოველთვის ფარად და ხმლათ მდგარა ებრაელთა შესახებ... ამის მხრით ქართული მწერლობა ებრაელთა წინაშე ვალდებულა და ამავდარი“. (ზ. ჭიჭინაძე, ქართველთა ებრაელები საქართველოში, თბ., 1904, გვ. 94).

1907 წლის 30 აგვისტოს წინამურთან მომხდარი მკვლელობა ქართველმა ხალხმა თავის ტრაგედიადა აღიქვა. საერთო მწუხარების ხმას საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა გულწრფელი თანაგრძნობისა და თანადგომის ხმაც შეუერთდა. მათ შორის ერთერთი პირველთაგანი ქართველი ებრაელები იყვნენ. ქუთაისელ ებრაელთა სახელით თბილისში ასეთი დეპეშა იქნა გაგზავნილი: „ქუთაისის ებრაელების საზოგადოება ღრმად აღშფოთებულია დიდებულ ქართველ მოღვაწის ილია ჭავჭავაძის მხეცური მკვლელობით. ილია თავისი მოღვაწეობით აერთებდა წარჩინებულსა და უბრალო კაცის შვილს, ამბულეზულსა და დაბეჩავებულს. ზიზღი მკვლელებს. საყვარელ მასწავლებლის ხსოვნა კი სამარადისია“. ხოლო, თბილისის ებრაელობამ თავიანთ სალოცავში ებრაული წესით ილიას სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადაიხადა, რომელსაც ქართველი საზოგადოების წარმოდგენლებიც ესწრებოდნენ. დამსწრე საზოგადოების წინაშე თბილისელ ებრაელთა წარმომადგენლის სიტყვა შემდეგ ილია ჭავჭავაძისადმი მიძღვნილ სპეციალურ კრებულში იქნა გამოქვეყნებული. ერთ ადგილას იგი ასე მიმართავდა მსმენელებს: „ჰოი პატივცემული თანამომემნო! ვინ უნდა თანაუგრძნოს, თუ არა ჩვენმა ებრაელებმა ქართველ ხალხის უბედურებას, რომელმაც დაჰკარგა ძვირფასი ილია გრიგოლის ძე და მასთან ერთად მისი ეროვნული წარმომადგენელი“.


ეს სიტყვები შემთხვევით როდი იყო წარმოთქმული. იმ დიდი გლოვის დღეებში ილია ჭავჭავაძის ნათელი ხსოვნისადმი პატივისცემით ქართველი ებრაელობა სიმბოლურად თავის ვალს იხდიდა და მადლიერებას გამოხატავდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ზმ თაობისადმი, რომლის ღვაწლიც ჭეშმარიტად რომ დაუფასებელდა ქართველ ებრაელთა ჩამორჩენილობისა და რუტინის ტყვეობიდან ამოყვანის, სოციალური და პოლიტიკური პროგრესისათვის ბრძოლაში მათი მხარში ამოყენებისათვის.



ჯვარცმა უფლისა.

დასავლეთ საქართველოში, სადგურ ძირულადან ცოტათი მოშორებით, სოფელ უბისის მისადგომებთან შემორჩენილია სამონასტრო კომპლექსის ნანგრევები. აქ დგას ძველი დარბაზული ეკლესია. ეკლესია მოხატულია. მხატვრობა, ძირითადად, კარგადაა შემონახული. იგი ქართული ხელოვნების შესანიშნავი ძეგლია. მას ღირსეული ადგილი უჭირავს შუასაუკუნეების ქართული ეკლესიური მხატვრობისა და საერთოდ ქართული კულტურის განვითარების ისტორიაში. როგორც საიდუმლო სერობის კომპოზიციის წარწერა გვაუწყებს, მისი ავტორი (იგულისხმება ადრინდელი მხატვრობა XIV საუკუნისა) არის დამიანე.


ვბეჭდავთ რამდენიმე სურათს უბისის ტაძრის მოხატულობიდან.



ბაგაში



მაცხოვრის იერუსალიმში შესვლა



საიდუმლო სერობა



ჩარგალი. ვაჟა-ფშაველას ქალიშვილი გულქან რაზიკაშვილი და
ეპისკოპოსი ქრისტეფორე



«ДЖВАРИ ВАЗИСА» №-2

«Крест из виноградной лозы»

В декабре 1987 года исполнилось десять лет со дня интронизации Католикоса-Патриарха всея Грузии Илии II. В связи с этой датой журнал публикует приветствие священного Синода к главе Грузинской Церкви. В нем собраны все важные факты, которых достигла Грузинская Церковь за сравнительно короткий период. В разных уголках республики открылись и действуют церкви. Церкви, лишённые в течении многих лет архиереев, обрели свой первоначальный облик. Стал выходить журнал «Джвари Вазиса», публикуются «Богословский вестник» и «Информационный бюллетень», завершена работа над переводом на современный грузинский язык Библии, которая уже сдана в печать. Возрос авторитет Грузинской Церкви. Совсем недавно Грузинская Церковь получила разрешение на открытие духовной академии. Тут—же печатается стихотворение архиепископа Фаддея (Иорамашвили) посвященное Католикосу—Патриарху Илии II.

Грузинская Патриархия принимает многих гостей, среди которых были: Вселенский Патриарх Димитриос I, Патриарх Антиохии и всего Востока, Александрии и Иерусалима Максим V, митрополиты, архиепископы и епископы Греческой Церкви, глава Синайской горы и др. В журнале публикуются известия, выступления, информации об их визите.

Суровые испытания принесло Грузии начало 1987 года. Стихийное бедствие в Западной Грузии доставило нам большую горе. Этой беде вместе с грузинским народом, Грузинской Церковью сочувствовали люди братских республик, церковные деятели разных стран мира. Множество писем и телеграмм соболезнования получил в те дни Католикос-Патриарх Илия II. Некоторые из них публикуются.

На древнейшей христианской земле Месхетии, которая в течении трехсот лет находилась под игом турецких захватчиков, что, как известно, причинило

большой вред жизненной энергии грузинского народа, и где под влиянием ислама едва пульсировал христианский дух, недавно в одном из больших сел, Уде, вновь стала действовать Церковь. Это уже вторая церковь в этом краю, после Ахалцихской, открытой пять лет назад. В связи с этим радостным событием в с. Уде побывал епископ той епархии Анания (Джапаридзе). В журнале напечатана его проповедь, произнесенная в Церкви Богоматери в с. Уде в этот день.

По приглашению его Святейшества, Патриарха Иерусалима и всей Палестины Диодороса I в октябре 1987 года Святой город Иерусалим посетила делегация Грузинской Церкви во главе с Католикосом-Патриархом всея Грузии Илией II. В статье «Светися, Светися Новый Иерусалиме» впечатлениями об этом важном путешествии делится епископ Зосима (Шивили).

В рубрике «Богословие» публикуется работа С. Чхаидзе «Плачь Георгия Мтацминдели» Георгия Мцире».

«Страницы жизни Картли» — в этой рубрике помещено письмо М. Ниаури «Святой царь Ашот Курапалат», который многое сделал для своего народа в трудный для Грузии период нашествия арабов. С Божьей помощью Ашот Курапалат смело отражал атаки врага. Строил церкви и возносил молитвы Богу. Он пожертвовал собой ради учения Христа и был убит сарацинами.

В рубрике «Поэзия» журнал печатает стихотворение поэта Д. Цередиани.

В текущем году исполнилось 125 лет со дня рождения великого грузинского поэта Важа-Пшавела. В связи с этой датой в журнале печатается статья Т. Джваридзе.

Публикуется речь протоиерея, в последствии академика, Корнелия Кекелидзе, произнесенная на похоронах Важа-Пшавела.

В рубрике «Прощание» помещено письмо Н. Папуашвили, посвященное памяти академика Акакия Шанидзе. В нем подчеркивается огромная заслуга знаменитого ученого перед Родиной, а также — Грузинской Церковью, ибо история древней грузинской литературы, языка — это история нашей Церкви.

Здесь же печатается прощальное письмо Т. Кобаладзе под заголовком «Путь, ведущий на Мтацминда», посвященное памяти Верико Анджапаридзе. В нем читатель знакомится с одним фрагментом беседы знаменитой артистки с Католикосом-Патриархом Илией II.


Скончалась председатель исполнительного органа тбилисской Квашветской церкви Тамара Лазаришвили. В журнале публикуется прощальное письмо, посвященное её памяти.

Тут-же напечатаны стихи недавно погибшего молодого поэта Т. Бадзага.

В письме Д. Хананашвили «Илья Чавчавадзе и грузинские еврей» читатель знакомится с заслугой причисленного к лику Святых великого грузинского писателя перед грузинскими евреями.



ატენი.
მოავარი ანგელოზი
გაბრიელი სახარებიდან,



«DJVARI VAZISA»

(CROSS OF VINE)

This year we were celebrating ten years of the enthronement of the Catholicos—Patriarch of All Georgia. In connection with this important date, the journal presents the address of the Holy Synod to the Primate of Georgian Orthodox Church. It observes all the important facts been achieved by Georgian Church during this short period of time... and these achievements are really significant and evident... we name only some of them; the life of Georgian Church was revived and renovated from the very first days when the new Primate was enthroned... the selfless merits of the former Patriarchs were not enough, because of the hard times after abolishing the autocephaly of Georgian Church by the Holy Synod of the Church of Russia... then after restoring the independence came the years of repression influencing the whole, country... The mission of a real revival of Georgian Church, surely with help of the government (and it must be noted) was the lot of His Holiness and Beatitude Ilia II. The churches, being without bishops during the years, regained again their true faces... many new bishops were consecrated. The number of faithful was highly increased, the church journal «Djvari Vazisa» was published together with «Theological Essays» and «Information Bulletin», the modern Georgian translation of the Bible was completed and it will be published very soon; the authority of Georgian Church grew up and it was deeply involved in the Ecumenical Movement, resulting in electing Catholicos—Patriarch Ilia II as one of the presidents of the World Council of Churches... and not long ago, Georgian Church received an official consent to open the Theological Academy. On the ruins of the ancient Academies of Gelati, Ikalto and Tbeti, destroyed by innumerable invasions, the new life will be flourished. It's simply impossible to name everything... but the fact is, that all these gave the new, hopeful strength to Georgian Church...

This year, Georgian Patriarchate had many guests and among them: The Ecumenical Patriarch Dimitrios I, Patriarch of Antioch and All the East Maximos V, metropolitans, archbishops, bishops and revered fathers from Church of Hellas, Mount Sinai and many others. The journal presents some addresses, speeches and other information of their visits.

1987 was very hard to Georgia. The natural disasters, which took place in Western Georgia, brought great sorrow and many tears to us. Together with Georgian Church, it was shared by people of other republics of the Soviet Union, as well as of many countries from all over the world... Catholicos—Patriarch Ilia II had been receiving great number of letters and cables of condolence and support during these days... Some letters and facts are published in this section, together with the letter of Prof. T. Buachidze, chairman of the Cultural Fund of Georgia, addressed to His Holiness.

Some joyful events took place this year as well. On the ancient Christian land of Meskheti, being under the yoke of Turkish invaders during three centuries, where Christianity was wondering already as a ghost, the church was reopened in the village of Udeh. This is the second church in this region... the first one was reopened five years ago in Akhaltsikhe. To mark this joyful event, the Bishop of this diocese H. E. Anania (Djaparidze) blessed the church and conducted a liturgy there. The journal presents his preaching, delivered on the day of blessing of the Church of Virgin Mary in Udeh.

On the invitation of His Holiness Diodoros I, Patriarch of Jerusalem and All Palestine, the Georgian Church delegation headed by Catholicos—Patriarch of All Georgia Ilia II, visited Jerusalem in October.

The article «Be Shined and Shined the New Jerusalem» by H. E. Zosima (Shioshvili) covers this important visit.

The article «Lament of Giorgi Mtatsmindeli» by S. Chkaidze is published under the title «Theology».

«St King Ashot Kuropalat» depicts the history of Georgia of 18th century, when the king reigned and when Georgians were fighting the Arab invaders; The King Ashot won several battles... and despite the hard times «built churches offering up prayers for God and despite the hard times «built churches offering up prayers for God and His glory».

«Poetry» — the verse by Archbishop Thadeos (Ioramashvili) dedicated to the enthronement of Catholicos—Patriarch Ilia II and verses by D. Tsereteli and T. Badzagua are printed here.

The Georgian land celebrated this year 125 years anniversary of Vazha Pshavela. The article «Georgian Soul Retreated to Mountains», observes the Christian viewpoints and highly faithful belief of this poet... The journal presents his letters and a verse «Silent Plea». The last speech of Archpriest Corneli Kekelidze, delivered at the funeral of poet, is also printed here.

«In Memory» — the section covers the letter by N. Papuashvili dedicated to the memory of Prof. Akaki Shanidze, his great merits before his motherland and Georgian Church, because the history of Georgian language is the history of Georgian Church as well...

The article «The Way Reached Holy Mountain» by T. Kobaladze is dedicated to the memory of a famous Georgian artist Veriko Andjaparidze... the reader is acquainted also with a talk between Mrs. Andjaparidze and Catholicos—Patriarch Ilia II.

The president of St. George Church council Mrs. Tamar Lazarishvili passed away this year... the letter in memory of this wonderful woman is printed in this section.

A letter «Ilia Chavchavadze and Georgian Jews» by D. Khakhanashvili, acquaints us with the merits of this famous writer before Georgian Jews. Ilia Chavchavadze was canonized by Georgian Orthodox Church.

შინაარსი

აღსაყდრების 10 წელი
საქართველოს ეკლესიის წმიდა სინოდის მიმართვა სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქ ილია II-ს. 6
მთავარეპისკოპოსი **თადეოზი**. მხოლოდ უფლის კურთხევით და მხოლოდ უფლის ნებით. (ლექსი)

ვიყუარებოდეთ ურთიერთას
მსოფლიო პატრიარქი საქართველოში. 10
უნეტარესი მაქსიმე V საქართველოში 16
სტუმრები სინის მთიდან 18
სტუმრები ელადიდან. 20

კათოლიკოს-პატრიარქი ილია II. ღმერთმა ინებოს ჩვენი სულიერი ფერისცვალობა. . 22
წერილები, დეპეშები, ინფორმაციები 26

განათლდი, განათლდი ახალ იერუსალიმ ეპისკოპოსი ზოსიმე. მოგზაურობა წმიდა მიწაზე 29
თ. ჯვარიძე. მთას შეფარებული ქართული სული 36
დეკანოზი კ. კაკელიძე. სიტყვა ვაჟა — ფშაველას დასაფლავებაზე. 43
ვაჟა—ფშაველა. ჩემი ვედრება (ლექსი). 44

ღვთისმეტყველება
ს. ჩხაიძე. გიორგი მცირის „გოდება გიორგი მთაწმიდელისა“ 45

ქართლის ცხოვრების ფურცლები
მ. ნიაური. წმიდა აშოტ კურაპალატი 50

პოეზია
დ. წერეთლიანი. კვირიკე
ქადაგებანი
ეპისკოპოსი ანანია. ირედეტ და განგელოთ 58
გამოსათხოვარი
ნ. პაპუაშვილი. აკადემიკოსი აკაკი შანიძე 57
თამარ ლაზარი შვილი
თ. კობალაძე. გზა მთაწმიდაზე ავიდა. 62
თამაზ ბაბაძე. 66
დ. ხანანაშვილი. ილია ჭავჭავაძე და ქართველი ებრაელობა 68
რეზიუმე რუსულ ენაზე 70
რეზიუმე ინგლისურ ენაზე 72

ჯვარი ვაზისა № 2. 1987

საგამომცემლო განყოფილების თავმჯდომარე — ეპისკოპოსი **ზოსიმე** (შიოშვილი)

ჟურნალის რედაქტორი **თ. კობალაძე**

საქართველოს საპატრიარქო.

თბილისი. 1987 წ. სიონის ქ. № 4. ტ. 72-04-53

ტირაჟი 1000

შეკვეთა № 42

საქართველოს სსრ. მეცნ. აკადემიის სტამბა. თბილისი. 380060. კუტუზოვის ქ. № 19

«Джвари вазиса» (Лозовый крест) № 2. 1987 г.

Грузинская Патриархия

Тираж 1000.

Заказ №42

Набрано способом фотонабора

Типография АН Груз. ССР. Тбилиси. 380060. ул. Кутузова 19.

ქართული ანბანი

1	2	3	4	5
ა	ბ	გ	დ	1
ე	ვ	ზ	თ	2
ი	კ	ღ	ყ	3
შ	ჩ	ც	ძ	4
წ	ხ	ძ	წ	5
ჭ	ხ	ც	ძ	6
ბ	გ	დ	ე	7
ვ	ზ	თ	ი	8
კ	ღ	ყ	შ	9
ჩ	ც	ძ	წ	10
ც	ძ	წ	ჭ	20
ძ	წ	ჭ	ხ	30
წ	ჭ	ხ	ძ	40
ჭ	ხ	ძ	წ	50
ხ	ძ	წ	ჭ	60
ძ	წ	ჭ	ხ	70
წ	ჭ	ხ	ძ	80
ჭ	ხ	ძ	წ	90
ხ	ძ	წ	ჭ	100

1	2	3	4	5
ს	ლ	მ	ნ	200
რ	კ	ე	თ	300
ვ	გ	დ	ი	
ყ	შ	ჩ	ც	400
ძ	წ	ჭ	ხ	500
ღ	ყ	შ	ჩ	600
წ	ჭ	ხ	ძ	700
ჭ	ხ	ძ	წ	800
ხ	ძ	წ	ჭ	900
ძ	წ	ჭ	ხ	1000
წ	ჭ	ხ	ძ	2000
ჭ	ხ	ძ	წ	3000
ხ	ძ	წ	ჭ	4000
ძ	წ	ჭ	ხ	5000
წ	ჭ	ხ	ძ	6000
ჭ	ხ	ძ	წ	7000
ხ	ძ	წ	ჭ	8000
ძ	წ	ჭ	ხ	9000
წ	ჭ	ხ	ძ	10000

